www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 7 მაისი, 2009 წელი. №99 (2137) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

# რუსთაველის გამზირიდან "პლასტიკურ" დაპირისპირებამდე

დათო გამისონია

*9 აპრილს დაწყებული საპროტესტო აქციების შემდეგ, მომიტინგეების წინააღმდეგ პირველად გამოიყენეს პლასტიკური ტყვიები. გუშინ დემონსტრანტებსა და სპეცრაზმს შორის ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, როცა მომღერალი გია გაჩეჩილაძე და რამდენიმე ახალგაზრდა აქტივისტი პოლიციის მთავარი სამმართველოს ღობეზე გადავიდა. ისინი მოითხოვდნენ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ჟურნალისტის ნიკა ავალიანის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო დაკავებული სამი ახალგაზრდის გათავისუფლებას. გუშინდელი ინციდენტის შედეგად დაშავდა 20-ზე მეტი ადამიანი. მათ შორის არიან ოპოზიციის ლიდერები ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე, ზვიად ძიძიგური, ასევე "1 არხის" ჟურნალისტი სალომე ქორქაშვილი და ტელეკომპანია "კავკასიის" ოპერატორი. სხეულის დაზიანებების კვალი ყველაზე მეტად გია გაჩეჩილაძეს აღენიშნება.*

გაგრძელება A2 გვერდზე



ხათია ჯინჯიხაძის ფოტო

# საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის განცხადება

გუშინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა სპეციალური განცხადება გაავრცელა.

"საქართველოს საპატრიარქო შეშფოთებას გამოთქვამს დღეს განვითარებული მოვლენების გამო. სიტუაცია ფეთქებადსაშიშია, მით უმეტეს, რომ იგი ვითარდება ქვეყანაში ისედაც დაძაბული მდგომარეობის ფონზე. შესაძლებელია, მცირე მიზეზიც კი გახდეს საბაბი უმართავი პროცესების დაწყებისა.

ჩვენ ყველამ - ხელისუფლებამ, ოპოზიციამ, ეკლესიამ და მთელმა საზოგადოებამ ახლა განსაკუთრებით უნდა მოვინდომოთ და გონივრული ნაბიჯები გადავდგათ სიტუაციის განმუხტვისაკენ და არა მისი ესკალაციისაკენ.

აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, მივმართავთ ხელისუფლებას და ვთხოვთ, მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება და ის სამი ახალგაზრდა, რომლებიც დაკავებულები არიან კანონდარღვევის ბრალდებით, გაათავისუფლონ, რათა მიზეზი დაძაბულობისა მოიხსნას.

ვფიქრობთ, ეს იქნება ამ ეტაპზე გადადგმული გონივრული ნაბიჯი, რამაც სერიოზული პრობლემები ნაწილობრივ მაინც შეიძლება აგვაშოროს.

ასევე მივმართავთ პოლიტიკურ პარტიებს და ჩვენს მოსახლეობას, რომ გააკეთონ ყველაფერი, რათა მოვლენები კონსტიტუციური ჩარჩოებიდან არ გამოვიდეს.

ღმერთმა დალოცოს და დაამშვიდოს საქართველო," - ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

*საკუთარი ინფორმაცია*

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# "ეს იყო პოლიციაზე თავდასხმის ფაქტი"

იმ დროს, როდესაც თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან სიტუაცია ოდნავ განიმუხტა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური ბრიფინგი ჩაატარა მინისტრის მოადგილემ ეკა ზღულაძემ და მომხდარი პოლიციაზე თავდასხმად შეაფასა.

**"ეს უკვე აღარ არის პოლიტიკური პროცესი. ჩვენ ყველანი საშიში ფაქტის მომსწრენი გავხდით. ეს იყო პოლიციაზე თავდასხმის ფაქტი, ძალიან საშიში პრეცედენტი. სიტუაციას ართულებსს ის, რომ პოლიციის შენობაში განთავსებულია დროებითი მოთავსების იზოლატორი, სადაც სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულში ეჭვმიტანილები იმყოფებიან. რამდენიმე ადამიანს ჰქონდა ღობეზე გადაძრომისა და იქ შეჭრის მცდელობა, თუმცა, ამ ადამიანებს მიეცათ ტერიტორის დატოვების საშუალება,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ეკა ზღულაძის განმარტებითვე, პოლიცია იცავდა შენობის შიდა პერიმეტრს და არც ერთი პოლიციელი ღობის გარეთ არ გასულა.

**"პოლიციელებს მიცემული აქვთ ერთადერთი ინსტრუქცია - დაიცვან ადმინისტრაციული შენობები შიგნიდან, დაიცვან ასევე პოლიციის შენობა და აღკვეთონ ნებისმიერი კანონდარღვევა. სამართალდამცველები საკუთარი მოვალეობის შესრულებას შემდეგშიც გააგრძელებენ. ყველას მოვუწოდებთ სიფრთხილისკენ და კანონის დაცვისკენ,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ და უარყო იმ წუთებისთვის გავრცელებული ინფორმაცია, რომ გიორგი გაჩეჩილაძე სამართალდამცველებს ჰყავდათ დაკავებული. ეკა ზღულაძის თქმით, პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან მომხდარი ინციდენტისას აქციის მონაწილეებიდან პოლიციას არავინ დაუკავებია.

მოგვიანებით ზღულაძემ კიდევ ერთი ბრიფინგი ჩაატარა. როგორც მან განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია თითქოს დამშვიდდა, ცალკეული კანონდარღვევები მაინც გრძელდებოდა. მისი ინფორმაციით, დაზიანდა პოლიციის რამდენიმე ავტომანქანა, ასევე დაზიანდა დიღმის პოლიციის განყოფილების შენობა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პოლიციის სამმართველოსთან დაშავებულების მდგომარეობა

*შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან მომხდარი ინციდენტის დროს 22 ადამიანი დაშავდა, აქედან - ერთი ჟურნალისტი და ექვსი პოლიციის თანამშრომელი.*

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ეკა ზღულაძის ინფორმაციით, დაზარალებული მოქალაქეების ნაწილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებით და საკუთარი ავტომობილებით ძირითადად თბილისის ორ კლინიკაში - ღუდუშაურის სახელობის და რესპუბლიკურ საავადმყოფოებში მივიდნენ.

ღუდუშაურის კლინიკაში მოთავსებული დაშავებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კლინიკის დირექტორმა ზაზა სინაურიძემ ჟურნალისტებს დეტალური ინფორმაცია გააცნო.

**"საავადმყოფოში მოყვანილი 17 დაშავებულიდან არც ერთის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მათ ძირითადად აქვთ ნაფლეთი, ზედაპირული ჭრილობები, რომლებიც უკვე დამუშავებულია. ჩვენ ორი საათის განმავლობაში არც ერთ დაზარალებულს სახლში არ გავუშვებთ. დავაკვირდებით, ორი საათის შემდეგ, კვლავ გავსინჯავთ, გამოვიკვლევთ და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას - ვინ გავუშვათ სახლში და ვინ დავტოვოთ კლინიკაში. შეუმოწმებლად სახლში არავის გავუშვებთ, "** - განაცხადა ზაზა სინაურიძემ.

ღუდუშაურის საავადმყოფოში გადაიყვანეს გიორგი და ლევან გაჩეჩილაძეები. გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი გაჩეჩილაძეს ჰქონდა მრავლობითი მოტეხილობა და ნაფლეთი ჭრილობები. ზოგიერთი იმასაც ირწმუნებოდა, რომ რეანიმაციულ განყოფილებაში იგი უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს.

თუმცა, კლინიკის დირექტორის განმარტებით, ძმები ლევან და გიორგი გაჩეჩილაძეების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მისივე თქმით, მათი ზუსტი დიაგნოზის დადგენა მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც ტომოგრამა ჩაუტარდებათ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რუსთაველის გამზირიდან "პლასტიკურ" დაპირისპირებამდე

პირველი გვერდიდან

გუშინ საქართველოს პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქცია დაახლოებით 17 საათზე განახლდა. ძირითადი თემა მუხროვანის სატანკო ნაწილში მომხდარი ამბოხი იყო. დავით ბერძენიშვილმა, სიტყვით გამოსვლისას, ეჭვი შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალის აუთენტურობაში. **"ოფიცრები, როცა ამბობენ, ბატალიონის უფროსმა გვითხრა, რომ ხელისუფლებას არ უნდა დავემორჩილოთ, ზუსტად ასეთ ადგილებში ყველგან არის კადრის წყვეტა. გამოქვეყნებულ მასალაში არ არის ნათქვამი, თუ ვის და როგორ ბრძანებას არ უნდა დამორჩილებოდა ბატალიონის უფროსი. ჩვენ ხელისუფლებისაგან გვჭირდება დადასტურებული ინფორმაცია, თუ რას ამბობენ ოფიცრები. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ეს არის პოლიტიკური ფაბრიკაცია და ბატალიონის უფროსს ავალებდნენ პოლიტიკურ პროცესში ჩართვას, თუ სხვა რამესთან გვაქვს საქმე,"** - განაცხადა "რესპუბლიკელმა" დავით ბერძენიშვილმა. იგივე პათოსი გააგრძელა "ალიანსი საქართველოსთვის" წევრმა ირაკლი ბათიაშვილმა. მან განმარტა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლება მუხროვანის ამბოხის შემდეგ აპირებდა "რეპრესიების" გამკაცრებას. ბათიაშვილის აზრით, საქართველოს მოქალაქეები არ მოტყუვდნენ და მმართველი პოლიტიკური ძალა მუხროვანის ინციდენტის შემდეგ წელგამართული ვერ დარჩა. **"ხალხმა არ ჭამა ეს ამბავი, რადგან პოლიტიკურად უკვე გამობრძმედილია. ყველა კარგად ხედავს, რომ სააკაშვილმა გუშინდელი ვითარება გამოიყენა და დაერია ჩვენს ოფიცრებს. გარდა ამისა, მან დაიწყო დაშინება, ტერორი და დაჭერები. ამის ღირსნი არ არიან ის ბიჭები, რომლებიც ამ ხელისუფლებამ მიატოვა ცხინვალში,"** - აღნიშნა ირაკლი ბათიაშვილმა. რუსთაველის გამზირზე მყოფმა "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა ისაუბრა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრირების წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯზე. ამის ერთ-ერთი ფაქტორი, ზურაბიშვილის აზრით, არის სახელმწიფო უწყებებს შორის უფლებების აღრევა. **"სააკაშვილმა პოლიცია შემოიყვანა ჯარის დასაწყნარებლად, ეს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში მიიჩნევა, როგორც ინსტიტუტების ფუნქციებს შორის ყველაზე დიდ დარღვევად. შსს-ს სპექტაკლმა მესამედ დაასამარა ჩვენი ნატო-ში ინტეგრირების პერსპექტივები. თუკი გსურს სახელმწიფოს არსებობა, არ შეიძლება პოლიციის გამოყვანა ჯარის დასაწყნარებლად, ისევე, როგორც სამხედროების გამოყენება მიუღებელია ხალხისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ,"** - განაცხადა ზურაბიშვილმა.

დაახლოებით 17 საათზე რუსთაველის გამზირზე გამოჩნდა საპროტესტო აქციების არაფორმალურ ლიდერად ქცეული გია გაჩეჩილაძე. "უცნობმა" პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ მომიტინგეებს პოლიციის მთავარი სამმართველოსკენ დაძვრისკენ მოუწოდა. ამის მიზეზად, მომღერალმა დაასახელა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ჟურნალისტის ნიკა ავალიანის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დაკავებული გიორგი ონიანის, მელორ ვაჩნაძის და რევაზ რევაზიშვილის "დახსნა" შინაგან საქმეთა სამინისტროსგან. **"მინდა მივმართო მთელ საქართველოს და მთელ თბილისს, ვინც ახლა მისმენს. გუშინ დაიჭირეს პატარა ბიჭები, ჩვენი ძმები. ჩვენ თუ ამას ვაპატიებთ და იმათ არ დავიხსნით ციხიდან, ასე გაგრძელდება სამუდამოდ. ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ დილომში მივდივართ, იმ ბიჭების დასახსნელად,"** - მიმართა "უცნობმა" დემონსტრანტებს. მანიფესტანტები პოლიციის მთავარი სამმართველოსკენ დაიძრნენ. საპროტესტო მსვლელობაში მონაწილე მოქალაქეებს, "უცნობთან" ერთად, მიუძღოდნენ ლევან დაჩეჩილაძე, "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალური მდივანი ეკა ბესელია და "კონსერვატორების" ლიდერი ზვიად ძიძიგური. დილმისკენ მიმავალ მომიტინგეებსა ავტომობილით მოძრავ მოქალაქეებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება გამოიწვია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გადაკეტვამ. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის აქტივისტების მოწოდებების შემდეგ, ავტომობილების მფლობელთა გარკვეული ნაწილი სიგნალით გამოხატავდა აქციის მონაწილეების მიმართ სოლიდარობას.



ხატია ჯიჯეიშვილის ფოტო

გია გაჩეჩილაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შესვლა სცადა, მაგრამ სამმართველოს ეზოში მდგარმა სპეცრაზმელებმა ღობეზე გადასული "უცნობი" ხელკეტებით სცემეს (ღუდუშაურის კლინიკაში დადგინდა, რომ გია გაჩეჩილაძეს აქვს მრავლობითი გემატომა, თავის ქალის გარეთა ნაწილში). ამ ფაქტმა მომიტინგეებს შორის მღელვარება გაამძაფრა. ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც სპეცრაზმელებმა დაიწყეს ხელკეტების "რითმულად" დარტყმა სპეციალურ ფარებზე. სანამ პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერები სიტყვით გამოსვლებს დაიწყებდნენ, აქციის მონაწილეები და სპეციალური რაზმების წარმომადგენლები ღობის სხვადასხვა მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ ერთმანეთს. სხვადასხვა მხრიდან ისროდნენ ქვებს და ჯოხებს. ამას მოჰყვა სპეცრაზმელების მიერ პლასტიკური ტყვიების სროლა დემონსტრანტების მიმართულებით და შედეგად დაზიანდა რამდენიმე მომიტინგე. კერძოდ, თავის ზედა ნაწილსა და კეფაში მოხვდა პლასტიკური ტყვია ლევან გაჩეჩილაძეს; ამასთანავე, ე.წ. რეზინის ტყვია თავის არეში ესროლეს ზვიად ძიძიგურს, გია მაისაშვილს, შალვა ობგაიძეს, ბიძინა გეგიძეს. პლასტიკური ტყვიით დაშავებული დავით გამყრელიძე ღუდუშაურის საავადმყოფოში მიიყვანა "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ. ოპოზიციის ლიდერებთან ერთად, ე.წ. რეზინის ტყვიებით დაზიანდა რამდენიმე მომიტინგე, მედიის წარმომადგენლები. მათ შორის, "1 არხის" ჟურნალისტი სალომე ქიქოშვილი, ტელეკომპანია "კავკასიის" ოპერატორი. შსს-ს ინფორმაციით, დაშავებულია რამდენიმე სამართალდამცავიც.

მოგვიანებით პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მოვიდა სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. არაერთი მცდელობის მიუხედავად, სახალხო დამცველი შენობაში არ შეუშვეს. ინციდენტის ადგილზე მყოფმა ომბუდსმენმა განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დაარღვიეს კანონი, რადგან გარდა იმისა, რომ მათ შენობაში არ შეუშვეს სახალხო დამცველი, მომიტინგეების წინააღმდეგ გამოიყენეს ე.წ. რეზინის ტყვიები და ქვები. რამდენიმე წუთში ნინო ბურჯანაძემ და კახა კუკავამ თბილისში მცხოვრებ მოქალაქეებს მოუწოდეს, რომ პოლიციის მთავარ სამმართველოსთან დაუყოვნებლივ მისულიყვნენ. ოპოზიციის ლიდერების მოწოდებით, საპროტესტო აქციის მონაწილეებმა დაკეტეს მარშალ გელოვანის გზატკეცილი და განაგრძეს პოლიტიკური გამოსვლები. ზუსტად ამ დროს, მორიგი ინციდენტი მოხდა, ამჯერად თავისუფლების მოედანზე. ოპოზიციის მიერ განთავსებულ "საკნებს" დაეჯახა ავტომობილი, რამაც ავტომანქანის მფლობელსა და ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის დაპირისპირება გამოიწვია. ამის შემდეგ, მოვლენების ეპიცენტრმა კვლავ რუსთაველის გამზირზე გადმოინაცვლა. პოლიტიკურმა ოპოზიციამ დავით აღმაშენებლის ძეგლის სიახლოვეს შეკრებილ მოქალაქეებს რუსთაველის გამზირზე გადანაცვლებისკენ მოუწოდა.

დაახლოებით ერთ საათში ოპოზიციის ლიდერებმა სიტყვით გამოსვლები პარლამენტის შენობის წინ განაგრძეს. მათ მთელ საქართველოს აქტიურობისკენ მოუწოდეს. "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა პარლანენტის შენობის წინ განთავსებული სცენიდან განაცხადა, რომ **"აუცილებელია, ქვეყანაში გამეფებული ძალადობა დასრულდეს, მაგრამ თქვენ და ჩვენ იმდენად გვიყვარს ეს ქყეყანა, რომ არ წავალთ ძალადობაზე. მათ კიდევ ერთხელ იხმარეს ძალადობა, შიშველი ხელებით მისულების წინააღმდეგ გამოიყენეს ტყვიები,"** - აღნიშნა ალასანიამ.

გვიან ღამით, შექმნილი ვითარების განსამუხტავად, სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა საქართველოს საპატრიარქომ.

## "ეს იყო პოლიციაზე თავდასხმის ფაქტი"

პირველი გვერდიდან

**"სამმართველოს შენობასთან მცირე ინციდენტები კვლავ ხდება. რუსთაველის გამზირზე კი სხვადასხვა საგნებით და იარაღით აღჭურვილი ადამიანების ჯგუფი გამოჩნდა. ეს ადამიანები საკმაოდ აგრესიულები არიან. მათ სასტიკად ცემეს მოქალაქე. პოლიცია თავშეკავებით განაგრძობს მუშაობას, თუმცა, მძიმე დანაშაული აღკვეთილი იქნება. პოლიციაზე თავდასხმა მძიმე დანაშაულია, პოლიცია გამოიყენებს პროპორციულ ძალას,"** - განაცხადა ეკა ზღულაძემ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ბოლო ინფორმაციით, პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტისას დაშავდა 22 მომიტინგე, 6 პოლიციელი და ერთი ჟურნალისტი.

## პოლიციის სამმართველოსთან დაშავებულების მდგომარეობა

პირველი გვერდიდან

**"ორივე მათგანს ნაფლეთი ჭრილობები აქვს. ამ დროისთვის მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. გაჩეჩილაძეებს ნაფლეთი ჭრილობები აქვთ და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არიან,"** - განაცხადა კლინიკის დირექტორმა.

ღუდუშაურის კლინიკიდან უკვე გაწერეს "I არხის" დაშავებული ჟურნალისტი სალომე ქოქიაშვილი. მას თავის არეში ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, თუმცა ექიმებმა მას სამედიცინო დახმარება დროულად აღმოუჩინეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან სამართალდამცველებსა და ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის განხორციელებული დაპირისპირების შედეგად, დაშავებულები არიან სხვა ჟურნალისტებიც. კერძოდ, თავის არეში აქვს მსუბუქი დაზიანება ტელეკომპანია "კავკასიის" ოპერატორ ზაზა შუკვანს, რომელსაც საავადმყოფოში გადაყვანა არ დაჭირდა. ამასთან, მკლავის არეშია დაშავებული სააგენტო "პირველის" ჟურნალისტი თამუნა მეტონიძე.

რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის მოადგილის ირაკლი რუხაძის ინფორმაციით, მათ კლინიკაში მოთავსებულია 15 დაშავებული, რომელთა მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

რუხაძის თქმით, საავადმყოფოში მიყვანილია ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გია მაისაშვილი, რომელსაც თავის არეში აღენიშნება დაზიანება. ასევე თავის არეში აქვს მიყენებული დაზიანება ზვიად ძიძიგურს. ექიმის განცხადებით, ჭრილობები ძირითადად მიყენებულია ბლაგვი საგნით.

რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული გაზეთ "ვერსიის" ფოტო-კორესპონდენტი ანი ხავთასი, რომელიც შეხლა-შემოხლის დროს დაშავდა.

ირაკლი რუხაძის განცხადებით, ყველა დაშავებულს ჩაუტარდა სამედიცინო დახმარება, დაუმუშავდა ჭრილობები და ამჟამად მიმდინარეობს მათზე დაკვირვება.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ნატო საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდება

გუშინ ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაში, რომელსაც ალიანსის გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი ხელმძღვანელობდა, ნატოში საქართველოსა და ალიანსის წევრი ქვეყნების ელჩები მონაწილეობდნენ.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საქართველოს მიერ ყოველწლიური ეროვნული პროგრამის შესრულების განხილვა.

კომისიის სხდომის შედეგები მედიასთან ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ შეაჯამა. მისი განცხადებით, კომისიამ განიხილა როგორც დღის წესრიგით გათვალისწინებული თემები, ასევე ნატო-საქართველოს ურთიერთობები.

**"ნატო-ს წევრები საქართველოში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით აკვირდებიან. გენერალურმა მდივანმა და რამდენიმე ელჩმა შეშფოთება გამოხატეს საქართველოში წვრთნების ჩატარების საკითხის პოლიტიზების გამო,"** - აღნიშნა აპატურაიმ.

ასევე, მისი თქმით, **"რამდენიმე ელჩმა კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ სამხედრო ამბოხი საქართველოში ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე დამთავრდა."**

როგორც სხდომის შემდეგ ნატო-ში საქართველოს ელჩმა რევაზ ბეშიძემ განაცხადა, **"ნატო-მ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ რუსეთმა უნდა შეასრულოს სამშვიდობო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ასევე შეწყვიტოს სამხედრო ბაზების უკანონო მშენებლობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე."** ბეშიძის თქმით, ქართულმა მხარემ ალიანსს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. ასევე, მისი თქმით, ნატო-მ გამოთქვა კმაყოფილება, რომ წვრთნები "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

გუშინვე ნატო-ს წევრი ქვეყნებისა და საქართველოს გაერთიანებული შტაბების უფროსების შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე, გენერალი დავით ნაირაშვილი ესწრებოდა.

როგორც მან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, შეხვედრაზე განიხილეს შეიარაღებულ ძალებში და ზოგადად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. მათ შორის ის, თუ როგორ იმოქმედა ომმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე და რა კონკრეტული ნაბიჯები იყო გადადგმული მთავრობისა და სამხედრო უწყების მიერ შეიარაღებული ძალების განვითარებისთვის. შტაბების მეთაურებმა ასევე იმსჯელეს ავღანეთის მისიაში საქართველოს მონაწილეობის საკითხზე.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ნატო-ს "დღეები" თბილისში

*თბილისში ვიზიტით მყოფი ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრები საქართველოს მომავალს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ხედავენ. დელეგაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის წევრი დენის მაკშეინი მიესალმება და "დიდ მესიჯს" უწოდებს იმ ფაქტს, რომ ნატო-ს წევრი მრავალი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურე დღეს საქართველოში იმყოფება და წვრთნებში მონაწილეობს. ბრიუსელის ასეთ განწყობას ოფიციალური თბილისი მიესალმება. "ნატო-ს მტკიცე პოზიცია არის კარგი გაკვეთილი რუსეთისთვის, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების პროცესის შეფერხებას აღარ ეცადოს," - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციასთან მოლაპარაკებების დაწყების წინ. მისივე შეფასებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ნატო-ს სამხედრო წვრთნების საქართველოში ჩატარების ფაქტი, არამედ ისიც, რომ, მიუხედავად რუსეთის არაერთგზის მცდელობისა, ალიანსმა წვრთნების შესახებ გადაწყვეტილება არ შეცვალა.*

გიორგი ასანიშვილი

რუსეთთან დამოკიდებულებაზე კომენტარს ნატო-ელი პარლამენტარებიც აკეთებენ და აღნიშნავენ, რომ ნატო-ს მოსკოვისთვის დასამალი არაფერი აქვს, რუსეთი მიწვეული იყო სამხედრო წვრთნებზე, მაგრამ მან ამ შანსზე თავად თქვა უარი.

**"კარგი იქნება, რუსეთმა საქართველო საერთოდ დატოვოს და ოკუპირებული ტერიტორიები გაათავისუფლოს,"** - ასეთ რჩევას აძლევს დენის მაკშეინი საქართველოს ჩრდილოელ მეზობელს.

მაკშეინი გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ გარემოებას, რომ რამდენიმე სახელმწიფომ წვრთნებში მონაწილეობაზე უარი თქვა. **"საქართველოსთვის არსებითია ნატო-საქართველოს დაახლოება და არა ის ფაქტი, მიიღებს თუ არა რომელიმე ქვეყანა, მაგალითად - სომხეთი, ამ წვრთნებში მონაწილეობას,"** - აცხადებს ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელი.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დეპუტაციის გუშინდელი სამუშაო პროგრამა საკმაოდ უჩვეულოდ დაიწყო. სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში", სადაც დელეგაციის წევრები ქართველ კოლეგებს უნდა შეხვედროდნენ, სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი შეიყვანეს. უსაფრთხოების აღნიშნული ზომების მიღების შემდეგ რაიმე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და შეხვედრები მშვიდ გარემოში ჩატარდა.

ამ შეხვედრების მთავარი თემა, ცხადია, ნატო-ს სწავლებები და საქართველოში შექმნილი ვითარება იყო. მოლაპარაკებების დროს დავით ბაქრაძე შეეცადა, აეხსნა სტუმრებისთვის, თუ რატომ ხდება დღეს თბილისში ისეთი მოვლენები, რომლებიც დასავლეთის არც ერთ დედაქალაში არ განვითარდებოდა.

მიუხედავად არსებული ვითარებისა, საქართველოს პარლამენტის სპიკერი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მუხროვანის ინციდენტი საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე და სამომავლო თანამშრომლობაზე არ იმოქმედებს.

**"სტუმრებმა გამოხატეს მკაფიო პოზიცია იმის თაობაზე, რომ ნატო გუშინდელ ინციდენტს საქართველოსთან თანამშრომლობის დამაბრკოლებელ ფაქტორად არ განიხილავს,"** - კმაყოფილებით აღნიშნა ბაქრაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ნატო-ს საპარლამენტო დელეგაციის წევრები გუშინ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ. საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა ნატო-ელ კოლეგებს ქვეყანაში განსახორციელებელი ინსტიტუციონალური ცვლილებების არსი გააცნეს.

**"აუცილებელია ხელისუფლების დანაწილება, მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდა, პარლამენტის როლის გაძლიერება, საპრეზიდენტო უფლებამოსილების შემცირება, საარჩევნო და ზოგადად პოლიტიკური სისტემებისადმი საზოგადოების ნდობის აღდგენა,"** - აცხადებს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე, რომელიც იქვე დასძენს, რომ ნატო არის არა მხოლოდ სამხედრო ბლოკი, არამედ გარკვეულ ფასეულობათა სისტემაც, რომელთა დანერგვისკენაც საქართველო ისწრაფვის.

მისივე თქმით, ის უზარმაზარი მუხტი და ენერგია, რაც დღეს საქართველოს ქუჩებში იხარჯება, პოზიტიური შედეგისთვის უნდა იყოს გამოყენებული და არა - ნეგატივისთვის...

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები დღეს უკვე შეხვედრებს არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან გამართავენ. მოლაპარაკებების ადგილი ისევ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი" იქნება. დღესვე ნატო-ს საპარლამენტო დელეგაცია ქართველ ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება. ასევე დაგეგმილია ვაზიანის საწვრთნელ ბაზაზე გამგზავრება და სამხედრო ბაზის მონახულება.

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია თბილისს 8 მაისს დატოვებს.

# ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ნატო-ს სწავლება დაიწყო

ნათია მსხილაძე

6 მაისს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ნატო-ს სწავლება დაიწყო. სწავლება პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში გაიმართება. მასში ნატო-ს წევრი და პარტნიორი 15 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. პირველი ეტაპისთვის წვრთნებში 215 სამხედრო მოსამსახურე ჩაერთვება. სწავლება ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი იქნება საშტაბო სწავლება, ხოლო მეორე - სამშვიდობო ოპერაცია - Cooperative Longbow 09/Cooperative Lancer-09.

სწავლება Cooperative Longbow 09/Cooperative Lancer-09 ოფიციალურად 11 მაისს დაიწყება. საქართველოში ნატო-ს ეგიდით დაგეგმილ წვრთნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მოლდოვამ და სომხეთმა.

ქართველი პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მუხროვანის ინციდენტის მიუხედავად, საქართველოში ნატო-ს სწავლების ჩატარება ქვეყნის მხარდაჭერის მკაფიო დემონსტრირებაა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიესალმება იმ ფაქტს, რომ "ყველაფრის მიუხედავად", ვაზიანის სამხედრო ბაზაზე პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში ნატო-ს სამხედრო სწავლება დაიწყო. **"მინდა, მივესალმო იმ ფაქტს, რომ "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში სწავლებები გეგმიურად დაიწყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ჩვეულ რეჟიმში, შემუშავებული გეგმის თანახმად მიმდინარეობს და არანაირი ცვლილებები არ ხდება,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოში ნატო-ს ეგიდით მიმდინარე წვრთნა მოსკოვს ძალიან აშფოთებს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, ნატო-ს მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს უჭერს მხარს, თავად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს "ურტყამს". რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრესკონფერენციაზე ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ რამდენიმე ხნის წინ თბილისმა საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებაზე "სასაცილო მიზეზით" უთხრა უარი შვედურ ავიაკომპანიას, რომელიც ავღანეთში კოალიციურ ძალებში შვედური კონტინგენტის ყოფნას უზრუნველყოფს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ რუსეთის პრინციპული პოზიცია ნატო-სთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოებაა.

**"ჩვენ გვინდა ნატო-სთან ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების განვითარება და პრაგმატული სამუშაოს გაგრძელება რუსეთ-ნატოს საბჭოში, რა თქმა უნდა, იმ პრინციპების დაცვის საფუძველზე, რომლებიც ამ მექანიზმის შექმნის საფუძველშივეა ჩადებული. ეს კი, პირველ რიგში, საკუთარი უსაფრთხოების სხვისი უსაფრთხოების ხარჯზე დაცვას არ ნიშნავს,"** - განაცხადა სერგეი ლავროვმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართული შეხვედრის შემდეგ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

## მიხეილ სააკაშვილი ევროკავშირის სამიტში მიიღებს მონაწილეობას

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს პრაღაში ევროკავშირის სამიტში მიიღებს მონაწილეობას. ევროკავშირის სამიტი ევროპის "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივას ეძღვნება. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის ფარგლებში საქართველო, უკრაინა, ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა ევროკავშირს კიდევ უფრო დაუახლოვდებიან.

საუბარია ეკონომიკურ, სოციალურ და ენერგეტიკულ ინტეგრაციასა და ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერაზე. მომავალში პროექტი ზემოაღნიშნული ექვსივე ქვეყნისთვის ასევე ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობისა და სავიზო რეჟიმების გამარტივებას. სამიტს ევროკავშირის 27-ვე წევრი ქვეყნის ლიდერები დაესწრებიან. სამიტის ფარგლებში ხელი მოეწერება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ჩარჩო-ხელშეკრულებას.

საქართველოს დელეგაციაში იქნებიან საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე და ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე.

8 მაისს პრაღაშივე გაიმართება ევროკავშირის სპეციალური სამიტი, რომელიც ენერგეტიკულ საკითხებს მიეძღვნება. საქართველოს მხრიდან სამიტში პრეზიდენტის გარდა, საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე და სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე მიიღებენ მონაწილეობას. ამასთან, პრაღაში ევროკავშირის სპეციალური სამიტი გაიმართება, რომელიც ენერგეტიკულ საკითხებს მიეძღვნება. ქართული დელეგაცია აღნიშნულ სამიტშიც მიიღებს მონაწილეობას.

*საკუთარი ინფორმაცია*

## "საქართველოს შეიარაღებული ძალები ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას"

გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელ დევი ჭანკოტაძის განცხადებით, საქართველოს შეიარაღებული ძალები ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას. "სამხედრო ნაწილებში სტაბილური სიტუაციაა. ჩვენი ქვედანაყოფები ჩვეულებრივ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას," - განაცხადა პრეზიდენტთან შეხვედრაზე დევი ჭანკოტაძემ. **პირველი**

## ბათუმში საპროტესტო აქცია გაიმართა

გუშინ "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერებმა ბათუმის თეატრის წინ ხალხმრავალი აქცია გამართეს. აქციის გამართვამდე მოსახლეობაში გაავრცელეს 20 000 მოსაწვევი, რომელშიც აღნიშნული იყო მოძრაობის მთავარი მოთხოვნები: თავისუფლება უკანონო პატიმრებს, შეწყდეს ბიზნესის დატერორება, აჭარა კლანური მმართველობების გარეშე, შეწყდეს საომარი რიტორიკა და ომობანა. მოძრაობის ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, აქციის მთავარ მოთხოვნებზე და მიტინგის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დღეიდან პაატა კაიკაციშვილის დედა დაიწყებს შიმშილობას. შემდეგი საპროტესტო აქცია 26 მაისს ოზურგეთში გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "საკნების" აქციის ახალი კერა ზუგდიდში გაჩნდა

"საკნების" აქციის ახალი კერა ზუგდიდში გაჩნდა. როგორც ზუგდიდიდან გვაცნობეს, გუშინ ზუგდიდის ცენტრში, ზვიად გამსახურდიას ძეგლის გვერდით საკანი N238 დაიდგა. წყაროს ინფორმაციით, ზუგდიდში საკნების რაოდენობა უახლოეს მომავალში გაიზრდება. "საკნების აქცია" თბილისში 9 აპრილის საპროტესტო აქციების შემდეგ დაიწყო. პირველი საკანი ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაიდგა. **პირველი**

## დავა ფიზიკური პირების სასარგებლოდ გადაწყდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, მოქალაქე მანოლა ლაღიძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნო თბილისის საკრებულოსთან არსებული მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება. გაუქმდა კომისიის გადაწყვეტილება მოქალაქე მანოლა ლაღიძისათვის თბილისში, წყნეთის დასახლებაში მდებარე 3000 კვ მეტრ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოცემული იყო საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე, რის გამოც, კომისიას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით.

იმავე კოლეგიამ მიმდინარე კვირას საგადასახადო ორგანოების წინააღმდეგ ი/მ "ანნა ტყეშელაშვილის" სარჩელი განიხილა. ინდმეწარმე დარიცხული გადასახადებისაგან გათავისუფლებას ითხოვდა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვეოდა, ი/მ "ანნა ტყეშელაშვილი" თბილისის დიდუბა-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი 400 მოქალაქის უფასო კვებით მომსახურებას. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ი/მ "ანნა ტყეშელაშვილი"-ს სარჩელი მთლიანად დაკმაყოფილდა, გაუქმდა საგადასახადო ორგანოთა მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში და მოსარჩელე გათავისუფლდა დაკისრებული გადასახადის (23 991.27 ლარის) გადახდის მოვალეობისაგან.

# ცუდად შენიღბული რუსული კვალი

*საქართველოში არშემდგარ ამბოხს ვაშინგტონი გამოეხმაურა. აშშ-ს ოფიციალური პირები საქართველოში კონსტიტუციური წესრიგის შენარჩუნებას უჭერენ მხარს და გმობენ ხელისუფლების არადემოკრატიული გზით შეცვლის მცდელობებს. ოფიციალური თბილისი ინციდენტში რუსეთს ღიად არ ადანაშაულებს, თუმცა მოსკოვის აშკარა ინტერესებზე საუბრობს.*

კომენტარი მუხროვანის ინციდენტზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა. **"ვაშინგტონი მჭიდრო კონტაქტში იმყოფება საქართველოს ხელისუფლებასთან და მხარეებს კონსტიტუციური წესრიგის შენარჩუნებისკენ და დემოკრატიული პროცესების გამყარებისკენ მოუწოდებს,"** - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რობერტ ვუდმა.

**"რა თქმა უნდა, ჩვენ შეშფოთებულები ვართ რეგიონში პოტენციური არასტაბილურობით. მე არ ვიცი, ვინ იდგა ამ მოვლენების უკან. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს ხელისუფლება გამოძიების ჩატარებას აპირებს და მის შედეგებს ყველანი ვიხილავთ,"** - აღნიშნა ვუდმა. მან არ გამორიცხა, რომ საქართველოში შექმნილი ვითარება აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა პირისპირ შეხვედრისას განიხილონ.

განცხადება საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ჯონ კერიმაც გააკეთა.

**"ჩვენ ვიცით, რომ მეამბოხეები დაკავებულები არიან და სიტუაცია დამშვიდდა. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და ხელისუფლების არადემოკრატიული გზით შეცვლის ნებისმიერი მცდელობა დაუშვებელია. ქართველებს სურთ, რომ იცხოვრონ დემოკრატიულ და სუვერენულ სახელმწიფოში და ეს სურვილი გათვალისწინებული უნდა იყოს,"** - განაცხადა კერიმ.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს გაერო-ს შტაბ-ბინაში საგანგებო ბრიფინგი საქართველოს ელჩმა გაერო-ში ალექსანდრე ლომაიამ მიუძღვნა. მან მუხროვანის ინციდენტს **"იზოლირებული შემთხვევა"** უწოდა. თუმცა აღნიშნა, რომ **"არ გაუკვირდება, თუ დადგინდება ამ ინციდენტში მონაწილეების სპეციფიკური კავშირი იმ ქვეყანასთან, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შელახვას ცდილობს."**

ლომაიას თქმით, რუსეთის განზრახვებს ადასტურებს გაერო-ში ამ სახელმწიფოს ელჩის ვიტალი ჩურკინის განცხადებები, რომელიც საბჭოთა პროპაგანდის სტილით საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს. საქართველოს ელჩმა გაერო-ში განაცხადა, რომ რუსეთი ზრდის თავის შეიარაღებულ ძალებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ამაზე მკაცრი რეაგირება უნდა მოახდინოს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გუშინ გამოეხმაურა რუსეთის საგარეო უწყების განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მუხროვანის ინციდენტის პროვოცირებაში რუსეთი დაადანაშაულა.

ოფიციალური თბილისის განმარტებით, **"ყველა განცხადება არშემდგარ ამბოხში რუსეთის მონაწილეობის შესახებ იმ პირებმა გააკეთეს, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოჩანაწერებზე ჩანან."**

საქართველოს პრეზიდენტმა, ისევე როგორც სხვა ოფიციალურმა პირებმა, მხოლოდ მოუწოდეს რუსეთს, შეეწყვიტა პროვოკაციული ქმედებები, რაც გამოიხატა ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფსბ-ს სასაზღვრო ჯარების შეყვანით, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიულ წყლებში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემების მანევრებით და მათი შესვლით ერთ-ერთი ოკუპირებული რეგიონის პორტებში, - აღნიშნავს საგარეო უწყება.

**"განცხადების ავტორების ისტერიულ რეაქციას მივყავართ იმ აზრამდე, რომ მათი, ისივე როგორც მთლიანად რუსული მხარის, სინდისი მთლად სუფთა არ უნდა იყოს,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

*საკუთარი ინფორმაცია*

# პრეზიდენტი ჯარისკაცებს არ ადანაშაულებს

*საქართველოს პრეზიდენტმა მუხროვანის სატანკო ნაწილში ამბოხის დროს მწყობრი, ეფექტური და ოპერატიული მოქმედებისთვის ქართულ შეიარაღებულ ძალებს მადლობა გადაუხადა. პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სიტუაციის განმუხტვაში დიდი წვლილი შეიტანეს მუხროვანის ნაწილის რიგითმა ჯარისკაცებმა, რომლებმაც ოფიცრებს წინააღმდეგობა გაუწიეს და მათ უკანონო ბრძანებებს არ დაემორჩილნენ. პრეზიდენტის განმარტებით, დაუმორჩილებლობის გაგრძელების შემთხვევაში, დაუმორჩილებლობის ორგანიზატორები მკაცრად დაისჯებოდნენ.*

ნათია მსხილაძე

მუხროვანის სატანკო ნაწილში მომხდარი ამბოხის გამო გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავდაცვის სამინისტროში შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელებს შეხვდა.

პრეზიდენტი მომხდარში ჯარისკაცებს არ ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ჯარისკაცები ამ მოქმედების უკანონობას ადრევე მიხვდნენ და თავიანთივე ინიციატივით დატოვეს ნაწილები. **"მე ვერ დავადანაშაულებ ჯარისკაცებს იმაში, რაც მოხდა. შეიძლებოდა, უფრო სწრაფადაც ემოქმედათ, მაგრამ როგორც კი გაიგეს, რომ უკანონობას ჩადიოდნენ, თვითონ ჯარისკაცებმა დაიწყეს წინააღმდეგობის გაწევა და თავიანთი ინიციატივით დატოვეს ეს ნაწილები. მათ ვესაუბრე და ვფიქრობ, რომ ეს იყო სწორი რეაქცია იმ პირობებში, როცა ოფიცრების უმეტესი ნაწილი მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდა,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა მუხროვანის ბატალიონში რამდენიმე წლის წინ მომხდარ ამბოხებასთან გაავლო პარალელი და რამდენიმე წლის წინანდელ მუხროვანსა და გუშინწინდელ მუხროვანს შორის თვალშისაცემ განსხვავებაზე ისაუბრა. **"5 მაისის ფაქტი ძალზე შემაშფოთებელი იყო. მაგრამ გუშინწინდელ მუხროვანსა და რამდენიმე წლის წინანდელ მუხროვანს შორის განსხვავება თვალშისაცემია. თუ მაშინ ამბოხება შეიარაღებული ძალების მოქმედმა ოფიცრებმა მოაწყვეს და ისინი იყვნენ ინიციატორები, ამ შემთხვევაში იგივე ოფიცრებმა, ოღონდ უკვე დიდი ხნის წინ გაგდებულებმა სცადეს ამ ამბოხის გარედან ინიცირება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მეორე განსხვავება არის ის, რომ თუ მაშინ მთავრობამ მრავალსაათიანი მოლაპარაკებები დაიწყო, თავად პრეზიდენტი ეახლა მათ და ხელშეუხებლობის გარანტიები მისცა, შემდეგ კი ამბოხებულები საპატიო თანამდებობებზეც მოაწყვეს, მათ შორის დიპსამსახურში, მათ მივეცი მხოლოდ ერთი გარანტია - თუ ისინი გამოვიდოდნენ და თან ერთი საათის განმავლობაში, ეს მიღებული იქნებოდა როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. თუ არ გამოვიდოდნენ, რაც მოხდებოდა თვითონაც იცით - ჩვენ განვალაგეთ არტილერია და, რა თქმა უნდა, ყველაფერი იქნებოდა აღკვეთილი და ნეიტრალიზებული. მესამე განსხვავება არის ის, რომ მაშინ ამბოხის მონაწილეებმა პრაქტიკულად პასუხი არ აგეს, დღეს კი თითოეული მათგანი კანონის მთელი სიმკაცრით ბოლომდე დაისჯება,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა

პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა სამხედრო ექსპერტ ვახტანგ მაისაიას დაკავების შესახებაც, რომელიც თავის დროზე ნატო-ს საქართველოს წარმომადგენლობაში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა. **"ეს ადამიანი არა მხოლოდ მუშაობდა ჩვენს მტერზე, არამედ აგვისტოში, ომისას მოწინააღმდეგეს ჩვენი ჯარების პოზიციებზე ინფორმაციას ყოველ ორ საათში ერთხელ აწვდიდა. პირველ რიგში, ინფორმაციას აწვდიდა იმ პოზიციების შესახებ, რომლებიც თბილისში იყო განლაგებული,"** - აცხადებს პრეზიდენტი.

**"აშშ-ს ადმინისტრაცია შეშფოთებულია რეგიონში პოტენციური დესტაბილიზაციის შესაძლებლობით,"** - ეს განცხადება მუხროვანში მომხდარი ფაქტის კომენტირებისას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის მოვალეობის შემსრულებელმა რობერტ ვუდმა გააკეთა.

რობერტ ვუდის განცხადებით, აშშ საქართველოს ყველა კონსტიტუციურ ძალას წესრიგის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს. **"ვაშინგტონი საქართველოს ხელისუფლებასთან მუდმივ კონტაქტზე იმყოფება. ჩვენ არ ვიცით, დეტალურად ვინ იდგა ამ მოვლენების უკან. რამდენადაც ცნობილია, საქართველოს მთავრობა გამოძიებას აწარმოებს. ჩვენ მის შედეგებს დაველოდებით,"** - აღნიშნა რობერტ ვუდმა.

სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის მოვალეობის შემსრულებელმა არ გამორიცხა, რომ მუხროვანის ინციდენტი შესაძლოა, ხუთშაბათს სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მსჯელობის საგანიც გახდეს.

მუხროვანის ინციდენტის გამოძიების დასრულებას პენტაგონშიც ელოდებიან. აშშ-ს თავდაცვის უწყების წარმომადგენლის განცხადებით, მუხროვანში მომხდარ ფაქტს პენტაგონი განიხილავს, როგორც ცალკე აღებულ ინციდენტს.

პენტაგონის განცხადებით, აღნიშნული შემთხვევა საქართველოსთან გრძელვადიან პარტნიორობაზე გავლენას ვერ მოახდენს.

მუხროვანის ინციდენტს ამერიკის სენატიც ეხმიანება. სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ჯონ კერის განცხადებით, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და ხელისუფლების არადემოკრატიული გზით შეცვლის ნებისმიერი მცდელობა დაუშვებელია. **" ჩვენ ვიცით, რომ მეამბოხეები დაკავებულები არიან და სიტუაცია დამშვიდდა. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და ხელისუფლების არადემოკრატიული გზით შეცვლის ნებისმიერი მცდელობა დაუშვებელია. ქართველებს სურთ, რომ იცხოვრონ დემოკრატიულ და სუვერენულ სახელმწიფოში და ეს სურვილი გათვალისწინებული უნდა იყოს,"** - აღნიშნულია ჯონ კერის განცხადებაში.

მუხროვანის ფაქტი უკომენტაროდ არც მეზობელი ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელ სერგეი ლავროვს დაუტოვებია და მუხროვანში ქართველი სამხედროების ამბოხის მცდელობა "საქართველოს ხელისუფლების მორიგ პროვოკაციად" შეაფასა. **"საქართველოს ხელისუფლებამ მსგავსი პროვოკაციებით თავი კარგად დაგვამახსოვრა. დარწმუნებულნი ვართ, მუხროვანის ინციდენტი ნატო-ს წვრთნების დაწყებას შემთხვევით არ დაემთხვა, რადგან ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე წვრთნების ჩატარების წინააღმდეგი ვიყავით,"** - აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის ამიერკავკასიის განყოფილების გამგე მიხეილ ალექსანდროვი მუხროვანის ამბოხის კომენტირებისას აცხადებს, რომ ამ ინციდენტს საქართველოს ხელისუფლების პროვოკაციად ვერ აღიქვამს. **" ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს სიტუაცია საქართველოს ხელისუფლების მიერ პროვოცირებულად და რუსეთის წინააღმდეგ მიმართულად განვიხილოთ, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი ნატო-ს სწავლებების წინ მიხეილ სააკაშვილისთვის ეს, უბრალოდ, არახელსაყრელი იქნებოდა და მას ეს ყოველივე თავისი ნატოელი სპონსორების წინაშე საჩოთირო მდგომარეობაში ჩააყენებდა. ალბათ, მომხდარი მაინც უბრალო, სტიქიური ბუნტი იყო - მცირე ხელფასით, ცუდი კვებითა და უზრუნველყოფით გამოწვეული. სხვათა შორის, ეს საქართველოსთვის ძალიან დამახასიათებელი ეპიზოდია: შესაძლოა, ბუნტის წამომწყებებმა იფიქრეს, რომ ნატო-ს სწავლებების წინ ამ ბუნტის ორგანიზებას უფრო მეტი რეზონანსი ექნებოდა და საქართველოს ხელისუფლების დამხობაზე არავინაც არ ფიქრობდა,"** - აცხადებს ალექსანდროვი. მისი თქმით, რაც შეეხება მუხროვანის ინციდენტის გამო საქართველოს ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ვერსიას, ალექსანდროვის აზრით, ყოველივე საქართველოს შს სამინისტროს გამონაგონია და სხვა არაფერი. **"საქართველოს შს სამინისტრომ ნატო-ს წინაშე თავის გასამართლებლად მოიგონა "რუსული კვალის" არსებობა ამ ამბოხში. არადა რა გამოდიოდა - სწავლებები იწყება და ამ დროს ამბოხია ჯარში. უბრალოდ, მათ უკეთ უნდა მიხედონ არმიას,"** - აცხადებს ალექსანდროვი.

რაც შეეხება ქართველი პოლიტიკოსების პოზიციას, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით მუხროვანის ინციდენტი სერიოზული შესასწავლია.

როგორც დავით დარჩიაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, დღეს სამხედრო ნაწილებში კიდევ არსებობს იმის განცდა, რომ საქართველო შესაძლოა, 90-იანი წლების დასაწყისს დაუბრუნდეს და ეს ფაქტი ძალიან ბევრ კითხვას აჩენს.

**"შესაძლოა, საზოგადოების გარკვეულ ფენებში იყოს 90-იანი წლებისადმი ნოსტალგია, მაგრამ ის, რომ ეს ტენდენცია იყოს ჯარის ნაწილებში, თუნდაც ძალიან მცირე ნაწილში, შემაშფოთებელია და საჭიროა იმის ანალიზი, თუ რატომ მოხდა ასე. მიმაჩნია, რომ ამ პროცესში პარლამენტიც უნდა ჩაერთოს, თუმცა ეს უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც დასრულდება აღნიშნული ფაქტის გამოძიება,"** - აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

ოპოზიციონერთა შეფასებით კი, ჯარში ხელისუფლების მიმართ სერიოზული პროტესტი გაჩნდა და ამიტომ ხელისუფლებამ ჯარის დისკრედიტაცია დაიწყო. **"თუ საჯარისო ნაწილებში პოლიციის ფორმების შეტანას აქვს ადგილი, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უნდა ჯარის გამოყენება საკუთარი რეჟიმის გადასარჩენად. ხელისუფლებამ დაიწყო ჯარის დისკრედიტაცია, რადგან ჯარში ხელისუფლების მიმართ სერიოზული საპროტესტო განწყობაა. თუ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ სურს ჯარის დისკრედიტაცია და აპირებს, ჯარი პოლიციის ფორმაში გამოიყვანოს, ეს იქნება მორიგი დანაშაული ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ არა მგონია, რომ ქართული ჯარი ამას დათანხმდეს,"** - აცხადებს ეკა ბესელია.

# სამხედრო ექსპერტის აღიარებითი ჩვენება

ხათუნა გიგაური

*შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაკავებულმა სამხედრო ექსპერტმა, პოლიტოლოგიის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის დეკანმა ვახტანგ მაისაიამ, რომელიც ჯაშუშობაშია ეჭვმიტანილი, გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცა. ვახტანგ მაისაია გუშინწინ საღამოს დააკავეს. მის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას სამართალდამცველებმა კომპიუტერი და დისკები ამოიღეს.*

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად გაირკვა, რომ ვახტანგ მაისაიას კავშირი აქვს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლებთან და მათგან მიღებული დავალებების შესაბამისად, ამზადებდა და დაშიფრული სახით, ელექტრონული ფოსტით გზავნიდა სხვადასხვა ინფორმაციას, რომელთა ნაწილი სახელწიფო საიდუმლოებას შეიცავდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციითვე, მის მიერ გაგზავნილ მასალებს შორის იყო ინფორმაცია საქართველოში არსებული სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებისა და სამთავრობო ცვლილებების შესახებ.

**"ის გზავნიდა ინფორმაციას აგრეთვე საქართველოს მიერ შეძენილი შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის შესახებ. ვახტანგ მაისაიას ქმედებაში საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული - ჯაშუშობა იკვეთება, რომელიც თავისუფლების 12 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს,"** - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

შსს-ს ინფორმაციით, მაისაია რუსეთის დაზვერვის ოფიცერ ვინმე ტონისთან უკრაინელმა პროფესორმა დელეჟანმა დააკავშირა. თავად ვახტანგ მაისაია გავრცელებულ ვიდეომასალაში საუბრობს, რომ ის დელეჟანს ნიკოლაევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ვინმე ალიონა ლაცუზკომ გააცნო. დაკავებულის განმარტებითვე, ის დელეჟანს პირველად 2003 წელს, მიუნხენში შეხვდა და სწორედ იქ გაიცნო ვინმე ტონი, რომელიც მისგან ჯერ ანალიტიკური ხასიათის მასალებს ითხოვდა, შემდეგ კი, უკვე ოპერატიული სახის ინფორმაციაც მოითხოვა. მაისაის განცხადებით, ის ინფორმაციების სანაცვლოდ 7000 ევროს და პრემიებს იღებდა. ერთ-ერთი ასეთი პრემია - 3000 ევრო მას "ბაზის ბანკში" ჩაერიცხა.

მაისაიას აღიარებითი ჩვენებიდან, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა, ირკვევა, რომ იგი 2008 წლის აგვისტოში, საქართველო-რუსეთის ომის პერიოდში, საქართველოს შეიარაღებული ძალების დანაყოფების, სამხედრო ტექნიკის რაოდენობის და დისლოკაციის ადგილების შესახებ ინფორმაციას საათობრივად აწვდიდა დამკვეთს. მიწოდებული ინფორმაციების სანაცვლოდ კი, მაისაიასთვის "ბაზის ბანკში", მის პირად ანგარიშზე თანხა ირიცხებოდა.

სამხედრო ექსპერტის დაკავების შესახებ, გუშინ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავდაცვის სმინისტროში გამართული შეხვედრის დროს ისაუბრა. პრეზიდენტის განცხადებით, ექსპერტი, რომელსაც თავის დროზე ნატო-ს საქართველოს წარმომადგენლობაში მაღალი დიპლომატიური თანამდებობება ეკავა, მტრების ინტერესების სასარგებლოდ მუშაობდა.

**"ეს ადამიანი არა მხოლოდ მუშაობდა ჩვენს მტერზე, არამედ აგვისტოში, ომისას მოწინააღმდეგეს ჩვენი ჯარების პოზიციების შესახებ ინფორმაციას ყოველ ორ საათში ერთხელ აწვდიდა. პირველ რიგში, ინფორმაციას აწვდიდა იმ პოზიციებზე, რომლებიც თბილისში იყო განლაგებული,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

ვახტანგ მაისაია 1994-1996 წლებში ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტში, მრჩევლის თანამდებობაზე მუშაობდა, 1996-1997 წლებში - პარლამენტის თავმჯდომარის აპარატში, ანალიტიკური სამსახურის უფროსად, 1997-1999 წლებში - საქართველოს პრეზიდენტთან არსებული დსთ-სა და კავკასიის საკითხთა ბიუროში სახელმწიფო მრჩევლად, 1999-2001 წლებში - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დაზვერვის მთავარ სამმართველოში მრჩეველ-კონსულტანტად, 1999-2004 წლებში - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ნატოს სამმართველოში იყო პირველი მდივანი, მუშაობდა ასევე სამმართველოს უფროსის მოადგილედ, უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 2004-2008 წლებში მუშაობდა ნატო-ში, საქართველოს წარმომადგენლობაში, მრჩეველ-კონსულტანტად.

დაკავებულის აღიარებითი ჩვენების გარდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ის წერილებიც, რომლის საფუძველზეც ვახტანგ მაისაია ჯაშუშობაში ეჭვმიტანილად ცნეს. გთავაზობთ, მაისაიას მიერ გაგზავნილ შეტყობინებებს, რომელსაც შსს აქვეყნებს.

**მოხსენება N64-08-08**

*2008 წლის 8 აგვისტო*

**"ამ დროისათვის, ჩემი ინფორმაციის თანახმად, ჩამოყალიბდა და ცხინვალში გაიგზავნა რეზერვისტთა 20 ბატალიონი, ხოლო აფხაზეთის სავარაუდო საბრძოლო ხაზებზე - 5 ბატალიონი. საქართველოს შეიარაღებული ძალების შეტევით ოპერაციებში გამოიყენა 27 ერთეული GRAD-ის რეაქტიული მასიური საარტილერიო სისტემა და სასაზღვრო საბრძოლო თვითმფრინავი SU-25 SCORPION (მხოლოდ ხუთი თვითმფრინავი მოქმედებს). საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაბომბეს ჩრდილოეთ ოსეთიდან როკის გვირაბით ჯავასთან (ცხინვალის ჩრდილოეთი ნაწილი) დამაკავშირებელი ოსეთის კონტროლირებად სპეციალურ გადასავლელ "გზირზე" გამავალი კოლონები."**

**მოხსენება N81-10-08**

*2008 წლის 9 ოქტომბერი*

**მასიური ცეცხლის სარაკეტო სისტემები, როგორიცაა LAR-160, რომელიც საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა საქართველოში ომის დროს, კონკრეტულად კი, მისი საშუალებით მოხდა ცხინვალისკენ როკის გვირაბის გავლით მოძრავი რუსული სამხედრო კოლონის (დაახლოებით 500 სამხედრო ტანკი და შეჯავშნული ტრანსპორტიორი) სრული განადგურება საქართველოს არტილერიის მიერ წარმოებული დაბომბვის შედეგად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ გამოყენებული LAR-160 სარაკეტო სისტემა (დაახლოებით 20 ერთეული) გადაურჩა რუსეთის საჰაერო ძალების დაბომბვას (რუსები ძალიან აქტიურად და დიდი მონდომებით დაეძებდნენ აღნიშნულ სისტემას) და კვლავ ქმედუნარიანია. 160-მმ-იან სარაკეტო სისტემას შეუძლია 45 კმ-ის მანძილზე ჭურვების სროლა და კასეტური ჭურვებითაც კი შეუძლია მოქმედება".**

**მოხსენება N05-02-09**

*2009 წლის*
*8 თებერვლის ჩათვლით*

**"მე მაქვს ერთი თხოვნა. ჩემი საფოსტო კორესპონდენციის ვადა ამოიწურება 2009 წლის ივნისში, მე კი უნდა მივიღო 4000 ევრო მაისში, რათა შევიძინო მანქანა თბილისში გადაადგილებისათვის და მისი შეძენა მომიწევს მიმდინარე წლის ივნის-ივლისში. თქვენ შეგიძლიათ თანხა ჩემს ანგარიშზე გადარიცხოთ ბრიუსელში ING ბანკში, როგორც ეს უკვე გააკეთეთ 2006 წელს, როდესაც გადამირიცხეთ 3500 ევრო. და კიდევ, თუ ჩემი მუშაობა თქვენს დეპარტამენტში მოწონებას დაიმსახურებს, მსურს უზრუნველმყოთ ლეპტოპით, რომელზეც სპეციალურად თქვენს მოხსენებებზე ვიმუშავებ. თუმცა, ეს არ არის იმდენად საჩქარო, რამდენადაც მანქანის თანხა, რომელიც აპრილ-მაისში უნდა მქონდეს".**

# მუხროვანის ამბოხების დეტალები სამხედროების ჩვენებებში

*მუხროვანის სატანკო ნაწილი ჩვეულ რეჟიმში სამსახურს რამდენიმე დღეში დაუბრუნდება. ბაზაზე სრული სიმშვიდეა. ტერიტორიას შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმები და სამხედრო პოლიცია აკონტროლებს. ბატალიონში დააბრუნეს ის ჯარისკაცები, რომლებმაც გამოძიებას ჩვენებები უკვე მისცეს. გენერალური შტაბის ბრძანებით, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის რაოდენობას შეამოწმებს.*

მუხროვანის სატანკო ნაწილის ამბოხების საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძებნილებად გამოაცხადა ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები ლევან ამირიძე, კობა ოთანაძე და გია კრიალაშვილი. შსს-მ ინფორმაციის მიწოდებისათვის, თითოეულ ძებნილზე ჯილდოდ - 50 ათასი ლარი დააწესა. იმ პირებს, ვისაც რაიმე ინფორმაცია გააჩნია ეჭვმიტანილების ადგილსამყოფელის შესახებ, შსს სთხოვს, დაუკავშირდნენ პოლიციის უახლოეს განყოფილებას, ან დარეკონ 022-ზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ ახალი ვიდეომასალა გაავრცელა - დაკავებული სამხედროებისა და ასევე დაკავებული რამდენიმე სამოქალაქო პირის ჩვენებები.

გავრცელებულ მასალაში თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის "დელტას" ყოფილი მეთაური გია ღვალაძე აცხადებს, რომ იგეგმებოდა სამხედრო ამბოხი, თბილისში სამხედრო ტექნიკა და 500 სამხედრო უნდა შემოსულიყო. ღვალაძის თქმით, ტექნიკური საკითხების გარკვევა კობალაძემ მას ოთანაძესთან ურჩია.

**"კობა კობალაძემ მითხრა, ამ მთავრობის საქმე წასულია, ამათ დიდი დღე აღარ უწერიათ, მიშა დღეს ან ხვალ გადადგება, მაგრამ ვინ მოვა, კაცმა არ იცის, ჩვენ უნდა მოვიდეთო,"** - ასეთია "დელტას" ყოფილი მეთაურის გია ღვალაძის აღიარებითი ჩვენების მოკლე შინაარსი.

მაიორ მარდონი ჭიხვანაის, ლეიტენანტ ხვიჩა სადაღაშვილის, მაიორ ალეკო ნადიბაიძის, ვიცე-პოლკოლკოვნიკ ზაზა ოქროპირიძის, მაიორ გიორგი სამადალაშვილის, მაიორი ვაჟა შველიძის, მაიორი კახაბერ ჯოლბორდის და უფროსი ლეიტენანტის კახაბერ გოგიჩაიშვილის ჩვენებების მიხედვით, ბატალიონში დილის მოწყობა 5 მაისს, დაახლოებით, 07:30 საათზე გაიმართა. მოწყობის დროს სამხედროებს ბატალიონის მეთაურმა მამუკა გორგიაშვილმა განუცხადა, რომ იგი დაუმორჩილებლობას აცხადებდა.

**"გორგიაშვილმა ბატალიონს თავდაცვაზე გადასვლა და ნაწილის ტერიტორიაზე უცხო პირების არდაშვება გვიბრძანა. 15-20 წუთის შემდეგ დაიქოქა ტექნიკა, ტანკები პერიმეტრზე განლაგდნენ, ტექნიკა განლაგდა ბატალიონის გარშემო, წრიულად, ტერიტორიიდან არავინ უნდა გასულიყო, და იქ არავინ უნდა შემოსულიყო,"** - აცხადებენ დაკავებული სამხედროები შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში. მათი ჩვენებებიdანვე ირკვევა, რომ ბატალიონის ტერიტორიაზე, ამბოხის დროს რამდენიმე სამოქალაქო პირი იმყოფებოდა, რომლებიც "კალაშნიკოვის" ავტომატებით იყვნენ აღჭურვილი. სამხედროების ჩვენებებში ფიგურირებს მაიორი ლევან ამირიძე, რომელმაც, ერთ-ერთი ჯარისკაცის ჩვენებით, ამბოხამდე რამდენიმე კვირით ადრე, მას უთხრა, რომ 5 აპრილს, დილით, სამხედრო ნაწილი დაცვის ქვეშ უნდა აეყვანა. რაც შეეხება დაკავებული სამოქალაქო პირების ჩვენებებს. ისინი აცხადებენ, რომ სამხედრო ნაწილში მისვლა კობა ოთანაძემ დაავალათ.

გამოძიების მსვლელობისას მუხროვანის ბატალიონში მყოფი ყველა სამხედრო დაიკითხება.

მუხროვანის სატანკო ბატალიონის ამბოხებასთან დაკავშირებით, დაკავებულები არიან სატანკო ნაწილის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი მამუკა გორგიაშვილი, რომელმაც სამართალდამცველებს აღიარებითი ჩვენება დაკავებისთანავე მისცა. დაკავებულია ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი კობა კობალაძე. ყოფილ სარდალს, სავარაუდოდ, კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი გზით დამხობის მცდელობის ბრალდებას წარუდგენენ. როგორც კობა კობალაძის ინტერესების დამცველი გელა ნიკოლაიშვილი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, სიმართლის დასადგენად, გამოძიებასთან აუცილებლად ითანამშრომლებს.

მუხროვანის ინციდენტთან დაკავშირებით დაკავებული, თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის "დელტას" ყოფილი მეთაურის გია ღვალაძის ნათესავი გურამ სამსონაშვილი "მოდულის" შენობიდან უკვე გაათავისუფლეს.

ადვოკატ ლევან სამუშიას ინფორმაციით, გურამ სამსონაშვილისთვის ჩვენება არ ჩამოურთმევიათ. **"ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ჯართან არანაირი შეხება არ დაუდასტურდა,"** - განმარტავს ადვოკატი.

## მსჯავრდებული ნაწილობრივ გამართლდა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ქურდობის 2 ეპიზოდში მსჯავრდებული ნაწილობრივ გაამართლა და 13-წლიანი სასჯელი გაუნახევრა.

წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევმა თამაზ მალამაშვილმა 2008 წლის სექტემბერში, დედა-შვილის - მანანა კორკოტაძისა და ნიკოლოზ გათაშვილის საცხოვრებელი ბინა გაქურდა, საიდანაც მობილური ტელეფონი, მაგნიტოფონი და ტანსაცმელი მოიპარა.

ქურდობიდან მეორე დღეს მან ცოლ-ქმრის - ლეილა სტეფანიანისა და მოსკო უსუპიანის საცხოვრებელი ბინაც გაქურდა, საიდანაც 2 მობილური ტელეფონი, ხელჩანთა და 53 ლარი მოიპარა. დანაშაულებრივი წარსულის მქონე თამაზ მალამაშვილი პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და ქურდობის ორი ეპიზოდისთვის 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა. ადვოკატმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში ცვლილებების შეტანა და მსჯავრდებულის ქურდობის მეორე ეპიზოდში გამართლება მოითხოვა.

ადვოკატის მტკიცებით, თამაზ მალამშვილმა ნამდვილად ჩაიდინა დედა-შვილის ბინის ქურდობა, რასაც იგი აღიარებდა და ინანიებდა, ხოლო ცოლ-ქმრის ბინის ქურდობასთან მას არანაირი კავშირი არ ჰქონია, რაც ადვოკატის განმარტებით, უტყუარი მტკიცებულებებითაც ვერ დასტურდებოდა.

სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულმა სრულად აღიარა დედა-შვილის გაქურდვის ფაქტი, ხოლო ცოლ-ქმრის გაქურდვაში მან თავი უდანაშაულოდ ცნო და გამართლება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, მოწმეთა ჩვენებები და მივიდა დასკვნამდე, რომ მალამაშვილი მეორე ეპიზოდში უნდა გამართლებულიყო, რადგან საქმეში მართლაც არ მოიპოვებოდა მისი ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით, თამაზ მალამაშვილი 13 წლისა და 6 თვის ნაცვლად ციხეში მხოლოდ 6 წელს გაატარებს.

## ჟურნალისტის ცემის გამო სამი პირი დააკავეს

საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციით, "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ჟურნალისტის ნიკოლოზ ავალიანის მიმართ განხორციელებული ხულიგნობის ფაქტზე, 2009 წლის 6 მაისს ეჭვმიტანილის სახით დააკავეს გიორგი ონიანი, რევაზ რევაზიშვილი და მელორ ვაჩნაძე.

ორი დღის წინ "პირველ არხთან" მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს ოპოზიციის აქტივისტებსა და ტელევიზიის შენობიდან გამოსულ ჟურნალისტ ნიკა ავალიანს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა, რა დროსაც აქტივისტებმა ჟურნალისტი ცემეს.

ოფიციალური ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II და III ნაწილებით.

წინასწარი გამოძიება ნიკოლოზ ავალიანის მიმართ განხორციელებული ხულიგნობის ფაქტზე თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილებაში დაიწყო.

"მოძრაობა 7 ნოემბრის" ახალგაზრდული შტაბის წევრი გიორგი ონიანი პოლიციამ ღამის 2 საათზე დააკავა. რა ვითარებაში დააკავეს რევაზ რევაზიშვილი, უცნობია.

"9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის" წევრი მელორ ვაჩნაძე კი, მისი შტაბის წევრების მტკიცებით, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა გაიტაცეს.

"9 აპრილის ახალგაზრდული" შტაბის წარმომადგენლის ჯაბა ჯიშკარიანის ინფორმაციით, დილის 8 საათზე, რუსთაველის გამზირზე, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული, ხელკეტებით შეიარაღებული პირები, მელორ ვაჩნაძეს თავს დაესხნენ და გაიტაცეს.

**"ავტომანქანაში სამი ადამიანი ვიყავით. დილით გვეძინა, მოულოდნელად, უცნობი პირები მოვარდნენ, ჩაამტვრიეს საქარე მინა. ვცადე მანქანიდან გადმოსვლა, რადგან მანქანები მოაყენეს და ცდილობდნენ სამივეს მოტაცებას. ოთხი მანქანით, დაახლოებით 18 ადამიანი იყო მოსული. წინააღმდეგობა გავუწიეთ. დაიყო ჩხუბი და ამ დროს შევძელი თავის დაღწევა. გამოვიარე დაახლოებით 50 მეტრი, სადაც უკვე ჩემი მეგობრები ჩამოვიდნენ და ეს ადამიანები იძულებულები გახდნენ, დაეტოვებინათ ტერიტორია,"** - აცხადებს ჯაბა ჯიშკარიანი.

მოგვიანებით, გიორგი ონიანის, რევაზ რევაზიშვილის და მელორ ვაჩნაძის დაკავების ფაქტზე არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ პრესკონფერენცია გამართა.

საზოგადოებრივი დამცველის ადვოკატების ინფორმაციით, მელორ ვაჩნაძე, გიორგი ონიანი და რევაზ რევაზიშვილი ქალაქის მთავარ სამმართველოში იზოლატორში არიან გადაყვანილები და სამივე ნაცემია.

გიორგი ონიანისა და მელორ ვაჩნაძის ადვოკატის ნათია კორკოტაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირები კანონის დარღვევებით დააკავეს.

**"გიორგი ონიანი საკუთარი სახლიდან სპეცრაზმის თანამშრომლებმა საცვლების ამარა გამოიყვანეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. რამდენიმე საათის განმავლობაში ადვოკატები მისი ადგილსამყოფელის დადგენას ვცდილობდით, ბოლოს მას 7-8 საათის შემდეგ მივაკვლიეთ. გიორგი ონიანის მიმართ განხორციელდა წამების ფაქტი. იგი ჯერ ძველი თბილისის სამმართველოში მიიყვანეს, სადაც პოლიციელები გაუპატიურებით დაემუქრნენ. ონიანს სირცხვილის კორიდორი მოუწყვეს და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს,"** - განაცხადა ნათია კორკოტაძემ.

რაც შეეხება მეორე დაკავებულს მელორ ვაჩნაძეს, ადვოკატის განცხადებით, მის მიმართაც განხორციელდა წამება.

**"რუსთაველის 24-ის მიმდებარე ტერიტორიიდან მელორ ვაჩნაძე მანქანიდან უცხო პირებმა მოიტაცეს, წაიყვანეს ძველი თბილისის სამმართველოში. ისიც, როგორც ონიანი, სირცხვილის კორიდორში გაატარეს და სასტიკად სცემეს. ამის შემდეგ გადაიყვანეს ვაჟა-ფშაველაზე, "მოდულის" შენობაში, სადაც ჟურნალისტ ნიკა ავალიანის მეგობრებმა მელორ ვაჩნაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს,"** - ირწმუნება ადვოკატი.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წარმომადგენლებმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადეს, გუშინწინ, დღენახევრის განმავლობაში დაკავებულია 28 ადამიანი, რომლებიც არა იურიდიული ქმედებით, არამედ ყოველგვარი იდენტიფიცირების გარეშე გაიტაცეს. რამდენიმე მათგანი ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია.

საზოგადოებრივი დამცველის ადვოკატები 9 აპრილიდან დღემდე ნაცემ პირებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას ითხოვენ.

*საკუთარი ინფორმაცია*

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

# 2,200,000 ლარი
# სესხის გაცემა

# 9,000,000 ლარი
# სულ გაცემული ფინანსური რესურსი

M
marneuli

## შპს. "მარნეულის სასურსათო ქარხანას"

აპრილი, 2009

კომერციული ბანკების მიერ ქვეყანაში კერძო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. მოხარულნი ვართ, რომ "საქართველოს ბანკმა" სწორედ ჩვენზე შეაჩერა არჩევანი და ახლა ბანკის სახით საიმედო პარტნიორი გვყავს", განაცხადა "მარნეულის სასურსათო ქარხნის" დირექტორმა, გიორგი დეკანოსიძემ.

"მარნეულის სასურსათო ქარხანა" ქართული წარმოების წარმატებისა და განვითარების თვალსაჩინო მაგალითია, რომლის პროდუქციამ დამსახურებული ადგილი დაიკავა ბაზარზე. მოხარული ვართ, რომ საშუალება გვეძლევა დავუჭიროთ მხარი ადგილობრივ წარმოებას, რომელსაც კარგი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია. ბანკი მომავალშიც იმუშავებს ამ მიმართულებით", განაცხადა "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი გილაურმა.

# მართებული სვლა "ეკონომიკური პერლ ჰარბორის" შემდეგ

## ბაფეტი აშშ-ს საფინანსო სისტემას იწონებს

ხათუნა ბაბიევი

ეკონომიკური კრიზისის დაძლევაზე, რისთვისაც მთელი მსოფლიო დაუღალავად შრომობს, ცხადია, ფიქრობს და მოქმედებს შეერთებული შტატებიც, საიდანაც დაიწყო კიდეც გასულ წელს მსოფლიო ეკონომიკური ვარდნა. გავლენიანი ამერიკელი ინვესტორის უორენ ბაფეტის შეფასებით, გასული წლის შემდეგ, რომელიც ოფიციალური ვაშინგტონისთვის ნამდვილი "ეკონომიკური პერლ ჰარბორი" იყო, შეერთებული შტატების ხელისუფლება, საერთო ჯამში, სწორ ნაბიჯებს დგამს ეკონომიკის აღსადგენად. დადებითი შეფასებით ბაფეტი თავისი კომპანიის (Berkshire Hathaway) სხდომაზე გამოვიდა, რომელიც ნებრასკას შტატში, ომაჰაში გაიმართა და 35 ათასი აქციონერი ესწრებოდა.

ყოველწლიური სხდომა, სადაც აქციონერები ყოველთვის აღტაცებით ხვდებიან ბაფეტს, უკვე ატარებს "კაპიტალისტების ვუდსტოკის" სახელს.

გასული წელიწადი საკმაოდ უარყოფითი აღმოჩნდა კომპანიისთვის, რომლის კაპიტალი 10 პროცენტით შემცირდა, ხოლო თავად ბაფეტმა თავისი ქონებიდან 25 მლრდ აშშ დოლარი დაკარგა. მართალია, ფინანსისტი ხელისუფლების სამოქმედო პროგრამას იწონებს, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ კომპანიის დაზარალება მიმდინარე წელსაც გაგრძელდება.

**"2008 წელი დაუჯერებლად მარცხიანი იყო, ხოლო ეკონომიკამ "ფინანსური ქარიშხალი" გადაიტანა. შეერთებული შტატების ხელისუფლების რეაქცია სწორი იყო და ზოგადად მას დადებითად ვაფასებ,"** - აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას ბაფეტმა და იქვე ისიც დაამატა, რომ არავის აქვს უფლება, უზადო მოქმედებებს ელოდეს.

მისი თქმით, თეთრი სახლის ადმინისტრაციის ქმედებები მიმართულია ეკონომიკური ვარდნის შესაჩერებლად და ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად. ამის მიუხედავად, მას გაუჭირდა, კონკრეტულად დაესახელებინა ის დრო, როდესაც ამერიკის ფინანსურ ბაზარზე მდგომარეობა გამოსწორდება.

გასული წელიწადი უორენ ბაფეტისთვის განსაკუთრებით წარუმატებელი აღმოჩნდა. პრესის მიმომხილველთა შეფასებით, მან თითქოს დაკარგა მომგებიანი აქტივების შეძენისთვის აუცილებელი "ყნოსვა". ეს კი განსაკუთრებით მაშინ გახდა შესამჩნევი, როდესაც ბაფეტმა ნავთობზე ფასების მკვეთრად დაცემის წინ მსხვილი ნავთობკოპანია "ConocoPhillips"-ის აქციების მსხვილი პაკეტის შეძენით 3 მლრდ აშშ დოლარი დაკარგა. წარსულში უორენ ბაფეტს არაერთხელ უღიარებია, რომ "უგუნური" საინვესტიციო გაანგარიშებებიც ჰქონია, მაგრამ ეს ნაბიჯი 40 წლის საქმოსნისთვის, რომელიც "ომაჰელი ბრძენის" მეტსახელითაა ცნობილი, კარიერაში სერიოზული წაფორხილებაა.

ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის გეგმის შესახებ 78 წლის ბიზნესმენის კომენტარმა იმითაც მიიქცია ყურადღება, რომ იგი სიმდიდრით, ბილ გეიტსის შემდეგ, მსოფლიოში მეორე ადამიანია. "ფორბსის" მონაცემებით, მიმდინარე წლის მარტში ბაფეტის პირადი ქონება 37 მილარდ აშშ დოლარს შეადგენდა.

# ღორის გრიპის მორიგი მსხვერპლი ამერიკაში

## ვირუსი გავრცელებას სწრაფი ტემპით განაგრძობს

მარიკა იაშვილი

ღორის გრიპმა ამერიკის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გარდაცვლილია ტეხასის შტატში მცხოვრები ქალი. აშშ-ში ვირუსის პირველი მსხვერპლი 2 წლის ბავშვი გახდა, რომელიც ამერიკაში აპრილის ბოლოს მექსიკიდან ჩავიდა.

სააგენტო "ასოშიეითედ პრესის" ცნობით, გარდაცვლილი ქალი, რომლის ვინაობაც უცნობია, 30 წელზე ოდნავ მეტის იყო.

ტეხასის ხელისუფლების ცნობით, შტატში ღორის გრიპით სულ 61 ადამიანია დაავადებული.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაციით, მსოფლიოს 21 ქვეყანაში ამჟამად 1490 დაავადებულია რეგისტრირებული.

ვირუსის მატარებელთა რაოდენობის მხრივ ლიდერები არიან მექსიკა და ამერიკა, ამ ქვეყნებში შესაბამისად 840 და 403 ადამიანია დაავადებული.

აშშ-ში ერთი დღის განმავლობაში ვირუსით ინფიცირების 100-ზე მეტი შემთხვევა დადასტურა, თუმცა მედიკოსები ამტკიცებენ, რომ ამის მიზეზი არა ვირუსის გავრცელების ტემპის ზრდა, არამედ მიღებული ანალიზების შედეგებია.

ამავდროულად ამერიკის ჯანდაცვის მინისტრი კეტლინ სებელიუსი აღიარებს, რომ ვირუსი ამერიკასა და მთელ მსოფლიოში გავრცელებას განაგრძობს და გარდაცვლილთა რაოდენობა, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია საზოგადოებას მოუწოდებს, დაავადების მიმდინარეობის შედარებით მსუბუქი ფორმების გამო არ მოდუნდნენ და აფრთხილებს, რომ პანდემიის საშიშროება კვლავ არსებობს.

დაავადების კიდევ ერთი შესაძლო შემთხვევა გამოვლინდა ჩინეთშიც. ჰოსპიტალიზირებულია რუსი სტუდენტი. იგი ქალაქ გუილინში შანხაიდან ჩავიდა, რომელმაც მექსიკის რეისები მიიღო. გავრცელებული ინფორმაციით, გოგონას მაღალი ტემპერატურა და ერთი ფილტვის ანთება აქვს. ექიმები ჯერჯერობით კომენტარისგან თავს იკავებენ და ზუსტ დიაგნოზს არ ამბობენ. შესაბამისად, დაუდასტურებელია, არის თუ არა სტუდენტის ავადმყოფობის მიზეზი ღორის გრიპი.

ვრცელდება საწინააღმდეგო ინფორმაციაც, რომ პაციენტს არავითარი საშიში ინფექცია არ აღენიშნება და მას, უბრალოდ, ფილტვების ანთება აქვს. ამ ინფორმაციის მიხედვით, ის ჰოსპიტალიზირებული არ არის, თუმცა საჭირო პროცედურების ჩასატარებლად საავადმყოფოში რეგულარულად დადის.

ცნობილი გახდა, რომ ჩინეთის მთავრობა A/H1N1 გრიპის ვირუსთან საბრძოლველად 5 მილიარდ იენს - 735 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს. შესაბამისი გადაწყვეტილება ქვეყნის მთავრობის მეთაურმა ვენ ცზიაბომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს მუდმივი კომიტეტის სხდომაზე მიიღო.

ქვეყნის საზღვრებზე მკაცრი კონტროლი გრძელდება, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნის მგზავრებისა და ტვირთის, სადაც A/H1N1 ვირუსის შემთხვევები დადასტურდა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიის საფრთხის მაჩვენებელი 6 ქულიანი სისტემიდან მე-5 დონეზე აიყვანა. შესაბამისად, ქვეყნების მთავრობები ცდილობენ, პანდემიის თავიდან ასაცილებლად ყველა ხერხს მიმართონ. მაგალითად, ამერიკის ჯანდაცვითმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა ებრძოლო ღორის გრიპს სახლის პირობებში. ამერიკის ჯანდაცვის დეპარტამენტის ერთ-ერთი ქვედანაყოფის - დაავდების კონტროლისა და პრევენციის ცენტრის რჩევით, ავადმყოფი სიმპტომების გამოვლენისა და ციებ-ცხელების დასრულებიდან, მინიმუმ, 7 დღეს სახლიდან არ უნდა გავიდეს, არ უნდა გადაიღალოს და კარგად დაისვენოს.

გარდა ამისა, მათ უნდა მიიღონ სუფთა სითხეები - წყალი, ბულიონი, სპორტსმენებისთვის განკუთვნილი სასმელები, ბავშვის წვენები, რომლებიც ელექტროლიტებს შეიცავს. ეს გაუწყლოვნებისგან ორგანიზმის დაცვას შეუწყობს ხელს.

დაავადევის კონტროლისა და პრევენციის ცენტრი ავადმყოფებს ურჩევს, ხველებისა და ცემინების დროს სახე დაიფარონ, ხელები ხშირად დაიბანონ საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხელის სითხეებით დაიმუშაონ, განსაკუთრებით კი ხელსაწმენდების გამოყენების ან ხველებისა და ცემინების დროს სახეზე ხელების აფარების შემდეგ. გარდა ამისა, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს სხვა ადამიანებთან კონტაქტი. კატეგორიულად აკრძალულია სამსახურში ან სკოლაში სიარული.

დოკუმენტში, რომელშიც რეკომენდაციებია გამოქვეყნებული, ნათქვამია, რომ ღორის გრიპს სიმპტომთა ფართო სპექტრის - ციების, ყელის ტკივილის, სისუსტის, ხველების, თავის ტკივილის, კუნთების და სახსრების ტკივილის, აგზნებადობის, ზოგ შემთხვევაში კი დიარეისა და ღებინების გამოწვევა შეუძლია.

დაავადების კონტროლისა და პრევენციის ცენტრის განცხადებაში ნათქვამია, რომ დაავადება პაცინეტებში, ისევე როგორც სეზონური გრიპები, სხვადასხვა სირთულით მიმდინარეობს და შესაბამისად, ანტივირუსული პრეპარატების მიღების აუცილებლობას ყველა დაავადებული არ განიცდის. ამიტომ უკლებლივ ყველა მათგანმა კონსულტაცია ექიმთან უნდა გაიაროს. ხშირ შემთხვევაში გრიპი რომელიმე ბაქტერიულ ინფექციას ერწყმის, ამიტომ გარდა ანტივირუსული პრეპარატისა, აუცილებელია შესაბამისი ანტიბიოტიკების მიღებაც.

ცენტრი ამერიკის მოქალაქეებს მკაცრად აფრთხილებს, რომ გრიპის სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში არ დალიონ ასპირინი (აცეტილსალიცილის მჟავა) ან ასპირინის შემცველი ნებისმიერი პრეპარატი, რამაც შესაძლოა ბავშვებსა და მოზარდებში "რეის სინდრომის" სახელით ცნობილი უმძიმესი დაავადება გამოიწვიოს.

რეკომენდაციის თანახმად, ავადმყოფისთვის სასწრაფო დახმარების გამოძახება მაშინ არის სავალდებულო, თუ მას სუნთქვის პრობლემა ან მკერდის არეში ტკივილი შეენიშნება, ასევე სახიფათო მაჩვენებელია დაშაშრული ან გალურჯებული ტუჩები და გაუწყლოვნების ნიშნები, მაგალითად, თავბრუსხვევა ადგომის დროს, ცრემლების უქონლობა. გარდა ამისა, ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს პირღებინება, შეტევები, მაგალითად, გაუკონტროლებელი კონვულსიები, შენელებული მოქმედება ან უცნაური საქციელი.

დაავადების კონტროლისა და პრევენციის ცენტრში აცხადებენ, რომ ეს დროებითი რეკომენდაციაა, რომელიც საჭიროების მიხედვით განახლდება.

### სერგეი ლავროვი აშშ-ში შეხვედრებს გამართავს

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ვაშინგტონში აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს შეხვდება. აღნიშნული შეხვედრისას საუბარი შეეხება ამერიკასა და რუსეთს შორის ამჟამად არსებულ ურთიერთობებს, რომლებიც ე.წ. "გადატვირთვის" სტადიაში იმყოფება. საუბარი ასევე შეეხება სტრარტეგიული თავდასხმითი იარაღის შემცირების შესახებ ახალი შეთანხმების გაფორმებას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ სერგეი ლავროვის ვიზიტზე საუბრისას აღნიშნა, რომ მინისტრის ამერიკაში ვიზიტის მიზანია არსებული "გადატვირთვის გამყარება და გამოჩენილ შესაძლებლობათა ახალი ფანჯრის გამოყენება." მისივე თქმით, გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია, "დადგინდეს ის საკითხები, რომელთა ფარგლებში ივლისში მოსკოვში დაგეგმილი აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას ვიზიტი უფრო ნაყოფიერი გახდება." რუსული მედია აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას აღნიშნავს, რომ სერგეი ლავროვის ვიზიტი აშშ-ში რუსეთსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის ურთიერთობების გაცივების ფონზე დაიწყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი პირობა დადო, რომ ხისტი რეაქცია ექნება ბრიუსელიდან რუსი დიპლომატების გამოძევებაზე. ნესტერენკოს თქმით, აშშ-ში სერგეი ლავროვის ვიზიტი საკმაოდ დატვირთული იქნება. აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის გარდა, ვაშინგტონში გაიმართება შეხვედრა კონგრესის ხელმძღვანელობასთან. სერგეი ლავროვი სიტყვით გამოსვლას გეგმავს კარნეგის ფონდში. ამის შემდეგ კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ახლო აღმოსავლეთისადმი მიძღვნილ სხდომაზე გამოვა სიტყვით. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ევროკავშირს სოციალური კრიზისი ემუქრება

ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრ ჟან კლოდ იუნკერის განცხადებით, ევროკავშირს სოციალური კრიზისი ემუქრება. ჟან კლოდ იუნკერი ამავდროულად ევროზონის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების ევროჯგუფის ხელმძღვანელია. "ჩვენ ვიმყოფებით ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ეპიცენტრში და ჩვენ სოციალური კრიზისისკენ მივემართებით," - განაცხადა ჟან კლოდ იუნკერმა. იუნკერმა მოუწოდა ევროპულ საწარმოებს, არ დაუშვან თანამშრომელთა მასობრივი დათხოვნა და პრობლემების წარმოქმნისას გამოიჩინონ სოციალური პასუხისმგებლობა დასაქმებულთა არასრულ განაკვეთზე გადაყვანის მეშვეობით. ევროჯგუფის ხელმძღვანელმა უკმაყოფილება გამოთქვა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ 7 მაისს პრაღაში დაგეგმილ ევროსამიტზე დასაქმების საკითხების სტატუსის დაწევის გამო, რომლის განხილვასაც ევროკომისია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერების დონეზე მოითხოვდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რეცესია ევროზონის ქვეყნებში უფრო სერიოზული იქნება

ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული პროგნოზის მიხედვით, რეცესია ევროზონის ქვეყნებში უფრო სერიოზული იქნება, ვიდრე ამას წლის დასაწყისში ვარაუდობდნენ. ადრე ევროკომისიის ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ 2009 წლის ბოლოსთვის ეკონომიკური ვარდნა ევროზონის ქვეყნები 2 პროცენტის ფარგლებში იქნება და მომავალი წლიდან ევროზონა ეკონომიკური ზრდის ფაზაში შევიდოდა. ამჟამინდელ მოხსენებაში 2010 წლისთვის ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი არ არის. მოხსენების მიხედვით, 2009 წელს რეცეზია, სავარაუდოდ, 4 პროცენტის ფარგლებში იქნება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროზონის ქვეყნებში ეკონომიკური ვარდნა მიმდინარე წელს 4,2 პროცენტის ფარგლებში იქნება, ხოლო 2010 წლისთვის, მათი შეფასებით, ვარდნის ტემპები 0,4 პროცენტამდე შემცირდება. აღნიშნული არცთუ სახარბიელო პროგნოზი გამოქვეყნდა მაშინ, როდესაც ევროპაში უმუშევრობა იზრდება. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ 2010 წლისთვის უმუშევართა რაოდენობა ევროზონის ქვეყნებში 10 პროცენტს მიაღწევს, ხოლო 2010 წელს იგი 11 პროცენტამდე გაიზრდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ბარაკ ობამამ და ვიცე-პრეზიდენტმა იაფფასიან სასადილოში ისადილეს

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა 5 მაისს ლანჩის დროს თეთრი სახლი დატოვეს და ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ სასადილოში ისადილეს. Ray's Hell Burger-ი სწრაფი კვების ობიექტია, რომელიც პრეზიდენტის რეზიდენციიდან რამდენიმე კილომეტრში, პატარა ქალაქ არლინგტონში (ვირჯინიის შტატი) მდებარეობს. ობამა და ბაიდენი ჩვეული მოკვდავებივით რიგში ჩადგნენ, შეკვეთილი ჩიზბურგერის ღირებულება 6 დოლარი და 95 ცენტიც თითოეულმა თავად გადაიხადა. Ray's Hell Burger-ში სტუმრობით ობამამ და ბაიდენმა ამ დაწესებულებას საკმაოდ სოლიდური რეკლამა გაუკეთეს. როგორც მიმომხილველები აცხადებენ, ამ ჟესტით მათ მოახდინეს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის დემონსტრირება, რომელიც არსებული კრიზისის პირობებში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გერმანიის პრეზიდენტი: მიმდინარე კრიზისი გზას უხსნის "ახალ და კარგ" კაპიტალიზმს

მიმდინარე კრიზისი გზას უხსნის "ახალ და კარგ" კაპიტალიზმს, რომელიც დაეფუძნება ეკონომიკის განვითარების სოლიდარობას, სოციალურ და ეკოლოგიურ პრიორიტეტებს. ანგლოამერიკულმა "კაზინოს კაპიტალიზმმა" კი თავისი წარუმატებლობა დაადასტურა, - ამის შესახებ გერმანიის პრეზიდენტმა ხორს კოლერმა განაცხადა. კოლერი მიიჩნევს, რომ გერმანიამ უნდა ააშენოს ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც დაეფუძნება სოლიდარობის, სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის პრინციპებს. არსებული კრიზისის დაძლევის შემდგომ ქვეყნის მიზანი უნდა გახდეს ენერგიის ახალი, სუფთა წყაროები, სამუშაო ადგილების შექმნა, ინოვაციურ სექტორში საყოველთაოდ აღიარებული ბრენდის "გერმანული ხარისხი" ექსპლუატაცია, მედიცინის და განათლების განვითარება. კოლერის თქმით, ეს პრინციპი არ ნიშნავს კაპიტალიზმის დასასრულს. "თავისი წარუმატებლობა დაადასტურა არა კაპიტალიზმმა, არამედ კაპიტალიზმმა წესების, შიდა ფასეულობებისა და რეალობის ადეკვატური ხედვის გარეშე," - განაცხადა გერმანიის პრეზიდენტმა. გერმანიის პრეზიდენტისთვის მიუღებელია ის ვითარება, როდესაც საფინანსო ელიტა მეტწილად დუმს, ხოლო მრავალი მაღალი თანამდებობის მენეჯერი მილიონობით პრემიას იღებს, "მაშინ როდესაც კრიზისი სასტიკად აისახება უბრალო ადამიანებზე, რომელთაც მსოფლიო ეკონომიკის ნგრევასთან არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვთ." **ჯი-ეიჩ-ენი**

## შესაძლოა, კილიმანჯაროს ვულკანის ამოფრქვევა მოხდეს

ტანზანიელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ 2009 წლის ნოემბრისთვის შესაძლოა, კილიმანჯაროს ვულკანის ამოფრქვევა მოხდეს. მეცნიერთა მონაცემებით, ბოლოს კილიმანჯაროს ვულკანის ამოფრქვევა 100 ათასი წლის წინ მოხდა. იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერების ეს ვარაუდი დადასტურდა, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება კილიმანჯაროდან 200 კილომეტრის რადიუსში მცხოვრები მოსახლეობა. შესაძლებელია განადგურდეს ქალაქები მარანგუ, ხიმო, ნიაპადა, რუკურამბო და მოშის ადმინისტრაციული ცენტრი, სადაც 140 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ლავას ასევე შეუძლია გაანადგუროს კენიის რამდენიმე ქალაქიც. კილიმანჯაროს მთის მასივი სამი ვულკანისგან შედგება. ვულკანი კიბოს პიკი რუხუ აფრიკის უმაღლეს წერტილად არის მიჩნეული და მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 5 895 მეტრს შეადგენს. კილიმანჯარო ტანზანიასა და კენიის საზღვარზე მდებარეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სომხეთის საწაროებმა კონიაკის წარმოება შეამცირეს

სომხეთის საწაროებმა 2009 წლის იანვარ-მარტში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კონიაკის წარმოება 36,8 პროცენტით შეამცირეს, რაც 2 მილიონ 339,4 ათას ლიტრს შეადგენს. ქვეყნის ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, პირველ კვარტალში ქვეყანაში წარმოებული იყო 2 მილიონ 649,5 ათასი ლიტრი არაყი, რაც 12,1 პროცენტით აღემატება 2008 წლის პირველი კვარტლის მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში დაფიქსირებულია ღვინის პროდუქციის ზრდა 4 პროცენტით, ხოლო ლუდი 14,3 პროცენტით ნაკლებია წარმოებული. შამპანური ღვინოების წარმოებამ მიმდინარე წელს 41,8 ათასი ლიტრი შეადგინა (ზრდა 14,5 პროცენტი). სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში 2,8 პროცენტითაა შემცირებული უალკოჰოლო სასმელების წარმოება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ვაშინგტონის საქალაქო საბჭომ ერთსქესიანი ქორწინების კანონპროექტი მოიწონა

ვაშინგტონის საქალაქო საბჭომ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ერთსქესიან ქორწინებას ითვალისწინებს. ქალაქის ხელისუფლების გადაწყვეტილებას კონგრესის მხარდაჭერა სჭირდება, რის შემდეგაც იგი კანონის ძალას შეიძენს. საქალაქო საბჭოში კენჭისყრის დროს საბჭოს 13 წევრიდან კანონპროექტს 12-მა დაუჭირა მხარი და მხოლოდ ერთი იყო წინააღმდეგი. კონგრესში შეტანამდე კანონპროექტი კოლუმბიის ოლქის ხელმძღვანელ ადრიან ფენტის წარედგინება, რომელიც, თავის მხრივ, ერთსქესიანი ოჯახების ლეგალიზაციის მომხრეა. დღეისთვის ერთსქესიანი ქორწინება ამერიკის ოთხ შტატში - ვერმონტში, კონექტიკუტში, მასაჩუსეტსში და აიოვაშია დაკანონებული. სხვა შტატებში შესაბამისი კანონპროექტების განხილვა მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციით, ასეთივე სახის კანონპროექტი ნიუ იორკის შტატის გუბერნატორმაც მოამზადა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "მაიკროსოფტი" 3 600 თანამშრომლის შემცირებას აპირებს

ამერიკული კომპანია "მაიკროსოფტი" უახლოეს პერიოდში ეკონომიკური სიძნელეების გამო 3 600 თანამშრომლის შემცირებას აპირებს. კორპორაციის გენერალურ დირექტორ სტივ ბალმერის თქმით, კომპანია იძულებულია, შეამციროს ხარჯები და თანამშომლების დათხოვნას ამ მიზნით აპირებს. რამდენიმე ხნის წინ კომპანიამ განაცხადა, რომ უახლოეს წელიწადნახევარში სამსახურიდან 5 ათასი ადამიანის გაშვებას აპირებდა. დღემდე 1400 თანამშრომელია დათხოვნილი. კომპანიის მენეჯმენტი არ აკონკრეტებს იმ ქვეყნებს, სადაც თანამშრომელთა დათხოვნას განახორციელებს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კომპანიის შემოსავალმა 32 პროცენტით იკლო და 2,98 მილიარდი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ავღანეთის მოსახლეობა ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა

ივა შილაკაძე


AFP ' 2009

ავღანეთში ბოლო დღეებში სხვადასხვა ადგილას ზედიზედ რამდენიმე ტერაქტი მოხდა, რომლებსაც მშვიდობიანი მოსახლეობა შეეწირა, ყველაფერ ამას კი დაემატა მსხვერპლი ამერიკული ავიაციის დარტყმების შედეგად - უკანასკნელი მონაცემებით, 100 ადამიანამდე, მათ შორის არიან ქალები და ბავშვები.

4 მაისს პროვინცია ზაბულში, ქვეყნის სამხრეთში, გზაზე დამონტაჟებული ნაღმის აფეთქებას 12 მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა, ძირითადად - ქალები და ბავშვები. კიდევ 6 კაცი, დაცვის კომერციული სამსახურის თანამშრომლები, ჩასაფრებულ ტერორისტებს ემსხვერპლნენ. ორი მოქალაქე მძიმედ არის დაჭრილი. ქვეყნის აღმოსავლეთში, პროვინცია ლაგმანში, კამიკაძე ტერორისტის მსხვერპლი გახდა ქალაქის მერი, მისი დაცვა და ადგილობრივი მცხოვრებნი, სულ 7 კაცი. პაკისტანის შინაგან საქმეთა სამინიტროს ცნობით, შახიდის ქამარი 14 წლის მოზარდს ეკეთა. კიდევ 10 ადამიანი, მათ შორის სამი ქალი, დაიჭრა მუნიციპალური ადმინისტრაციის შენობასთან მომხდარი თავდასხმის შედეგად.

5 მაისს ბევრად უფრო მძიმე შედეგები მოჰყვა ამერიკის ავიაციის ოპერაციას ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, პროვინცია ფარახში. იქ საჰაერო რეიდების სერიას ორ სოფელში 100 მშვიდობიან მცხოვრებზე მეტი შეეწირა. ორი დღის განმავლობაში დაღუპულების ზუსტი რაოდენობა უცნობი იყო, სახელდებოდა სხვადასხვა ციფრები - ოცდაათიდან ას ორმოცდაათ კაცამდე. ეტყობა, ოპერაცია გრძელდებოდა და იქ ახლოს მისვლას ვერც ადგილობრივი პოლიცია ბედავდა და ვერც სამედიცინო პერსონალი. ბოლო მონაცემები "ფრანს პრესმა" საერთაშორისო წითელ ჯვარსა და ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით გაავრცელა. დაღუპულებს შორის ბევრია ქალი და ბავშვი. მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი მაშინ დაიღუპა, როდესაც საბრძოლო მოქმედებების რაიონის დატოვებას ცდილობდნენ.

თალიბანთან და უსამა ბინ ლადენთან ავღანეთში ომის დაწყების შემდეგ ამერიკული ავიაციის დაბომბვებს პერიოდულად ყოველთვის ახლდა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, მაგრამ ეს ერთ-ერთი მძიმე ტრაგიკული შემთხვევაა მთელი ბოლო წლების განმავლობაში. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა საერთოდ ყველანაირად ცდილობს, თავიდან აიცილოს მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და ამჯერადაც მზად არის, ავღანეთის შესაბამის უწყებებთან ერთად გამოიძიოს აღნიშნული ტრაგიკული ინციდენტი.

გუშინ ვაშინგტონში დაიწყო აშშ-ს, ავღანეთისა და პაკისტანის პრეზიდენტების სამმხრივი შეხვედრა, რომელზეც, ძირითადად, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს განიხილავენ. ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ ამ ბოლო შემთხვევამდეც განაცხადა, რომ ბარაკ ობამასთან შეხვედრისას აპირებდა, დაეყენებინა ავღანეთის მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის საკითხი ანტიტერორისტული ოპერაციების მსვლელობისას. ალბათ ამჟამად ეს თემა სამიტზე უფრო მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

ავღანეთში აგვისტოში პრეზიდენტის არჩევნებია დაგეგმილი. ცხადია აქტიურდებიან ტერორისტებიც. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კოალიციის წევრებს სულ უფრო მეტი ძალისხმევა უწევთ. ცოტა ხნის წინ ავსტრალიამ განაცხადა, რომ 450 კაცით გაზრდის თავის ძალებს ავღანეთში. დღეს იქ, დაახლოებით, 1100 ავსტრალიელი სამხედრო მოსამსახურეა და ეს ყველაზე დიდი კონტიგენტია ნატო-ს წევრი ქვეყნების გარდა. ავსტრალიელები, რომლებიც, ძირითადად, ავღანეთის არმიის გაწვრთნით არიან დაკავებულნი, ასევე მონაწილეობას მიიღებენ პრეზიდენტის არჩევნების უსაფრთხოების ღონისძიებებში.

ამ ორიოდე კვირის წინ ავღანეთში იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნიც. მანაც ყურადღება გაამახვილა ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ისაუბრა ავღანეთის შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის რიცხოვნობის ზრდის აუცილებლობაზე. ბრაუნმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას პროვინციებზე კონტროლი თანდათანობით უნდა გადაეცეს, როგორც ეს ერაყში გაკეთდა.

# შვარცნეგერი მზად არის, მარიხუანას ლეგალიზების საქმე განიხილოს

### მარიხუანა ბევრ ამერიკელ პოლიტიკოსს გაუსინჯავს

მარიკა იაშვილი

კალიფორნიის გუბერნატორი არნოლდ შვარცნეგერი მზად არის, კალიფორნიის შტატში მარიხუანას ლეგალიზების შესახებ საჯარო დებატები მოაწყოს. ამ ნაბიჯის მომხრეების აზრით, "მოსაწევის" გაყიდვიდან მიღებული გადასახადები კალიფორნიისთვის შემოსავლის შესანიშნავ წყაროდ იქცევა და კრიზისის პირობებში ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

კითხვა იმის შესახებ, ხომ არ აჯობებს მარიხუანას სასმელთან გაიგივება, შტატის "რესპუბლიკელ" გუბერნატორს და ჰოლივუდის ყოფილ ვარსკვლავს მაშინ დაუსვეს, როდესაც ის ხალხის წინაშე სიტყვით გამოდიოდა და მათ მოსალოდნელ ხანძართან ბრძოლის შესახებ ესაუბრებოდა.

"არა მგონია, რომ ამის დრო მოვიდა, მაგრამ ვფიქრობ, ამ საკითხის განხილვის დრო ნამდვილად მოვიდა," - უპასუხა კითხვას "რკინის არნიმ." "მიმაჩნია, რომ ყურადღებით უნდა შევისწავლოთ იმ ქვეყნების მდგომარეობა, სადაც მარიხუანა და სხვა ნარკოტიკები უკვე ლეგალიზებულია. უნდა გავარკვიოთ, თუ რა შედეგები მოუტანა მათ ლეგალიზებამ და ხომ არ ნანობენ ასეთი გადაწყვეტილების მიღებას," - აღნიშნა გუბერნატორმა.

აშშ-ში მარიხუანაზე აკრძალვა 1937 წლიდან მოქმედებს, თუმცა კალიფორნიის მოსახლეობას ნარკოტიკის ამ სახეობისადმი საკმაოდ ლიბერალური დამოკიდებულება აქვს. 1996 წელს კალიფორნია გახდა პირველი შტატი, რომელმაც კანაბისის სამედიცინო მიზნებით გამოყენებაზე თანხმობა გასცა. ფონდ Field Poll - ის მიერ ცოტა ხნის წინათ ჩატარებულმა გამოკითხვამ კი აჩვენა, რომ ამომრჩეველთა 56 პროცენტი მარიხუანას ლეგალიზებასა და მის დაბეგვრას მხარს უჭერს.

შვარცნეგერის თქმით, ფული არ არის ერთადერთი მიზეზი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზების საკითხის განხილვის დროს. 2004 წელს გუბერნატორმა ვეტო დაადო კანონპროექტს, რომელიც პაციენტებს, რომელთაც ექიმებმა მარიხუანა გამოუწერეს, ნებას აძლევდა იგი გათვალისწინებულზე დიდი რაოდენობით მიეღოთ.

21 წლის ზემოთ ასაკის პირებზე "მოსაწევის" გაყიდვის დაკანონების წინადადებით კალიფორნიის საკანონმდებლო საბჭოს წევრი ტომ ამიანო გამოვიდა - დემოკრატი სან-ფრანცისკოდან. მისი თქმით, ეს შტატს დამატებით 1.3 მილიარდ დოლარ შემოსავალს მოუტანს. აღსანიშნავია, რომ კალიფორნიის ბიუჯეტის დეფიციტი ბევრად უფრო დიდ თანხას შეადგენს.

მარიხუანას ლეგალიზების მომხრეები გადაწყვეტილების მიღების კიდევ ერთ დადებით მხარეზე საუბრობენ. მათ აზრით, თუ პოლიცია იძულებული აღარ იქნება, რომ კანაბისის მომხმარებლებს სდიოს, შეძლებს, ბევრად უფრო სერიოზულ დანაშაულთან ბრძოლით დაკავდეს.

შვარცნეგერი არ მალავს, რომ ახალგაზრდობაში "მოსაწევს" იყენებდა. ექს-პრეზიდენტ ბილ კლინტონისგან გასხვავებით, რომელიც ამტკიცებდა, რომ მოუწევია, მაგრამ არ "დაბოლილა", შვარცნეგერი აცხადებს: "მომიწევია და დავბოლილვარ კიდეც, მაგრამ ეს 70-იანებში იყო. მას შემდეგ არ მივკარებივარ."

შვარცნეგერის მსგავსად, აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამაც აღიარებს, რომ ახალგაზრდობაში მარიხუანა გაუსინჯავს. თუმცა ის ამ ნარკოტიკის ლეგალიზაციის წინააღმდეგ გამოდის და მიაჩნია, რომ კანაბისით ვაჭრობის ხარჯზე ამერიკის ბიუჯეტის გამყარება შეუძლებელია.

როგორც 2007 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, ამერიკელების უმეტესობა - 68 პროცენტი მიიჩნევს, რომ მარიხუანას მოხმარება პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებასთან შეთავსებადია. მაგრამ თუ პრეზიდენტობის კანდიდატი კოკაინის მომხმარებელი იქნებოდა, მას მოსახლეობის 74 პროცენტი არ მისცემდა ხმას.

# რევიუ



AFP ' 2009

*გუსტავ ეიფელის ქმნილებას, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ლითონის კონსტრუქციაა, წელს 120 წელი შეუსრულდა. მისი სიბერე ერთხანს, 2008 წელს, ლურჯმა განათებამ შენიღბა. ყოველ შემთხვევაში, ღამით ის ბრწყინავდა და თუ მის სანახავად დღის შუქზე არ გაიქცეოდით, მის არც თუ სიმპატიურ გამომეტყველებას ვერ შენიშნავდით. მაგრამ 2009 წლიდან საფრანგეთი ევროპარლამენტის თავმჯდომარე ქვეყანა აღარაა და შესაბამისად საოცრად ეფექტური განათება ძველმა, ყვითელმა შეცვალა. ამ და სხვა მიზეზებმა ქალაქის ხელმძღვანელობას საბოლოოდ გადააწყვეტინა, რომ ეიფელის კოშკის გადაღებვის დრო დადგა. გადაღებვის და იქნებ მოხატვისაც კი. ის, თუ რა შედეგს გამოიღებს მხატვართა ჯგუფის მუშაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი.*

## ნეფერტიტის ბიუსტის ორიგინალობა საეჭვოა

შვეიცარიელმა სპეციალისტმა, ჰენრი შტირლინმა (Henri Stierlin) განაცხადა, რომ ნეფერტიტის ბიუსტი, რომელიც ბერლინის მუზეუმში ინახება, ყალბია. ამის შესახებ AFR იუწყება.

შტირლინს აქვს რამდენიმე ნაშრომი ძველი ეგვიპტის, ახლო აღმოსავლეთისა და ისლამური კულტურის შესახებ. ის თავის ახალ წიგნში ამტკიცებს, რომ ცნობილი ბიუსტი 1912 წელს დამზადდა. მისი მოსაზრებით, ბიუსტის ფალსიფიკაციასთან დაკავშირებულია გერმანელი არქეოლოგი ლიუდვიგ ბორჰარდტი, ვისი თხოვნითაც მხატვარმა გერარდტ მარკსმა (Gerardt Marks) “ნეფერტიტის ბიუსტი” შექმნა. ამასთან, მარკსმა გამოიყენა გათხრებისას ბორხარდტის მიერ აღმოჩენილი ეგვიპტელთა უძველესი საღებავები.

საკუთარი მოსაზრების დასამტკიცებლად, შტირლინს შემდეგი არგუმენტები მოჰყავს: პირველ რიგში, იმის გამო, რომ ბიუსტი დამზადებულია ქვისგან, რომელიც დაფარულია ბათქაშის რამდენიმე ფენით, მისი დათარიღები თითქმის შეუძლებელია; მეორე: ქანდაკების მხრები ვერტიკალურად არის ჩამოჭრილი, რაც XIX საუკუნის ევროპული ბიუსტებისთვისაა დამახასიათებელი, მაშინ როცა ეგვიპტურ გამოსახულებებს ეს ჰორიზონტალურად ჰქონდათ; მესამე: შტირლინის გამოკვლევის თანახმად, თავდაპირველად ბიუსტს მარცხენა თვალი არ ჰქონდა, რაც ასევე ეწინააღმდეგება ძველი ეგვიპტელების მოსაზრებას - ისინი ბიუსტებში ადამიანთა მსგავსებას მაქსიმალურად ასახავდნენ და შეიძლება ითქვას, რომ მათ ასლს ქმნიდნენ.

ასე რომ, ერთადერთი, რაც საშუალებას გვაძლევს ბიუსტი დავათარიღოთ, ეს არის საღებავები, რომლებიც მართლაც უძველესია. შტირლინი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ პირველი დეტალური ანგარიში არქეოლოგიური გათხრების შესახებ, რომელიც XX საუკუნის დასაწყისშივე ჩატარდა, მხოლოდ 1923 წელს, ნეფერტიტის ბიუსტის აღმოჩენიდან



11 წლის შემდეგ გამოქვეყნდა.

ფართოდ გავრცელებული ვერსიის თანახმად, ნეფერტიტის ბიუსტი ლუდვიგ ბორხარდტმა 1912 წელს, ელ-ამარნაში თუთმოსის ეგვიპტელი მოქანდაკისა და მხატვრის სახელოსნოს გათხრისას აღმოაჩინა. არქეოლოგმა ეს ბიუსტი გერმანიაში გაიტანა და მოგვიანებით ის ბერლინის მუზეუმში აღმოჩნდა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ბიუსტი ძვ.წ.აღ-ის XIV საუკუნეშია შექმნილი. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ქანდაკება შექმნილია ძველაღმოსავლური ხელოვნებისთვის უჩვეულო და არადამახასიათებელი მოდელირების სიზუსტითა და პირობითობის უარყოფით.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ეგვიპტის ხელისუფლება დრო და დრო ცდილობს ხელოვნების ცნობილი ნაწარმოები დაიბრუნოს, მაგრამ ბერლინის მუზეუმის თანამშრომლები მათ ყოველ ჯერზე უარით ისტუმრებენ და ექსპონატს დროებითი გამოფენების დროსაც კი არ ატანენ.

დათო ტურაშვილის ხუთშაბათი



# მუხროვანი

მიტინგებზე, უბრალოდ მისვლაც კი მეკრძალება, მაგრამ ერთხელ მაინც მოვახერხე იმ ხალხის ნახვა, ვინც პარლამენტის წინ დგას და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ეს ხალხი, აშკარად ჯობია ქართულ პოლიტელიტას. თუმცა ჩემთვის ეს არ არის ახალი აღმოჩენა და ხუთი წლის წინაც ასე იყო და მანამდეც, ხელისუფლებაში მოსახვედრად, ცუდი ადამიანები იყენებდნენ კარგი ადამიანების გულწრფელ განზრახვებს. ასე იყო და ალბათ ჩვენს ქვეყანაში კიდევ კარგა ხანს ასე იქნება და ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილიც ისევ შეიკავებს თავს ხელისუფლებაში მოხვედრისაგან. ხელისუფლებაში კი ისევ ისინი მოხვდებიან, ვისაც ძალაუფლება ანგარებით უყვარს, ოღონდ ზოგიერთებს სხვა სახელი და გვარი ექნება და მათ შორის კი ძალიან ცოტანი იქნებიან ისეთები, ვისთვისაც ძალაუფლება სახელმწიფოსთვის უანგარო სამსახურია. ამიტომაც მირჩევნია რომ ახლანდელ ხელისუფლებაში, იქნებ ახლა მაინც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მიხვდებიან რომ აუცილებლად უნდა დათმონ ის, რაც ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიულ ცვლილებებს გამოიწვევს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი თავიდან გვექნება დასაწყები.

სახელმწიფო კი საძირკვლიდან იწყება, როგორც ნებისმიერი შენობა და სახელმწიფოს საძირკველი კი - სახელმწიფო ცნობიერებაა, რომელიც ყოველთვის გვაკლია და ვერ ვიჯერებთ, რომ კანონის უზენაესობა უმთავრესი პირობაა ჩვენი თავისუფლების, წარმატებისა და კეთილდღეობისათვის. ძალიან კარგია რომ ძალადობის გამო პასუხს ვთხოვთ მათ, ვინც პირველი არხის ჟურნალისტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, მაგრამ ასეთივე პრინციპულები უნდა ვიყოთ მაშინაც, როცა არასამთავრობო ტელევიზიის ჟურნალისტებს ან ოპოზიციის მხარდამჭერ ადამიანებს სცემენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერასოდეს შევქმნით ევროპული ტიპის სამართლებრივ სახელმწიფოს და მხოლოდ იმას მივაღწევთ, რასაც რუსები აშენებენ - ისევ საბჭოთა ქვეყანას, სადაც კერძო სექტორს, მასმედიასა და სასამართლოს, ხელისუფლება აკონტროლებს და საბჭოთა საქართველოში ცხოვრება კი, მართლა აღარ მინდა.

ამიტომაც ვეძებ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებაში ადამიანებს, ვისაც ჩემსავით სურს რომ საქართველო ევროპული ტიპის ქვეყანა იყოს და ქართული სახელმწიფოც დემოკრატიულ ფასეულობებსა და ღირებულებებს ეფუძნებოდეს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. ასე რომ არ იყოს, სამივე ტელევიზიაში, რომელიც ხელისუფლებას ემორჩილება, ჩემნაირი ადამიანების გამოჩენას არ აკრძალავდნენ და რა გამოსაჩენი მე ვარ, მაგრამ ფაქტია რომ სიმართლის მოსმენა ხელისუფლებასაც ისევე არ სიამოვნებს, როგორც ეგრეთწოდებულ ოპოზიციას.

რადგან ოპოზიცია ვახსენე, პატრიარქის იმ ფრაზასაც გავიმეორებ, რომელიც მან სულ რამდენიმე დღის წინ ბრძანა - ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც არიან ჭკვიანი ადამიანები და იმედია ისინი დიალოგის აუცილებლობასაც მიხვდებიანო.

დაახლოებით მაინც შემიძლია წარმოვიდგინო (ვარაუდის დონეზე მაინც), ოპოზიციის რომელი წარმომადგენლები იგულისხმა პატრიარქმა, მაგრამ ვერაფრით მივხვდი ვისზე აქვს ეჭვი ხელისუფლებიდან და თუ პატრიარქთან შეხვედრის შესაძლებლობა მექნება, აუცილებლად ამ კითხვით მივმართავ რომ ბოლოსდაბოლოს ამოვისუნთქო.

თუმცა მანამდეც ამოვისუნთქავ, თუ ხელისუფლების ერთი წარმომადგენელი მაინც აღიარებს რომ ადამიანების დაუნდობლად ცემა ღამ-ღამობით (მხოლოდ განსხვავებული აზრის გამო), ისეთივე ანტისახელმწიფოებრივი მოვლენაა, როგორც პირველი არხის ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილი ძალადობა.

P.S. რაც შეეხება მუხროვანს, პირადად მაშინვე რობინზონ ჯამასპიშვილი გამახსენდა, რომელიც ახალგაზრდობაში ქვემო ვერაზე, "ტანც-გეურქას" დუქნის წინ ბირჟაობდა ხოლმე და იმ დღესაც, 1961 წლის 12 აპრილს, სწორედ იქ შეიტყო იური გაგარინის კოსმოსში გაფრენის ამბავი. ეს ინფორმაცია იმდენად დაუჯერებელი აღმოჩნდა ბატონი რობინზონისთვის, რომ მან მაშინვე, იქვე თქვა თავისი ცნობილი და ისტორიული ფრაზა:

- მაგასა ჭამს ბიჯო, რობინზონა ჯამასპიშვილი?!

არადა იმ დღეს იური გაგარინი მართლა გაფრინდა კოსმოსში...

# ძველი თბილისის არქიტექტურა არქიტექტორთა თვალით

ბელა ჩეკურიშვილი



"ჩვენ, ახალგაზრდა არქიტექტორები..." - ამგვარი განაცხადით გამოვიდნენ ტექნიკური უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები არქიტექტორთა კავშირში მოწყობილ ფოტო კონკურსზე, სადაც ძველი თბილისის არქიტექტურის თემაზე 97 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

1 ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია სამხატვრო აკადემიის სტუდენტს, ქეთი გორდეზიანს გადაეცა, შემდეგ კი ჟიურის ქულები ისე განაწილდა, რომ II და III ხარისხის დიპლომი და პრემია ზურაბ ყანჩაშვილს ერგო. წამახალისებელი დიპლომები გადაეცათ ნატა ძამუნაშვილს, თიკო ბუაძეს და ავთო მხეიძეს.

ფოტოკონკურსი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ ჩამოყალიბებული ახალგაზრდა არქიტექტორთა კლუბის ფარგლებში ჩატარდა, რომლის შექმნის მიზანი ახალგაზრდების პროფესიონალებთან დაახლოვებაა. როგორც სტუდენტების ანკეტური გამოკითხვიდან გაირკვა, მათ ინფორმაციის ნაკლებობა აწუხებთ და საგანმანათლებლო ლექციებს ითხოვენ. ამ მიზნით კლუბის ბაზაზე დაიგეგმა ლექციები, კონკურსები და გამოფენები, გასვლები არქიტექტურული ძეგლების შესასწავლად და ა.შ.

ამჯერად ფოტოკონკურსი სტუდენტებისგან ითხოვდა ძველი თბილისის არქიტექტურის იმ თვალით დანახვას, რასაც არქიტექტორის ხედვა ჰქვია.

სამხატვრო აკადემიის II კურსის სტუდენტმა ქეთი გორდეზიანმა კოლმეურნეობის მოედანთან ერთი სახლის ეზო გადაიღო, სადაც ორი განსხვავებული კიბე არქიტექტურულად საინტერესოდ ერწყმის ერთმანეთს.

როგორც ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, სამხატვრო აკადემიის რექტორმა, გია ბუღაძემ აღნიშნა არქიტექტორებად არ იბადებიან, არქიტექტორებად ყალიბდებიან, რაც საკმაოდ რთული გზაა გასავლელი. ეს გამოფენა კი სტუდენტთა არქიტექტორებად ჩამოყალიბებისაკენ გადადგმული პატარა ნაბიჯია.

**გია ბუღაძე:** "ამ ფოტოებიდან ვხედავთ, რომ სტუდენტები კარგად აზროვნებენ თვალით, მაგრამ ისინი ფუნქციურადაც უნდა აზროვნებდნენ, ვინაიდან არქიტექტორები უნდა გახდნენ. აქ მხატვრის თვალით გადაღებული ფოტოც ბევრია და არქიტექტორის თვალით გადაღებულიც, ამიტომ ჟიურის წევრები დილემის წინაშე დავდექით, როცა გადაწყვეტილებას ვიღებდით. მე გადავწყვიტე, არქიტექტორის თვალით გადაღებული ფოტოსთვის მიმეცა უპირატესობა.

2-3 თვის მერე კი ვისურვებდი, კლუბს მათი ჩანახატების კონკურსი ჩაეტარებინა, ანუ, გვენახა, როგორ აზროვნებენ ისინი ხელით".

როგორც ჟიურის თავმჯდომარემ, არქიტექტორმა და პროფესიონალმა ფოტოგრაფმა გია ჯაველიძემ გვითხრა, ჟიურიმ ფოტონამუშევრები შეაფასა ტექნიკური წუნის გაუთვალისწინებლად, რადგან მათთვის მთავარი სტუდენტების ხედვა და კომპოზიციის გრძნობა იყო, თუმცა კი ბევრი ნამუშევარი შეიძლება ტექნიკურად დაიხვეწოს და რათა უკეთ წარმოჩინდესეს ჩანაფიქრი.

გია ჯაველიძემ სტუდენტებს მასტერკლასის ჩატარება შესთავაზა, რათა მოხდეს მათი სრულყოფილი ინფორმირება, თუ როგორ აიყვანონ ტექნიკურად მაღალ დონეზე ფოტონამუშევრები.

არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის, დათო აბულაძის თქმით, ახალგაზრდა არქიტექტორთა კლუბის შექმნის მიზანი ისიცაა, რომ სტუდენტებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ. თბილისში ორი არქიტექტურული სკოლაა და გამოცდილების გაზიარება სტუდენტებს ძალიან წაადგებათ.

**დათო აბულაძე:** "როდესაც ჩვენ ვსწავლობდით, მეტი დრო ეთმობოდა სტუდიურ ურთიერთობებს, ჯგუფურ მუშაობას. ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა დროსთან ადეკვატური არ არის, სტუდენტები მეტ ინფორმაციას ითხოვენ, რისთვისაც ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაა საჭირო. არქიტექტორთა კავშირი შეეცდება, სხვადასხვა ღონისძიებებით სტუდენტთა განვითარებას შეუწყოს ხელი."

ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის კათედრის გამგემ გოჩა მიქიაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ამგვარი კონკურსები სტუდენტებში ახალ იმპულსებს გააღვიძებს. ამბობენ, პროფესიონალიზმი შეჯიბრში იბადება...

# მშვიდობისა და მუსიკის დღეები

"ვუდსტოკის" ფესტივალის საიუბილეო კონცერტებზე ლეგენდარული მუსიკოსები გამოვლენ

ნელ-ნელა სულ უფრო მეტი ხდება ცნობილი აგვისტოში მოსალოდნელი იმ კონცერტების შესახებ, რომლებიც 1969 წლის "ვუდსტოკის" ფესტივალის 40 წლის იუბილეს ეძღვნება. ფესტივალის ორგანიზატორებმა კონცერტების ჰედლაინერების სია გამოაქვეყნეს. მათ შორის კი ის ჯგუფები და შემსრულებლები არიან, რომლებიც 40 წლის წინანდელ კონცერტებშიც მონაწილეობდნენ, ახლა კი სცენაზე შემდეგი თაობის მუსიკოსებთან ერთად გამოვლენ.

მათ შორის არიან The Levon Helm Band, Jefferson Starship, Big Brother and the Holding Co., Ten Years After, Canned Heat, Mountain და ჯო მაკდონალდი. ამ სიას სავარაუდოდ აუცილებლად შეუერთდებიან The Who, Crosby, Stills and Nash, კარლოს სანტანა და ჯო კოკერი. მიმდინარეობს მოლაპარაკება რიჩი ჰეივენსთანაც, რომელმაც 1969 წლის ფესტივალი გახსნა და ამის გამო სამუდამოდ შევიდა თანამედროვე მსოფლიო მუსიკის ისტორიაში.

უკვე დადასტურდა ისიც, რომ კონცერტები უფასო იქნება, რაც მეტი მსმენელის მოსაზიდად და მათთვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად კეთდება. ამიტომ ფესტივალის ორგანიზატორები არ მალავენ, რომ ძალიან ბევრ მსმენელს ელოდებიან, რაც უსაფრთხოების ზომების გაძლიერებასაც მოითხოვს. ამერიკის გარდა კონცერტები გერმანიაშიც გაიმართება. ამჟამად მხოლოდ შემდეგია ცნობილი: ნიუ იორკის შტატში კონცერტები 15 და 16 აგვისტოს ჩატარდება (კონცერტებს Bethel Woods Center for the Arts უმასპინძლებს, რომელიც 1969 წლის ფესტივალის ჩატარების ადგილას ააგეს), ხოლო ბერლინი ფესტივალს 22 და 23 აგვისტოს უმასპინძლებს - ნაცისტური გერმანიის ყოფილი სამხედრო აეროპორტის ტერიტორიაზე.

პარალელურად ინტერნეტში გამოჩნდა ახალი თაობის შემსრულებელთა ალტერნატიული სიაც: Red Hot Chili Peppers,




Dave Matthews Band, Aerosmith, Lynyrd Skynyrd, Kid Rock, Lenny Kravitz, Matchbox, Finger Eleven, Deathcab for Cutie, შერილ ქროუ, Jet, ჯონ მაიერი, ტედ ნაგეტი, The Donnas, Guns N Roses, Stone Temple Pilots, Green Day, Jane's Addiction, My Chemical Romance, The White Stripes, The Black Crowes, ტომ პეტი, Buckcherry, Slunt, Van Halen, Motley Crue, U2, Coldplay, Bon Jovi, Foo Fighters, The Killers, Tenacious D და Maroon 5.

ვიდრე კონცერტების ჩასატარებლად ყველაფერი მზად იქნება, მისი ორგანიზატორები დამატებით ღონისძიებებზეც ზრუნავენ. მაგალითად, მზადდება ოთხ საათიანი დოკუმენტური ფილმი 1969 წლის ფესტივალის შესახებ, რომელშიც კარგად ნაცნობი სცენების გარდა ბოლო წლებში აღმოჩენილი კადრებიც შევა. ფილმი სახელწოდებით Woodstock: 3 Days of Peace And Music პირველად 1970 წელს გამოვიდა. მის ახალ ვერსიაში კი დამატებით შევა ბლუზმენების პოლ ბატერფილდისა და ჯონი უინტერის, ასევე ჯგუფების Creedence Clearwater Revival-ის, The Grateful Dead-ისა და Mountain-ის გამოსვლების ჩანაწერები. ფილმის პრემიერა ივლისის მიწურულსაა დაგეგმილი, რითაც "ვუდსტოკის" 40 წლის იუბილეს ოფიციალური აღნიშვნა დაიწყება.

# მაისში დანახული თბილისი

## "რა სჯობს მაისში ტიფლისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა"

ეკა ჩიქვაიძე

არ არსებობს ქართველი პოეტი, რომელსაც ერთი ლექსი მაინც არ ჰქონდეს დაწერილი თბილისზე, ყველა თავისებურად ეტრფოდა და გამოხატავდა მის მიმართ სიყვარულს. "ჰეი, რა საყვარელი ხარ. ჩვენო ჩახჩახა თბილისო", - წერდა გიორგი ლეონიძე. ძველი თბილისის მიმართ არანაკლები სიყვარული გააჩნდათ ქართველ მხატვრებსაც, თავის ნამუშევრებში აღწერდნენ და ახლაც აღწერენ თბილისის სხვადასხვა უბნებს თუ ხედებს.

დიდი ხანია თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისის თემატიკაზე გამოფენა გაეკეთებინა, განსაკუთრებით კი მაისის თბილისზე. ამაზე ფიქრი მათ მეფე ვახტანგ მეექვსის ლექსმა გადააწყვეტინა, რომელიც მაისის თბილისით იყო აღფრთოვანებული: "რა სჯობს მაისში ტიფლისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა" და გალერეა "ვერნისაჟთან" ერთად, თბილისის ისტორიის მუზეუმ "ქარვასლაში" გამოფენა სახელწოდებით "მაისის თბილისი" მოეწყო, სადაც 16 სხვადასხვა თაობის მხატვრის თბილისის თემაზე შესრულებული ნამუშევრები გამოფინეს. წარმოდგენილი იყო, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლების ნამუშევრები. ლევ ბოიახჩევის, ელენე ახვლედიანის, ესმა ონიანის, ზურა სეხნიაშვილის, ასევე თანამედროვე მხატვრების: ჯემალ კუხალაშვილის, თორნიკე აბულაძის, თემო მაჭავარიანის და სხვათა "თბილისები". გამოფენაზე წარმოდგენილი 64 ნამუშევრიდან, მხოლოდ 40 პროცენტი ასახავდა "მაისის თბილისს", დანარჩენები ზოგადად თბილისის თემატიკაზე იყო შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ შალვა მატუაშვილი ზოგადად არ არის თბილისის თემატიკაზე ორიენტირებული მხატვარი, გამოფენაზე მისი რამდენი ნამუშევარიც ვიხილეთ. სულ სხვა მიმართულებისა და ტენდენციების მხატვარია ოლეგ ტიმჩენკოც, თუმცა თბილისს ვერც ის გაქცევია და რამდენიმე ნახატიც შეუქმნია. მათგან განსხვავებით თემო მაჭავარიანის თემატიკა ყოველთვის თბილისი იყო და გამოფენაზეც მისი საკმაოდ შთამბეჭდავი ნამუშევრები იყო გამოფენილი.



*თემო მაჭავარიანის "თბილისი"*

"ჩვენთვის თბილისის თემატიკა ძირითადად ძველ თაობასთან არის დაკავშირებული, თითქოს ისინი სხვანაირად გრძნობდნენ, თითქოს სხვაგვარად უყვარდათ თბილისი. ახლანდელი თაობის მხატვრებში ასეთი სიყვარული დიდი იშვიათობაა, თუმცა საბოლოოდ კარგი გაერთიანება მოხდა და საინტერესო მხატვრები იღებენ გამოფენაში მონაწილეობას", - აღნიშნავს ექსპოზიციის კურატორი ლიკა მამაცაშვილი. ახლანდელი თაობის დიდი იშვიათობა გამოფენაზე სტუდენტ თორნიკე აბულაძის ნამუშევარი აღმოჩნდა, რომელშიც ძალიან დიდი სითბო და სიყვარული იყო ჩადებული. საკმაოდ ადრინდელი ორი ნახატი წარმოადგინა მხატვარმა ზურა სეხნიაშვილმა, სადაც სიონი და ძველი თბილისის ერთ-ერთი ეზოა გამოსახული. "ეს ნამუშევრები 70-80-იან წლებშია შექმნილი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი იყო თბილისისთვის, ამიტომ ჩემი შემოქმედების ძირითადი თემა ამ დროისთვის სწორედ თბილისი იყო. დროთა განმავლობაში სხვა მხარეს გადავედი, თუმცა თბილისის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ამჟამად პოპ არტითა და კოლაჟების შექმნით ვარ დაკავებული", - ამბობს ზურა სეხნიაშვილი.

გამოფენა "მაისის თბილისი" მომავალი წლიდან უფრო მასშტაბურ და ტრადიციულ სახეს მიიღებს, სადაც უფრო მეტი თანამედროვე თუ ძველი თაობის წარმომადგენელი მხატვარი იქნება ჩართული. წლევანდელი გამოფენა ისტორიის მუზეუმში სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება, 18 მაისიდან კი, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით "ქარვასლა" ახალ პროგრამას შემოგვთავაზებს, რომელსაც თან ძალიან საინტერესო გამოფენა "მარიონეტები" მოჰყვება. გამოფენილი იქნება მარიონეტები, ხოლო მოწვეული სპეციალისტი, ერთი თვის განმავლობაში, მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და ჩვეულებრივი სკოლებიდან მოსულ დაინტერესებულ მოზარდებს თოჯინების შექმნის საწყის ეტაპს შეასწავლის.

# დაკარგული მემკვიდრეობა

XVII საუკუნის იტალიელი მხატვრის, ლოდოვიკო კარაჩის ნამუშევარი - "წმინდა იერემია ტყეში" მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ კოლექციონერს - მაქს შტერნს ეკუთვნოდა. ეს ნახატი 1937 წელს დაიკარგა და ახლახანს აშშ-ს ერთ-ერთი მსხვილი არტ-დილერის, რიჩარდ ფეიგენის კოლექციაში აღმოჩნდა. ფეიგენი აცხადებს, რომ ტილოს შტერნის მემკვიდრეობის ფონდს დაუბრუნებს.

ნაცისტებმა შტერნს გალერეა 1937 წელს იძულებით დაახურინეს. მან 228 ნახატი გერმანული აუქციონის სახლს (Lempert) მეორე მსოფლიო ომამდე გადასცა. ომის შემდეგ შტერნი შეეცადა გაყიდული ნახატები დაებრუნებინა, მაგრამ მისი მცდელობა ამაო აღმოჩნდა.

შტერნი ისე გარდაიცვალა, რომ შთამომავალი არ დაუტოვებია. მისი დანატოვარის მემკვიდრე გახდა სამი უმაღლესი სასწავლებელი: ორი კანადური უნივერსიტეტი - კონკორდიისა და მაკჰილის, და ერთიც ისრაელის - იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტებმა შექმნეს ფონდი, რომელიც მაქს შტერნის კოლექციიდან გატანილი ნამუშევრების მოძიებით არის დაკავებული.



ფეიგენმა "წმინდა იერემია" 2000 წელს ასი ათას გერმანულ მარკად (ახლანდელი 685 ათასი დოლარი) შეიძინა აუქციონზე Lempertz. აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომამდე შტერნის კოლექცია სწორედ ამ აუქციონს ებარა. ნახატის - "წმინდა იერემია ტყეში" წარმომავლობის შესახებ ფეიგელმა სულ ცოტა ხნის წინათ შეიტყო. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ამერიკის საბაჟომ ნიუ იორკელ გალერისტს, ლორენს სტეიჰარდს, ნიდერლანდელი მხატვრის ნამუშევარი ჩამოართვა - ერთ დროს ისიც მაქს შტერნს ეკუთვნოდა... საქმე იმაშია, რომ 2008 წელს აშშ-ს ერთ-ერთმა ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ იძულებითი გაყიდვა "დეფაქტო კონფისკაციად" უნდა ჩაითვალოს. ასე რომ, ფონდს მაქს შტერნის მემკვიდრეობის დაბრუნების ახალი შესაძლებლობები გამოუჩნდა. უნივერისტეტების მიერ დაარსებულმა ფონდმა მისი კოლექციიდან ჯერ მხოლოდ 5 ნამუშევარი დაიბრუნა.

მოითხოვს თუ არა ფეიგენი კომპენსაციას Lempertz-ისგან, ჯერ უცნობია. ამ სახლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 2000 წელს ნახატები შტერნის კოლექციიდან რესტიტუციონალური დავის საგანი არ ყოფილა. ასე რომ, ფეიგენს, გერმანული კანონების თანახმად, კომპენსაციის მიღების ნაკლები შანსი აქვს.

### ფოტოპროექტი "სახეები" გრძელდება

საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია ფოტოპროექტ "სახეების" ფარგლებში აგრძელებს უფასო მასტერკლასების ციკლს. 7 მაისს ფოტოლაიფ-სტუდიოს ბაზაზე გაიმართება მასტერკლასი თემაზე: "საღამოს კაბების გადაღების თავისებურებები".

მასტერკლასზე პრაქტიკულ გადაღებებში მონაწილეობას მიიღებენ სააგენტო "ნატალის" ცნობილი მოდელები ირინა ონაშვილი და ანა კოშაძე, ასევე სხვა მოდელები. ტანსაცმელს, მაკიაჟს და ვარცხნილობას უზრუნველყოფს კომპანია "მარიგოლდი".

ფოტოპროექტ "სახეების" ფარგლებში ასოციაციის წევრებისთვის ორი უფასო მასტერკლასი უკვე გაიმართა და რეტროპორტრეტებისა და საქორწინო კაბების გადაღების ასპექტებს მიეძღვნა.

მასტერკლასების სერიის დასრულების შემდეგ გაიმართება გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება აღნიშნული პროექტის ფარგლებში გადაღებული ფოტონამუშევრები.

### არქეოლოგებმა იშვიათი რომაული ლანგარი აღმოაჩინეს

ლონდონის მუზეუმმა საკუთარ ექსპოზიციაში პირველად ჩართო სულ ცოტა ხნის წინათ, ბრიტანეთის დედაქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი და ახლად რესტავრირებული რომაული შუშის ლანგარი. ის მილეფიორის რთულ ტექნიკაშია შესრულებული. ასეთი ზომისა და ასე შენახული ნივთი სხვა მუზეუმებში, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. ამის შესახებ გაზეთი - The Guardian იუწყება. მაგალითად, ნიუ-იორკის მუზეუმში - კორნინგ, სადაც მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი შუშის კოლექცია ინახება, ამ ლანგრის მსგავსის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტია დაცული.

ლონდონში ნაპოვნი ლანგარი ბრიტანეთის კუნძულებზე, სავარაუდოდ, ალექსანდრიიდან მოხვდა. არქეოლოგებმა ის ძვ.წ.აღ-ის მესამე საუკუნის სამარხში აღმოაჩინეს. ეს სამარხი ოლდგეიტის რაიონში მდებარეობს, სადაც რომაულ ეპოქაში დიდი სასაფლაო იყო. სამარხი, საბედნიეროდ, ხელშეუხებელი აღმოჩნდა და ეს ლანგარიც გადარჩა.

სიტყვა "მილეფიორი" იტალიურად "ათას ფერს" ნიშნავს. ეს არის ტექნიკა, რომელიც ჭურჭელს სხვადასხვა ფერის შუშით ალამაზებს.

### Sothby s აუქციონზე თამარა დე ლემპიცკის ნამუშევრები გაიყიდება

გერმანელმა დიზაინერმა და მარკა Joop! - ის დამფუძნებელმა ვოლფგანგ იუპმა (Wolfgang Joop), Sothby's აუქციონზე პოლონელი მხატვრის, თამარა დე ლემპიცკის ათი სურათი გაიტანა გასაყიდად, რომელმაც პოპულარობა 1920-1930 წლებში მოიპოვა. სააგენტო Bloomberg-ის ინფორმაციით, იუპის კოლექცია 18,6 მილიონ დოლარად არის შეფასებული. სურათები ნიუ-იორკის აუქციონზე ორ სესიად - ორი დღის განმავლობაში გაიყიდება. დე ლემპიცკის ორი სურათიდან თითოეული 4-6 მილიონ დოლარად არის შეფასებული: ჰერცოგი დე ლა სალისა და მარჟორი ფერის პორტრეტები.

64 წლის იუპი, რომელიც თამარა დე ლემპიცკის შემოქმედებას 1978 წლიდან 2003 წლამდე აგროვებდა, განაცხადა, რომ უკვე აღარაფერს აგროვებს, ახლა იგი თავად გახდა მხატვარი და თავისი საკუთარი პროექტებითა და გამოფენებით არის დაკავებული. პირველი მათგანი როსტოკში 10 მაისს გაიხსნება.

თამარა დე ლემპიცკამ (1898-1980) 1920 წლის მეორე ნახევარში ევროპელი ცნობილი ადამიანების პორტრეტებით მოიპოვა პოპულარობა. 1930 წლებში ლემპიცკი ამერიკაში გადასახლდა, სადაც იგი ჰოლივუდში გახდა ცნობილი. მისი სურათების კოლექცია აქვთ მადონნას, ჯეკ ნიკოლსონს და ბარბარა სტრეიზანდს.

### რომის ღირსშესანიშნაობები ვიდეორგოლში

რომის მერმა ჯანი ალემანომ ცნობილ თეატრისა და კინოს რეჟისორს ფრანკო ძეფირელის თხოვნით მიმართა, გადაიღოს პატარა ვიდეოფილმი, რომელიც მარადიულ ქალაქს რეკლამას გაუწევს. ერთი უკანასკნელი გამონაკლისის გარდა, პროექტის დეტალების შესახებ ჯერ არ საუბრობენ: რეჟისორს შეურთდება კინოვარსკვლავი მონიკა ბელუჩი და პოპულარული მომღერალი ანდრეა ბოჩელი.

სარეკლამო ვიდეოფილმში ნაჩვენები უნდა იყოს ყველასთვის ცნობილი რომის ღირსშესანიშნაობები - კოლიზეუმი, ტრევის შადრევანი, პიაცა ნავონა და სხვა სრულიად ახალი შენობები. "არ მკითხოთ რამდენი დრო დაჭირდება ფილმის გადაღებებს. მე მინდა, რომ ეს ხელოვნების ნაწარმოებად იქცეს. მე ვშიშობ, რომ ჩემი რომისადმი ძლიერი სიყვარულის გამო, ვერ შევძლებ მისი ნაკლი გადმოვცე", - ამბობს ძეფირელი.

ფრანკო ძეფირელი, რომელსაც გადაღებული აქვს პოპულარული ეკრანიზაციები - "რომეო და ჯულიეტა", "ჭირვეულის მორჯულება" და "ჰამლეტი", ასევე ტელეფილმი "იესო ნაზარეთიდან", ცნობილია, როგორც მასშტაბური საოპერო დადგმების რეჟისორი. გარდა ამისა, 2007 წელს იგი რომის პაპის ბენედიქტა XVI-ის იმიჯმეიკერი გახდა.

ფრანკო ძეფირელი შექსპირის პიესების მასშტაბური კოსტუმირებული ფილმებით 1960-იან წლებში გახდა პოპულარული. ცნობილია ასევე, კლასიკური საოპერო დადგმებით და კულტურის მოღვაწეთა შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმებით.

## განცხადება

აფხაზეთის განათლების და კულტურის სამინისტრო 2009 წელს განახორციელებს პროექტს ფოტოკადრი აფხაზეთიდან . პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ამავე სახელწოდების კონკურსისა და გამოფენის ჩატარება.

კონკურსი ცხადდება აფხაზეთში ბოლო 15 წლის განმავლობაში გადაღებულ საუკეთესო დინამიურ ფოტოკადრზე, რომელიც ასახავს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, ადამიანების ყოფას და აქვს ემოციური დატვირთვა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ არანაკლებ 5 კადრისა. ზომა 13 X 18, რომელსაც თან უნდა ახლდეს ელექტრონული ვერსია (CD) ან ფირი და კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მისი ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი, პროფესია, წარმოდგენილი ფოტომასალების მოკლე ანოტაცია (სად, როდის და რა ვითარებაში აღბეჭდა კადრი) და პირობითი სახელწოდება, საკონტაქტო ტელეფონები.

საუკეთესო ნამუშევარი გამოვლინდება 1 სექტემბერს. გამარჯვებული დაჯილდოვდება ფულადი პრემიით - 1000 ლარი. გათვალისწინებულია ორი წამახალისებელი პრემია 120 ლარის ოდენობით. კონკურსის დასრულების შემდგომ - 11 სექტემბერს გალერეა ჰობში მოეწყობა გამოფენა კადრი აფხაზეთიდან , სადაც აფხაზეთში გადაღებულ უძველეს ფოტომასალასთან ერთად წარმოდგენილი იქნება საკონკურსო ნამუშევრებიც. გამარჯვებულთა დაჯილდოვება მოხდება გამოფენის გახსნის დღეს.

ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იყოს წლეულს, 1 ივლისამდე მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის ქ. №37. ტელ: 93-23-52, 855-38-43-49.
ქ. ზუგდიდი, თაბუკაშვილის №1/8. 899-63-13-59

## სს “მინას” აქციონერთა საყურადღებოდ!

საზოგადოების აქციონერთა მორიგი საერთო კრება ჩატარდება კომპანიის ოფისში 2009 წლის 28 მაისს, 11 საათზე მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფელი ქსანი.

დღის წესრიგი:
1. 2008 წლის სამეურნეო ანგარიში;
2. 2008 წლის აუდიტორის ანგარიში;
3. 2009 წლისათვის აუდიტორის არჩევა;
4. სხვადასხვა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრების სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2008 წლის 8 მაისი.

კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან სს კავკასრეესტრთან მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ა. აქციონერი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის მოწმობის და აქციათა რეესტრის საფუძველზე.

## სააქციო საზოგადოება “ქუთაისგაზის” აქციონერთა საყურადღებოდ!
## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2009 წლის 29 მაისს, დღის 12 საათზე ქ. ქუთაისში, ლომოურის ქ. №2-ში გაიმართება სააქციო საზოგადოება ქუთაისგაზის აქციონერთა მორიგი საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

დღის წესრიგი

1. 2008 წლის წლიური ანგარიში;

ა) წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;

ბ) საზოგადოების მიერ 2008 წლის მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
4. 2009 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ;
5. სხვადასხვა.

აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს 2009 წლის 29 მაისს, 11 საათიდან.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საზოგადოების ოფისში - ქ. ქუთაისი, ლომოურის ქ. №2.

სს ქუთაისგაზის ადმინისტრაცია

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს **“V და V კომპანიი”-ს (სნ 206169769)** კუთვნილი, ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქ. 6 კ. ბ. 76 განთავსებული ქონება, კერძოდ:

| № | დასახელება | რაოდენობა | გამოშვების წელი | სახელმწიფო № | ერთეულის ღირებულება (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რაფი 2203 | 1 | | ACD 025 | 1000 | 1000 |
| 2 | დეუ ლუბლინი | 1 | 1998 | AVA 462 | 5000 | 5000 |
| 3 | მერსედეს-ბენც 609 D | 1 | 1990 | ROS 951 | 13000 | 13000 |
| 4 | მერსედეს-ბენც 508 D | 1 | 1991 | IOO 382 | 15000 | 15000 |
| 5 | მერსედეს-ბენც 208 D | 1 | 1992 | DHL 904 | 8000 | 8000 |
| 6 | ფორდ ტრანზიტი | 1 | 1994 | ABF 523 | 7000 | 7000 |
| 7 | ფორდ ტრანზიტი | 1 | 1989 | LOO 390 | 6000 | 6000 |
| 8 | ფორდ ტრანზიტი | 1 | 1994 | LIL 922 | 5000 | 5000 |
| | სულ | | | | | 60000 |

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

დაყადაღებული ქონება განთავსებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. №161 და პეტრიაშვილის ქ. №2.

***აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 8 ივნისს, დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. №8, თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.***

მესამე პირები, რომელთანაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს თბილისის რეგიონულ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 8 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონულ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია), ტელეფონზე: 26-17-62.

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ფასთა კოტირების წარდგენაზე კომპიუტერული აქსესუარების შესყიდვა: #APL2-GOG/NS/06/09-1

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს ფასთა კოტირების წარდგენაზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ კოტირებები მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის კომპიუტერული აქსესუარების მიწოდებაზე.

1) ქსელის კონექტორი-200ც
2) ქსელის კაბელი-400მ.
3) გარე ვინჩესტერი (ხისტი დისკი) 750 GB-1ც
4) გარე ვინჩესტერი (ხისტი დისკი) 160 GB-2ც
5) კლავიატურა-10ც
6) მაუსი-20ც
7) ვიდეო ადაპტერი-6ც
8) ხმის ადაპტერი-5ც
9) უწყვეტი კვების ბლოკი-10ც
10) ელექტრო-დამაგრძელებელი (ფილტრი)-10ც
11) CD-R-500ც
12) DVD-R-100ც
13) USB ფლეშ-დისკი 8 GB-5ც
14) ქსელის უკაბელო კონცენტრატორი (Access Point)-3ც
15) გარე ფლოპი დისკის მოწყობილობა USB-2ც

1. შესყიდვა განხორციელდება ფასთა კოტირების მეთოდით.

2. შეფასება მოხდება ფასის შედარების საფუძველზე. და კონტრაქტი მიენიჭება ფირმას, რომელიც წარმოადგენს უდაბლეს ფასს.

3. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) მსგავსი მომსახურების განხორციელების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.

4. ფასთა კოტირების ფორმები დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ უფასოდ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

5. კოტირების წარმოდგენის ბოლო ვადა არის **2009 წლის 21 მაისი, 17:00 საათი.**

კოტირებები წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ვის: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**
**ქ. თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. N150, III სართული**
**ტელ: (995 32) 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15**
**ფაქსი: +995 32 48 45 55**
**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge**
**ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge**

# სპორტი

## ახალგაზრდა "ბორჯღალოსნება" რუსებს სძლიეს

*საქართველოს 21 წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა მეოთხედფინალში ევროპის ჩემპიონატის მასპინძლების ესპანელების ძლევის შემდეგ ფინალური საგზურისთვის რუსებთან შერკინება მოუწიათ, რომლებმაც თავის მხრივ უკრაინელებს სძლიეს. მოტივაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. გარდა იმისა, რომ რუსებზე გამარჯვება ფინალის საგზურს გვაძლევდა, მათ დამარცხებას სხვა ბევრი დატვირთვაც ჰქონდა. კარგი ისაა, რომ ახალგაზრდა "ბორჯღალოსნებმა" ჩრდილოელ მეზობლებს გზა გადაულობეს. ამასთან ისე, რომ სანერვიულოდ საქმე არ გაუხდიათ.*

გიგა გურასაშვილი

ქართველებმა ინიციატივა თავიდანვე იგდეს ხელთ. რუსებს პირველი დარტყმა საწყის წუთებზევე მიაყენეს. ვასილ კაკოვინმა (3) მეხუთე წუთზე მეტოქეს ლელო დაუდო, რასაც ლაშა ხმალაძის მიერ ხუთიანზე შესრულებული გარდასახვა და 7:0 დაწინაურება მოყვა.

"ბორჯღალოსანთა" უპირატესობა მე-14 წუთზე უფრო გაიზარდა. ამ შემთხვევაში გიორგი როყვაძემ (9) გამოიდო თავი - 12:0.

ტაიმის მიწურულს რუსებმაც იყოჩაღეს და ქართველებთან სხვაობა შეამცირეს. ამ შემთხვევაში გლებ ბაბკინმა გამოიჩინა თავი ლელოთი, შემდეგ კი ასევე წარმატებით გარდასახა ლუსტინ პეტრუშკამ - 12:7. ეგაა, წამებშივე ლაშა ხმალაძემ ჯარიმა შეასრულა და ტაიმი 15:7 დასრულდა.

მეორე ტაიმიც ნიკოლოზ ჭავჭავაძის შეგირდების უპირატესობით წარიმართა. აი,

მე-60 წუთზე კი რეფერიმ გიორგი ჯაშიტაშვილს, ლექსო იორდანიშვილსა და კიდევ ერთ რუსს წითელი ბარათი უჩვენა და შესაბამისად მოედანზე კაცნაკლულნი დავრჩით. ამას ის მოყვა, რომ მალევე რუსებმა ლელოთი სხვაობა შეამცირეს, თუმცა მერე ხმალაძემ ორი ჯარიმა გაიტანა, რასაც ბოლოსკენ გიორგი როყვაძემ ლელო მიაყოლა და

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, 9 მაისს ევროპის ჩემპიონატის ფინალში, რუმინეთის ნაკრებს შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ ნახევარფინალში პორტუგალიის ნაკრები 31:15 დაამარცხა.

### საქართველო-რუსეთი 12-33

საქართველო: 1. ლადო გუნიავა, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. ვასილ კაკოვინი, 4. ბექა ნიკოლაიშვილი, 5. ილია სურგულაძე, 6. არჩილ კობაური, 7. დავით ჩიჩუა, 8. ვიქტორ კოლელიშვილი, 9. გიორგი როყვაძე, 10. ლაშა ხმალაძე, 11. ალექსანდრე ტუჩაშვილი, 12. რატი ნუცუბიძე, 13. გიგა კორკელია, 14. გიორგი კალმახელიძე, 15. გოდერძი ჯოგლიძე

სათადარიგო: 16. გიორგი ჯაშიტაშვილი, 17. ირაკლი მირცხულავა, 18. გიორგი თორაძე, 19. ლექსო იორდანიშვილი, 20. შალვა მახარაშვილი, 21. გიორგი გაბუნია, 22. დავით გრძელიშვილი, 23. ჯაბა კიკვიძე, 24. გიორგი ლომინაძე, 25. რატი ხუციშვილი.

**ლელო:** კაკოვინი, როყვაძე, იორდანიშვილი, როყვაძე.

## კუპერის "სამშაბათობა" დინამოელთა გარეშე

მიხეილ აბაიშვილი



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებს უახლოეს მომავალში ოფიციალური საკვალიფიკაციო მატჩი არ ელის, ექტორ რაულ კუპერი დასვენებაზე არ ფიქრობს და მის მიერ შემოღებულ ტრადიციად ქცეულ "სამშაბათობებს" აგრძელებს. 5 მაისს კუპერმა, თანაშემწეებთან ერთად, მორიგი არაოფიციალური ერთდღიანი შეკრება გამართა. დისლოკაციის ადგილი უცვლელი იყო: საგურამოში მდებარე ეროვნული ნაკრები გუნდების მოსამზადებელი ტექნიკური ცენტრი. მთავარმა მწვრთნელმა მხოლოდ 14 ფეხბურთელს უხმო:

მეკარეები - გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი)

მცველები: უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), დავით გიგაური (გაგრა)

ნახევარმცველები: გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), გიორგი კახელიშვილი (ლოკომოტივი), დავით ცხადაია (გაგრა), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია)

თავდამსხმელები: გიორგი გაბედავა (გაგრა), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი).

კუპერის მიერ შერჩეულ ფეხბურთელებში მთავარი სიახლე ის არის, რომ ამ "სამშაბათობაში" მონაწილეობა არ მიუღია თბილისის "დინამოს" არც ერთ ფეხბურთელს. ამაში მწვრთნელს ნაკლებად მიუძღვის ბრალი. კუპერს ამ ვარჯიშზე რამდენიმე დინამოელის მიწვევაც სურდა, მაგრამ იმის გამო, რომ "დინამო" სეზონის გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება, წვრთნამ საქართველოს საუკეთესო გუნდის წარმომადგენელთა გარეშე ჩაიარა. საგურამოში ამ შეხვედრაზეც გაკეთდა აქცენტი, რომელშიც, "დინამოს" გარდა, "ვიტ ჯორჯია" მონაწილეობს. ვეტერინარებმა, რომელთათვისაც 10 მაისის მატჩს ოქროს ფასი და მნიშვნელობა აქვს, ნაკრების ინტერესები წინა პლანზე დააყენეს და კუპერთან ოთხი ფეხბურთელი მიავლინეს. სწორედ ეს ოთხი ფეხბურთელი დაიმარტოხელა არგენტინელმა და მომავალ მატჩზე ესაუბრა. მან კლიმიაშვილს, რაზმაძეს, კვახაძეს და ბედიაშვილს ფრთხილი თამაშისა და ტრავმებისთვის თავის არიდებისაკენ მოუწოდა.

რაც შეეხება ვარჯიშს, საწვრთნელმა პროცესმა საათნახევარს გასტანა. მოთელვის შემდეგ მწვრთნელმა ნაკრების კანდიდატებს ჯერ შეტევითი ხასიათის ტაქტიკური კომბინაციები დაამუშავებინა, შემდეგ კი უკანა ხაზის ფეხბურთელების მოქმედებათა სინქრონიზაციის დახვეწაზე გაამახვილა ყურადღება.

კუპერის "სამშაბათობას" გაიოზ დარსაძის სამწვრთნელო კურსებში მონაწილე და შესაბამისი ლიცენზიის აღების ზღვარზე მყოფი 19 მწვრთნელი დაესწრო. ვარჯიშის დაწყებამდე არგენტინელმა სპეციალისტმა მათთვისაც მოიცალა და ხანმოკლე სემინარი მოუწყო.

ეს სემინარი უფრო სერიოზულ ხასიათს მიიღებს 12 მაისს. ამ დღეს იგეგმება ცნობილი იტალიელი თეორეტიკოსის ფრანკო ფეარის ვიზიტი თბილისში. ის აქ სამდღიან სემინარებს ჩაატარებს. 12 მაისს კუპერი კიდევ ერთ "სამშაბათობას" გეგმავს.

### ერთი ნაბიჯით უკან

გუშინ გამოქვეყნდა ფიფა-კოკა კოლას მორიგი საფეხბურთო რეიტინგი. მიუხედავად იმისა, რომ აპრილში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს საერთაშორისო მატჩები არ გაუმართავს, ექტორ რაულ კუპერის გუნდი ერთი საფეხურით მაინც დაქვეითდა და ახლა რეიტინგში 110-ე ადგილს იკავებს. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები თავისი მეტოქეებიდან უსწრებს მხოლოდ მონტენეგროს გუნდს, რომელიც რეიტინგში 117-ე პოზიციაზე დამკვიდრდა.

რაც შეეხება საფეხბურთო რეიტინგის ზედა ნაწილს, ევროპის ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები დამაჯერებლად ლიდერობს. უახლოეს მომავალში ესპანელებს პირველობას ალბათ ვერავინ შეეცილება.

1.ესპანეთი ............................1729
2.გერმანია..............................1362
3.ჰოლანდია ...........................1360
4.ბრაზილია.............................1281
5.იტალია ...............................1271
6.არგენტინა............................195
7.ინგლისი ..............................1173
8.ხორვატია ............................1151
9.რუსეთი................................ 1117
10.საფრანგეთი.......................1074
11.პორტუგალია.....................1013
12.ჩეხეთი ............................... 968
13.საბერძნეთი.......................927
14.თურქეთი...........................923
15.აშშ ...................................... 919
16.ურუგვაი ............................909
17.პარაგვაი............................906
18.შვეიცარია .........................883
19.კამერუნი ...........................871
20.ბულგარეთი .......................840
34.ირლანდია ........................761
75.კვიპროსი...........................460
110.საქართველო ..................322
117.მონტენეგრო...................284

### დროებითი მწვრთნელი

მას შემდეგ, რაც ბელგიის ნაკრებმა ზედიზედ ორი მატჩი დათმო ბოსნიის ეროვნულ გუნდთან, ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებში სერიოზული ცვლილებები დაგეგმა. პირველ რიგში თანამდებობიდან მწვრთნელ ვანდერეიკენის დათხოვნის შემდეგ მისი შესაძლო შემცვლელის ძიება დაიწყეს.

ბელგიის ფეხბურთის ფედერაცია ხან ლუის ვან გაალს მიადგა, ხან - დიკ ადვოკაატს, მაგრამ ორივესგან უარი მიიღო. საბოლოოდ ნაკრების მთავარ მწვრთნელად რენე ვანდერეიკენი დაინიშნა, თუმცა ის "წითელი ეშმაკუნების" ნაკრებს მხოლოდ დროებით უხელმძღვანელებს. მისი მეთაურობით ბელგიელები ჯერჯერობით ერთი ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავენ. რა იქნება შემდეგ, ჯერ უცნობია.

### "ემირეითსზე" ნაღმს ეძებდნენ

ვინც თვალი ადევნა "არსენალისა" და "მანჩესტერის" სამშაბათის მატჩს, შეამჩნევდა, რომ მეორე ტაიმის დაწყების წინ სტადიონ "ემირეითსის" ერთ-ერთი ტრიბუნა პირწმინდად დაცარიელდა. სატელევიზიო რეპორტაჟის დროს შესაძლოა ვინმეს ისიც კი ეფიქრა, რომ თავისი გუნდის ცუდი თამაშით განაწყენებულმა ფანებმა პირველი ტაიმის შემდეგ ტრიბუნა დატოვეს, თუმცა, ინგლისურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სტადიონის ხელმძღვანელობამ მიიღო ყალბი შეტყობინება, რომ იმ ტრიბუნაზე ნაღმი იყო დამონტაჟებული. ბრიტანულმა პოლიციამ ვითარება რამდენიმე წუთში გაარკვია და მატჩის მსვლელობაში გულშემატკივარი ტრიბუნებს დაუბრუნდა.

### "დეზები" სისოკოთი დაინტერესდნენ

"პორტუს" ფეხბურთელმა ალი სისოკომ დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მისი შეძენით ინგლისური "ტოტენჰემი" დაინტერესდა.

"პორტუსთან" კონტრაქტი 2012 წლამდე მაკავშირებს და კლუბის ხელმძღვანელებს ჩემი შენარჩუნება სურთ. ცხადია, ეს მახარებს, რადგან ვხვდები, რომ გუნდს ვჭირდები. ამავე დროს ისიც შევიტყვე, რომ ჩემი შეძენით "ტოტენჰემი" დაინტერესდა. ჯერ არ ვიცი, რა მოხდება. უნდა დაველაპარაკო კლუბის მესვეურებს და გადაწყვეტილებას ერთად მივიღებთ", - აცხადებს სისოკო.

## "ჯორჯიამ" უფროსებს მოუგო

ამსტერდამში გამგზავრებამდე "ჯორჯია" საკონტროლო მატჩებს მართავს - დღეს ნოდარ აკობიას გაწვრთნილი გუნდი 35-ე სკოლის 1997 წელს დაბადებულებს ეთამაშა და 4:2 გაიმარჯვა - "ჯორჯიას" ფეხბურთელებმა მათზე ერთი წლით უფროსებს მოუგეს.

მატჩი საინტერესოდ წარიმართა. ჯერ "ჯორჯია" დაწინაურდა, მერე 1:2-ს აგებდა, მაგრამ თამაში შემოატრიალა და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

12 წლამდელთა კრებული "ჯორჯია" ამსტერდამში 15 მაისს გაემგზავრება. მანამდე კი აპირებს საკონტროლო მატჩის (ან მატჩების) გამართვას. ეს გუნდი "ფონდი არველაძის" ინიციატივით შეიქმნა და ამ ფონდის დახმარებით პირველად ჩაერთვება საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც TORNEO DEL FUTURO ჰქვია.

## კორადი "უდინეზეში" ითამაშებს

"რეჯინას" ვეტერანი ფორვარდი ბერნარდო კორადი, რომელსაც თავის დროზე "ლაციოში", "პარმასა" და "კიევოში" უთამაშია, მომავალი სეზონიდან "უდინეზეში" გააგრძელებს კარიერას.

იტალიური მედიის ინფორმაციით, კონტრაქტი ფაქტობრივად უკვე გაფორმებულია და 33 წლის ფორვარდი გასავარდნად განწირულ "რეჯინას" აუცილებლად დატოვებს. "უდინეზე" გამოცდილ ფორვარდს ყოველგვარი ფულადი გადასახადის გარეშე ჩაიგდებს ხელში. საქმე ის არის, რომ ფეხბურთელს "რეჯინასთან" კონტრაქტის ვადა ეწურება, ახალი კონტრაქტის გაფორმებას კი მაჩანჩალა გუნდთან კორადი არ აპირებს.

## რაიკაარდი "ვოლფსბურგს" გაწვრთნის

ჰოლანდიის ნაკრებისა და "ბარსელონას" ყოფილი თავკაცი, ამჟამად უმუშევრად დარჩენილი ფრანკ რაიკაარდი მომავალი სეზონიდან ჩაიბარებს გერმანულ "ვოლფსბურგს", რომელსაც ამ სეზონში ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების რეალური შანსი აქვს.

"ვოლფსბურგს" ფელიქს მაგათი თავკაცობს, მაგრამ, თუ გერმანულ პრესას დავუჯერებთ, სეზონის ბოლოს ის გუნდს დატოვებს და "შალკეს" მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს.

გერმანული პრესის ვარაუდი იმითაც არის გამყარებული, რომ მაგათი "ვოლფსბურგთან" კონტრაქტს არ აგრძელებს. არადა, მოქმედი შეთანხმების მიხედვით, გამოცდილი სპეციალისტი მხოლოდ სეზონის ბოლომდეა ვალდებული იყოს "მგლების" მწვრთნელი.

რაც შეეხება რაიკაარდს, მას "მილანის" მწვრთნელობასაც უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც ანჩელოტიმ განაცხადა, რომ კიდევ ერთ სეზონს აპირებს "როსონერიში" დარჩენას, სავარაუდოდ, ჰოლანდიელმა მოცდა აღარ ისურვა და გერმანული კლუბის მესვეურთა შეთავაზება მიიღო, მით უმეტეს, რომ მომავალ სეზონში "ვოლფსბურგი" ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშებს.

## "კაჭკაჭებმა" ბარტონი დასაჯეს

ინგლისის "ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ძირითად შემადგენლობასთან დროებით არ ავარჯიშოს ჯოუი ბარტონი, რომელმაც პრემიერლიგის უკანასკნელი ტურის მატჩში "ლივერპულთან" უხეშად ითამაშა, წითელი ბარათი მიიღო და გუნდი დააღალატა.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "ნიუკასლის" ფეხბურთელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა, რაც, ავტომატურად, იმის მაჩვენებელია, რომ დარჩენილ მატჩებში ის თანაგუნდელებს ვერ დაეხმარება.

26 წლის ცენტრალური ნახევარმცველი გუნდთან ერთად მანამ ვერ ივარჯიშებს, ვიდრე "ნიუკასლის" თავკაცები ნებას არ დართავენ.

## ბენიტესს ჰიპიას დატოვება უნდოდა

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რომ ფინელ მცველთან სამი ჰიპიასთან კონტრაქტის გაგრძელებას ცდილობდა, მაგრამ ფეხბურთელმა გადაწყვიტა გერმანულ "ბაიერში" გააგრძელოს კარიერა.

"სამის მის მომავალზე ვესაუბრეთ. მასთან კონტრაქტის გაფორმება მინდოდა, მერე კი კლუბში მწვრთნელის პოსტს შევთავაზებდი. მან ამჯობინა "ბაიერში" გააგრძელოს კარიერა. ყოველ შემთხვევაში, ეს ადამიანი მეტს იმსახურებს და მისთვის ყოველთვის ღია იქნება კლუბის კარი", - თქვა ბენიტესმა, რომლის კომენტარი Daily Telegraph-მა გაავრცელა.

# ათ წუთში დამთავრებული მატჩი



კრიშტიანუ რონალდუმ "არსენალის" კარი ორჯერ დალაშქრა

"მანჩესტერ იუნაიტედმა" პირველმა მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის რომაული ფინალის საგზური და ეს მეტად დამაჯერებლად გააკეთა. "მეთოფეთა" ყველა იმედი განმეორებითი მატჩის მოგებასა და ფინალში გასვლაზე ათ წუთში დასამარდა - თამაში დაწყებულიც არ იყო, ისე დამთავრდა.

არა მგონია, აზრი ჰქონდეს მატჩის პერიპეტიებზე საუბარს. მანკუნიანელებმა "არსენალის" ახალგაზრდა ფეხბურთელებს მალე მიუჩინეს ადგილი და კიდევ ერთხელ დაგვანახეს, რომ საფეხბურთო ევროპაში, უძლიერესები თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოები არიან. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი კი უნიკალურ რეკორდს მიუახლოვდა. ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე გუნდს ტიტული შეენარჩუნებინოს. მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე შოტლანდიელი მწვრთნელი კომპლიმენტებით ამკობდა თავის მუდმივ მეტოქეს არსენ ვენგერს.

სერ ალექს ფერგიუსონი ("მანჩესტერის" მთავარი მწვრთნელი): "მატჩი კარგად დავიწყეთ, რაც საბოლოოდ გადამწყვეტი გამოდგა. ორი სწრაფი გოლი და "არსენალის" შემართება სადღაც გაქრა. "მეთოფეებს" ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ. ასეთი დარტყმის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ფეხზე დადგომა ნებისმიერ გუნდს გაუჭირდებოდა. მეტიც, ასეთი ორი გოლის შემდეგ თამაშის გადარჩენას ვერავინ მოახერხებდა. არაერთხელ მითქვამს, ჩემპიონთა ლიგა უფრო ხშირად უნდა მოგვეგო, ვიდრე ვიგებდით. მაშინაც კი, როდესაც მაზანდა მაქსიმალურად არის აწეული, ჩემი ფეხბურთელები არ მღალატობენ. დღევანდელ მატჩში გატანილი მესამე გოლი ქრესტომათიულად მიმაჩნია. ფეხბურთელებმა იდეალურად ითამაშეს. ყველაფერი რონალდუს გოლებმა გადაწყვიტა, თუმცა როგორ ვთქვა, რომ ის იყო საუკეთესო. დღეს ნამდვილად გამიჭირდება ჩემი გუნდიდან ვინმეს გამოყოფა. გაიზარდა თუ არა კლასში განსხვავება "არსენალსა" და "მანჩესტერს" შორის? გეტყვით, რომ ჩემი გუნდი ახლა იდეალურ მდგომარეობაშია. "არსენალს" კი საკადრო პრობლემები აქვს. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში "არსენალი" ჩვენი მთავარი კონკურენტი იქნება. მშვენივრად ვიცი, რას გრძნობს ახლა არსენ ვენგერი. როდესაც ისე დაუღალავად მუშაობ, როგორც ის და შენს საქმეს მასავით პირნათლად ასრულებ, ამდენი ხნის განმავლობაში წარმატებას იმსახურებ. მე და ვენგერს ერთნაირი პრობლემები გვაქვს. რაც უფრო დიდხანს ხარ საქმეში, მით მეტ იარლიყს გაკრავენ. ეს ან წარმატებაა, ან ჩავარდნა. თუ იმარჯვებ, დიდი მწვრთნელის რანგში ადიხარ, მარცხის შემთხვევაში კი თვლიან, რომ არაფრად ვარგიხარ. არა მგონია, მწვრთნელს მხოლოდ ევროპის ჩემპიონთა თასის მოგება აქცევდეს დიდად. სამწუხაროდ, ასე არ ფიქრობს მედია. რაც შეეხება ფინალს. ვუყურე "ბარსელონასა" და "რეალის" თამაშს. ეს ფანტასტიკა იყო. კატალონიელებს ათი გოლი უნდა გაეტანათ. მაგრამ "ჩელსის" წინააღმდეგ მათ არ ეყოლებათ პუიოლი და მარკესი, რაც დიდი დანაკლისია. ვის წინააღმდეგ მირჩევნია ფინალში თამაში? გამოგიტყდებით და, "ჩელსისთან" თამაში არ მინდა. არც "ბარსელონასთან". მირჩევნია, პირდაპირ, თამაშის გარეშე გადმოგვცენ ჩემპიონთა თასი".

კრიშტიანუ რონალდუ ("მანჩესტერის" ფორვარდი): "არასდროს მეპარებოდა ეჭვი, რომ ამ ტიტულის ზედიზედ ორჯერ მოგებას შევძლებდით. ამისკენ მეთოდურად მივდიოდით და ახლა გუნდი ფინალშია. რეალური შანსი გვაქვს გავიმეოროთ გასული სეზონის წარმატება და ისტორიაში დავიმკვიდროთ ადგილი. "არსენალთან" მატჩი მხოლოდ ერთი შეხედვით იყო იოლი. მერწმუნეთ, ძალიან გაგვიჭირდა. "არსენალის" დონის გუნდის კარში სამი გოლის გატანა, ისიც სტუმრად, ადვილი არ გახლავთ".

უეინ რუნი ("მანჩესტერის" ფორვარდი): "წარმატება ყოველთვის მახარებს. დიდი სამუშაო გავწიეთ და დამსახურებულად გავედით ფინალში. მეტოქეს საჭირო დროს შევუტიეთ და გაგვიმართლა, რომ გავიტანეთ. ვიცოდით, რომ თუ ერთ გოლს მაინც გავიტანდით, "არსენალი" საჭიროზე მეტად გაიხსნებოდა და ეს მწვავე კონტრშეტევებზე თამაშის აწყობის შანსს მოგვცემდა. ჩემი აზრით, მატჩის ბედი მეორე გოლმა გადაწყვიტა. მნიშვნელობა არა აქვს, ვის შევხვდებით ფინალში. "მანჩესტერს" ნებისმიერი მეტოქის ძლევა შეუძლია, თუმცა ერთი რამ ფაქტია: რომაული ფინალი უაღრესად რთული იქნება და გამარჯვებისთვის იმაზე მეტი უნდა გავიღოთ, ვიდრე შეგვიძლია".

არსენ ვენგერი ("არსენალის" მთავარი მწვრთნელი): "ყველაზე უსიამოვნო ის არის, რომ არ დაგვრჩენია იმის შეგრძნება, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ვთამაშობდით, რადგან თამაში დაწყებიდან ათ წუთში დასრულდა. თანაც, თამაში ისე დამთავრდა, რომ არც დაწყებულა. ამის გადატანა ჩემთვის ძალიან ძნელია. საწყენია, როდესაც ამდენს იმუშავებ მიზნის მისაღწევად და შემდეგ ისე ჩააბარებ მეტოქეს თამაშს, როგორც დღეს ჩვენ გავაკეთეთ. თამაშისთვის მზად ვიყავით, მაგრამ მატჩის დაწყებიდან ათ წუთში ჩვენი მისიის შესრულება უკვე შეუძლებელი იყო. თამაში გავაგრძელეთ, ვიბრძოდით, მაგრამ მეც და ფეხბურთელებსაც კარგად გვესმოდა, რომ ყველაფერი დასრულდა. ახლა მთავარია ეს დარტყმა გადავიტანოთ და ნორმალურად დავასრულოთ სეზონი. პირველ რიგში კარგად უნდა ვითამაშოთ კვირას "ჩელსის" წინააღმდეგ. ორი მატჩის ჯამში "მანჩესტერმა" დაიმსახურა ფინალში გასვლა. ჩვენზე უკეთ ითამაშა და სერ ალექსს ფინალში წარმატებას ვუსურვებ. იყო თუ არა ეს მატჩი ჩემს კარიერაში ყველაზე არასასიამოვნო? დიახ, ასეა. გულშემატკივარი ჩვენგან დიდ თამაშს ელოდა. ამ დროს ასე დააღალატო ხალხი, რომელიც მუდამ გვერდში გიდგას, საშინელებაა. ძალიან ადვილია თქვა, რომ გამოცდილება გვაკლია და ამით თავი იმართლო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სათამაშო კლასი მაღალი გვაქვს და ზრდას კვლავაც გავაგრძელებთ. გუნდის საშუალო ასაკი ძალიან პატარაა. ვფიქრობ, ეს ბიჭები პატივისცემას იმასხურებენ თუნდაც იმიტომ, რომ ნახევარფინალში გავიდნენ. შევძლებ თუ არა ამ გუნდის შენარჩუნებას? რატომაც არა!

# ფაჩულიამ წააგო

NBA-ს აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსი" სტუმრად ეთამაშებოდა რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდს "კლივლენდ კავალიერსს" და ანგარიშით 72:99 დამარცხდა.

თუ ჯორჯიელებს კონფერენციის ფინალში თამაშის სურვილი და პრეტენზია აქვთ, მათ უნდა მოახერხონ ის, რაც მთელი სეზონის განმავლობაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო - საუბარია რეგულარული სეზონის საუკეთესო კალათბურთელის ლებრონ ჯეიმსის შეჩერებაზე.

სწორედ ჯეიმის წყალობით იმარჯვა "კლივლენდმა". მასპინძელთა ლიდერმა 34 ქულით, 10 მოხსნით და 3 შედეგიანი გადაცემით დაასრულა თამაში. ატლანტელთა შორის საუკეთესო იყო მაიკ ბიბი 19 ქულით, 8 შედეგიანი გადაცემით და 4 მოხსნით.

ზაზა ფაჩულიას ძირითად ხუთეულში არ უთამაშია, თუმცა ქართველ ცენტრს სათამაშო დრო საკმაოდ ჰქონდა. მან მოედანზე 21 წუთი დაჰყო და 4 ქულა და 5 მოხსნა შეაწია საკუთარ გუნდს.

ჯორჯიელთა ძირითადმა ცენტრმა ალ ჰარფორდმა 4 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა მატჩი.

ამერიკელებმა "ქორების" ქართველი ლეგიონერი აპრილის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს და დამსახურებულადაც. სწორედ მისი წყალობით პლეი-ოფის მერვედფინალში "მაიამი ჰითის" წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში კი სერიის მეოთხე მატჩში, თანაგუნდელებს 18 მოხსნითა და 12 ქულით შეეწია (18 მოხსნით ფაჩულიამ კლუბში დიკემბე მუტომბოს რეკორდი მოხსნა. რედ).



*ზაზა ფაჩულია "ატლანტა ჰოუქსის" აპრილის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს*

მორიგი მატჩი გამართა მანუჩარ მარკოიშვილის "ბკ კიევმა". უკრაინის ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ მატჩში დამარცხების შემდეგ კიეველებმა მეორე საშინაო მატჩი 68:58 მოუგეს "დონეცკს" და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს. კიეველთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა - მანუჩარმა დონეცკელებს 23 ქულა ჩაუგდო.

მარკოიშვილმა თითქმის შეუცვლელად - 38 წუთს ითამაშა და, 23 ქულასთან ერთად, 3 მოხსნა, 6 პასი და 1 ჩაჭრა დააგროვა.

მან 8-დან 6 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი სამჯერ დაკარგა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

მატჩი დაძაბული გამოდგა. დასკვნითი მეოთხედის წინ კიეველები ერთი ქულით იგებდნენ, თუმცა, ბოლო ათწუთეულში 17:8 იმარჯვეს და სიტუაცია გამოასწორეს. ბოლო 3 წუთში მანუჩარმა 7 ქულა მიითვალა.

სერიის მომდევნო მატჩებს კიეველები სტუმრად, დონეცკში 11 და 13 მაისს ჩაატარებენ. სერია 3 მოგებამდეა. თუ მარკოიშვილის გუნდი სტუმრად ერთ გამარჯვებას მოიპოვებს, მოედნის უპირატესობას დაიბრუნებს და მეხუთე, გადამწყვეტ შეხვედრას შინ ჩაატარებს. თუ ორივეს მოიგებს, ფინალში გავა.

# მექსიკელი ღორის გრიპით აშანტაჟებს

*სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ დისკვალიფიკაცია მიუსაჯა მექსიკური კლუბის "ჩივასის" მოთამაშეს ექტორ რეინოსოს, რომელმაც თავი გამოიჩინა ლიბერტადორესის თასზე. ჩილეს "ევერტონის" წინააღმდეგ მატჩში მექსიკელმა "ევერტონის" არგენტინელ ლეგიონერს სებასტიან პენკოს სახეში შეაფურთხა და იქვე დაამატა, ღორის გრიპით ვარ დაავადებულიო.*




სრულიად უწყინარ ვითარებაში წაკინკლავებას ის მოჰყვა, რომ მექსიკური "ჩივასის" მცველი ექტორ რეინოსო "ევერტონის" არგენტინელ ლეგიონერს სებასტიან პენკოს მიუახლოვდა, სახეში შეაფურთხა და მიახალა: "მე შენ ღორის გრიპით დაგაავადე. დღეის იქით შენც დაავადებული ხარ".

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს იმ წუთში არგენტინელის მდგომარეობა. სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ ინციდენტი შეუმჩნეველი დარჩა არგენტინელ მსაჯს ექტორ ბალდასის.

როგორც ექიმები ამბობენ, რეინოსოს ვირუსი არ აღმოაჩნდა, მაგრამ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის დისკვალიფიკაციას მაინც ვერ გადაურჩა. "ჩივასის" მოთამაშემ დაზარალებულს ბოდიშიც მოუხადა.

"რა თქმა უნდა, მართალი არ ვიყავი, მაგრამ ორთაბრძოლისას ძნელია საკუთარი თავის ხელში აყვანა. თან ყელში ამომივიდა, რომ ჩვენ, მექსიკელებს, გასვლით მატჩებში ისე გვიყურებენ, როგორც კეთროვანებს (ჯანდაცვის საერთაშორისო ფედერაციის ცნობით, სწორედ მექსიკაა ღორის გრიპის კერა). დიახ, სწორედ ასე გვეძახიან".

მართალია, უცნობია დისკვალიფიკაციის ვადა, მაგრამ, სავარაუდოდ, მექსიკელს მოუწევს გამოტოვს ლიბერტადორესის თასის დარჩენილი მატჩები.

ცოტა ხნით ადრე, ღორის გრიპის თავიდან აცილების მიზნით, კოლუმბიამ მექსიკის საფეხბურთო კლუბებს საკუთარ ტერიტორიაზე აუკრძალა ლიბერტადორესის თასის მერვედფინალური მატჩების ჩატარება.

რაც შეეხება მექსიკის საფეხბურთო მინდვრებს, აქ უქმეებზე ჩასატარებელი შეხვედრები ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაივლის. ცარიელი ტრიბუნების წინ კი ოთხი დივიზიონის 176 მატჩი ჩატარდება.

## უეფას პრეზიდენტმა "იუვეს" ხელმძღვანელთა ადვოკატობა იკისრა

ბოლო ხანს ტურინის "იუვენტუსი" ვერ აჩვენებს იმ ფეხბურთს, რომელსაც მისგან გულშემატკივარი ელის. ამის გამო "ბებერი ქალბატონის" მესვეურები იტალიურმა მედიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. ტურინული კლუბის მესვეურთა ადვოკატობა უეფას პრეზიდენტმა, წარსულში "იუვენტუსის" ლეგენდარულმა ფეხბურთელმა მიშელ პლატინიმ იკისრა.

"ადამიანებს შეცდომები ახასიათებთ. ძალიან ადვილია მარცხის განცდა და სერია B-ში აღმოჩენა, მაგრამ ძველი პოზიციის სულ რაღაც ორ წელიწადში აღდგენა ძალზე ძნელია. "იუვენტუსი" მუდამ ამისკენ მიიწევს. ქომაგები ამ გუნდის მხოლოდ წარმატებებს მიეჩვივნენ. თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბოლო დროს გუნდი არაერთმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. იბრაჰიმოვიჩის, ძამბროტას, ტურამის, კანავაროს გუნდიდან წასვლა უკვალოდ არ ჩაივლიდა. ამის მიუხედავად, "იუვენტუსის" ახლანდელი მდგომარეობა სრულიად მისაღებია. ჩემპიონატში ტურინელები მესამე პოზიციაზე არიან. ჩემპიონთა ლიგაში ისინი შეაჩერა "ჩელსიმ", რომელიც შესაძლოა ტურნირის მომავალი ფინალისტიცაა. მიმაჩნია, რომ "იუვენტუსს" დრო სჭირდება", - ამბობს პლატინი.

## ტოტის ნაკრებში თამაში უნდა

"რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ თუ გუნდის თავკაცი მარჩელო ლიპი მიიწვევს, იტალიის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას არ გამორიცხავს.

"მთელი კარიერის განმავლობაში მოედანზე მხოლოდ ორი გუნდის მაისურით გავსულვარ. ესენია "რომა" და იტალიის ნაკრები. ეროვნულ ნაკრებთან ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს: ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში 1996 წელს ევროპის ჩემპიონატი მოვიგე, 2006 წელს, მთავარ გუნდთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონატში გავიმარჯვე. 2010 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მუნდიალზე წასვლას ვაპირებ თუ არა? მოდი, ლიპის მივცეთ იმ მოთამაშეებთან მშვიდად მუშაობის შესაძლებლობა, რომლებსაც ენდობა. მაგრამ თუ ის დამირეკავს " - ამბობს ტოტი.

## კლოზე ბრუნდება

შვიდი კვირის წინ კოჭის ოპერაცია გაუკეთეს "ბაიერნის" ფორვარდს კლოზეს, რომელმაც, როგორც ჩანს, ტრავმა მოიშუშა და გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა.

"ბაიერნის" დროებითი მწვრთნელის იუპ ჰაინკესის თქმით, ამის მიუხედავად, ის შაბათს კოტბუსის "ენერჯისთან" სტუმრად გასამართ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

სამშაბათს არ უვარჯიშიათ კოჭდაშავებულთ - ნახევარმცველ ზე რობერტოს და მცველ კრისტიან ლელს. ჰაინკესს იმედი აქვს, რომ ბრაზილიელი შაბათისთვის მწყობრში იქნება.

## ვან ბასტენი "აიაქსში" რჩება

ამსტერდამის "აიაქსის" ხელმძღვანელობა, მიუხედავად იმისა, რომ "სპარტასთან" 0:4 მარცხის შემდეგ გუნდს ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის თეორიული შანსიც კი წაერთვა, მთავარი მწვრთნელის გადაყენების შესაძლებლობას არ განიხილავს.

"წაგებამ გაგვაღიზიანა, მაგრამ ამის გამო კლუბში სიტუაცია არ შეიცვლება", - დასძენს "აიაქსის" დირექტორი რიკი ვან დენ ბოორი, რომლის კომენტარს AD Sportwereld ავრცელებს.

ამსტერდამელთა თავკაცმა მარკო ვან ბასტენმა განაცხადა, რომ "აიაქსში" მუშაობის გაგრძელება სურს, მაგრამ მისი ბედი კლუბის ხელმძღვანელობის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული.

მარკო ვან ბასტენი ამსტერდამის "აიაქსს" მიმდინარე სეზონის დასაწყისში ჩაუდგა სათავეში, მანამდე კი ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს თავკაცობდა.

## ნედვედი კარიერის დასრულებას არ აპირებს

ტურინის "იუვენტუსის" ჩეხი ნახევარმცველის პაველ ნედვედის აგენტმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივებს კონტრაქტს კლუბთან. არადა, სულ ცოტა ხნის წინ თავად პაველი ამბობდა, რომ კარიერას დაასრულებდა.

"არა მგონია ნედვედმა თამაშს თავი დაანებოს. ერთი წელი ის კიდევ შეძლებს უმაღლეს დონეზე ასპარეზობას", - ამბობს 36 წლის ფეხბურთელის აგენტი.




## დაიპყარი მწვერვალი!
## გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი
**$275 000**





Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007

**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ლინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმური, კლაუდია შიფერი, სინდი კროუფორდი - მათ აირჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პირველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამარჯვებული გაემგზავრება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **$275 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შელანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წარმატებით აგრძელებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.




Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნიკოლაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გარდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025;
info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellookgeorgia.ge • www.icmodels.ge

IC MODEL MANAGEMENT kikala studio 24 საათი MUSIC BOX COSMOPOLITAN



## თვალის მიკროქირურგიის

## ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

## კლინიკა

## " ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

**ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით**
**და ერთი მოძრავი საოპერაციო**
**ბლოკით**

**S L T - ლაზერი**

**გლაუკომის ქირურგიაში**

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80



## დავით ტატიშვილის
## სამედიცინო ცენტრის
## მანუალური თერაპიის
## და სამკურნალო
## მასაჟის სპეციალისტი
## ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**



**24 საათი** | **The New York Times** Articles selected for 24 საათი | **Weekend**

## 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში “24 საათის” სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

ექსკავატორები, საგზაო და სამშენებლო ტექნიკა

JCB
TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში



TCE
TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
24-47-44, 24-47-44 (1219)

გარანტია:
1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად

## ქ. თბილისის მთავრობა

**დადგენილება №11.04.358**

**23 აპრილი 2009წ.**

ქ. თბილისის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] და მე-14 მუხლების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. განხორციელდეს დანართი 1-ში მითითებული ქ. თბილისის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების ლიკვიდაცია.
2. დანართში მითითებული კომპანიების ლიკვიდატორად დაინიშნოს დავით მეფარიშვილი (დაბ. 02.04.1973 წელს, პირ. № 01034004756).
3. დაევალოს კომპანიების ლიკვიდატორს: უზრუნველყოს საზოგადოებების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება უმოკლეს ვადებში.
4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს.
5. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი 1

| № | დასახელება | მისამართი |
|---|---|---|
| 1 | შპს სარემონტო დამამზადებელი ქარხანა “ვაშლიჯვარი” | გოძიაშვილის ქ. №28 |
| 2 | შპს ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი “ალიონი” | დაბა კოჯორი ტაბიძის ქ. №7 |
| 3 | შპს ბავშვთა სანატორიუმი “ცისარტყელა” | დაბა მანგლისი განთიადის ქ. №20 |
| 4 | შპს ჩუღურეთის რაიონის სამშენებლო სარემონტო საწარმო “ვიქტორია” | თვალჭრელიძის მე-3 შეს. №7 |
| 5 | შპს “აღმაშენებელი 96” | ენუქიძის ქ.№12 |
| 6 | შპს “ვარკეთილი 97” | ვარკეთილის მე-3 მასივი, VI კვარტალი |

## განცხადება ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 7 აპრილს წყალსადენის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ავანგარდი XXI"-მ.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 1 აპრილს გამოცხადებულ ტენდერებში, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის 2 ცალი ჭაბურღილის ბურღვის და საექსპლუატაციოდ მომზადების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამარჯვებულია იმ “გურამ მამუკაშვილი", ხოლო ქ. თელავის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის 2 ცალი ჭაბურღილის ბურღვის და საექსპლუატაციოდ მომზადების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, გამარჯვებულია შპს “იმედი XXI". აღნიშნულ ორგანიზაციებთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2009 წლის 1 მაისს.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა. სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 8 250 7 31 05.

## გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს მთავრობის პროექტი

"საქართველო-განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების ხელშეწყობა ადგილობრივი ენერგომომარაგების მიზნით"

აცხადებს ტენდერს:

**„თბილისის გეოთერმული საბადოს ლისისა ხდა საბურთალოს უბნების ჭაბურღილებზე გამზომი ხელსაწყოების მონტაჟი და საბადოს ტესტირებისათვის აუცილებელი გაზომვების ჩატარება.**

წინადადებები მოწოდებულ უნდა იქნას მისამართზე:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, გულუას ქ.6, ოთახი 511

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:

http://climatechange.telenet.ge/Expert.htm

საკონტაქტო პიროვნება - ნიკოლოზ ნეფარიძე

გულუას ქ. 6, ტელეფონი: 507046

ელ-ფოსტა: niko@telenet.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.№3) აცხადებს ხელახალ ტენდერს, **ქ. ქუთაისში გზის საფარის კაპიტალური და მიმდინარე სამუშაოების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია:

ლოტი I: ქუჩებისა და მოედნების კაპიტალური შეკეთება:

**– წმინდა სამების ქუჩა , სავალი ნაწილი 3448 კვ.მ, ტროტუარი 782 კვ.მ, სიგრძე 465 მ.**
**– მწვანე ყვავილას ქუჩა, სიგრძე 2750 მ, ფართი – 17770 კვ.მ**
**– მამია ასათიანის ქუჩა, სიგრძე 120 მ, ფართი – 720 კვ.მ**
**– ჩეხოვის ქუჩის I შესახვევი, სიგრძე 180 მ, ფართი – 1160 კვ.მ**

ლოტი II: გზების მიმდინარე შეკეთება.

**სატენდერო დოკუმენტაციათა პაკეტში მითითებული იქნება ტექნიკური პარამეტრები და განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობა (დეფექტური ქმანები).**

2. დაფინანსების წყარო: **ქ.ქუთაისის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღეს. **მიწოდების ადგილია ქალაქი ქუთაისი.**

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად **(დედანი და ასლი)**, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის **27 მაისს** საათიდან 11-დან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

გ) ცნობა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ);

დ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი.

**5.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილების შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

| № | ანალოგიური მიწოდების ნამინათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით | შემსყიდველის დასახელება, რეკვიზიტები | ხელშეკრულების ღირებულება | მიწოდების წელი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ე) ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

| № | თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | მხოლოდ ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ზ) აუდიტის დასკვნა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

თ) წერილობითი დასტური სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, მასზედ რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი არ არის შეტანილი შესყიდვაში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ი) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურეობის შესახებ

**შენიშვნა:**

ა) ინფორმაცია წარმოდგენილ იქნას შემდეგი ცხრილის სახით

| | გასაწევი მომსახურების სახე | ქვე-კონტრაქტორის დასახელება, რეკვიზიტები | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილება | შესრულების წელი და ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| | და ა.შ | | | |

ბ) ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილების გრაფაში მითითებულ უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ნამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურეობა.

**გ) ამ განცხადების მე-5 მუხლის მოთხოვნები ეხება ქვე-კონტრაქტორებსაც**

6. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას მხოლოდ სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების დასრულების ვადის და პერიოდის გათვალისწინებით.

6'. აღნიშნულ შესყიდვაში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ფასის 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით), შესაბამისი საბანკო გარანტიების /ან სადაზღვევო გარანტიების წარმოდგენით

7. სატენდერო მოსაკრებლის **200(ორასი) ლარის** გადახდის შემდეგ **(სატენდერო მოსაკრებლის ანგარიშია: მიმღების დასახელება-ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების კოდი-220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-300183174. გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი),** მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 7 მაისიდან, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4 სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8.

8. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

10. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ტენდერში მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

12. განცხადების 5.1, 5.2 და 5.3 პუნქტების მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

14. ტენდერი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი ნოდარ მიქიაშვილი, მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1 მე-4 სართ. ოთახი №8; ტელ 4-03-06; ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია აცხადებს ტენდერს აკადემიის ტერიტორიაზე მდებარე ყაზარმის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ 1 ლოტად და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვამდე სატენდერო წინადადებას გაეცნონ შემსყიდველ ორგანიზაციაში, ხოლო ტენდერში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: N302006600, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, უნდა მიუთითოთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი), ქ. თბილისი გმირ კურსანტთა ქუჩა N1, საფინანსო-სამეურნეო სამსახური, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. სამუშაოების გაწევის ადგილი - ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. N1;

3. სამუშაოების გაწევის ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 20 ივლისამდე.

4. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტის გატანა შეეძლება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის (დედანის) წარდგენის შემდეგ 2009 წლის 7 მაისიდან 27 მაისამდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ერთ დახურულ კონვერტში 27 მაისს 10.00-დან 12.30 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, გმირ კურსანტთა ქუჩა N1.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა ფინანსთა სამინისტროდან, საგადასახადო დავალიანების არ არსებობის შესახებ, ცნობა რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

**ფიზიკური პირებისათვის:**

ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

7. ყველა ზემოთ აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა შერჩევის დროს შესაძლოა დაექვემდებაროს შემდგომ დაზუსტებას;

8. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

9. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

10. ტენდერის შედეგად გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

11. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გია ნაცვლიშვილი ტელ. 57-33-37, 8(77) 544-522; ირაკლი მგელაძე 8(77) 50-12-70.

**სატენდერო კომისია**

**შემსყიდველის რეკვიზიტები:** სსიპ საქართველოს შსს აკადემია
მისამართი: ქ. თბილისი, გმირკურსანტთა ქ. N1
ტელ. 57-33-37

-----------------------------------------------------

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0102, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სააგენტოს საჭიროებისათვის ავტომანქანების შესყიდვაზე შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტი 1. – მსუბუქი ავტომანქანა – 4 ერთეული;
ლოტი 2. – მაღალი გამავლობის ავტომანქანა – 4 ერთეული;
ლოტი 3. – პიკაპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტომანქანა – 1 ერთეული;
ლოტი 4. – მინივენის ტიპის ავტომანქანა – 1 ერთეული.

2. საქონლის მიწოდების სავარაუდო ვადები - 2009 წლის ივნისიდან 2009 წლის 1 ივლისამდე.

3. მიწოდების ადგილი: DDP თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51.

4. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე, 2009 წლის 27 მაისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

5. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები – ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, კოდი №220101222, ანგარიშის №200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი №302006300. გადახდის დანიშნულებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს: სატენდერო მოსაკრებელი, ავტომანქანების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, სოციალური მომსახურების სააგენტო.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 28 მაისის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**7.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი), რომელიც აღებული უნდა იყოს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე არაუდრეს 2 კვირისა;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**7.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება:

| **№** | **საქონლის დასახელება** | **შემსყიდველის დასახელება** | **ხელშეკრულების ღირებულება** |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

დ) მომსახურე ბანკის მიერ გაცემული უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციის ანგარიშზე ბრუნვა.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 1 ეგზემპლარი – ქსეროასლის სახით. (ნოტარიულად დამოწმებული ასლის შემთხვევაში, დამოწმება განხორციელებული უნდა იყოს არაუადრეს 2009 წლის 1 მაისისა).

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შერჩევის დროს დაზუსტებას არ ექვემდებარება.

11. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

12. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

13. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

14. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

15. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: შოთა ჯორჯიკია მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51 (მე-2 სართული, ოთახი 232, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 96 27 21. **mail: ssa.gov.ge**

# ქ. თბილისის მთავრობა

**დადგენილება №11.05.359**

23 აპრილი 2009წ.

ქ. თბილისის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ

ქ. თბილისის მთავრობისა და რაიონული გამგეობების შესაბამისი გადაწყვეტილებებით (იხ. დანართი 1) ადრეულ პერიოდებში დაფუძნდა სხვადასხვა სახის კომპანიები, რომლებთაც გადაეცათ სხვადასხვა უძრავი ქონება. უნდა აღინიშნოს, რომ არ განხორციელებულა მითითებული ქონების კომპანიების საკუთრებად რეგისტრაციის პროცედურები, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის (უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებათა შეძენა) შესაბამისად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ამგვარად კომპანიებისთვის გადაცემული ქონება ამ ეტაპზე არ წარმოადგენს მათ საკუთრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის $9^1$ და მე-14 მუხლების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად,

**ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:**

1. დაევალოს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს: ქ. თბილისის მთავრობისა და რაიონული გამგეობების შესაბამისი გადაწყვეტილებებით (იხ. დანართი 1) დანართი 2-ში მითითებულ კომპანიებზე გადაცემული უძრავი ქონების ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები.
2. განხორციელდეს დანართი 2-ში მითითებული კომპანიების ლიკვიდაცია.
3. დანართში მითითებული კომპანიების ლიკვიდატორად დაინიშნოს ელენე მიხაილოვა (დაბ. 10.01.1978 წელს, პირ. № 01005002315).
4. დაევალოს კომპანიების ლიკვიდატორს: უზრუნველყოს საზოგადოებების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება უმოკლეს ვადებში.
5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს.
6. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი 1

| № | ადმინისტრაციული აქტის სათაური | ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანო | ადმინისტრაციული აქტის № | ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თარიღი |
|---|---|---|---|---|
| 1 | გადაწყვეტილება | ქ. თბილისის მერიის ისნის რაიონის გამგეობა | 13.10.195 | 1999 წლის 26 ნოემბერი |
| 2 | გადაწყვეტილება ნაძალადევის რაიონის გამწვანების მეურნეობის რეორგანიზაციის შესახებ | ქ. თბილისის მერიის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა | 20 (ოქმი №1) | 2000 წლის 11 მაისი |
| 3 | გადაწყვეტილება გლდანისა და ნაძალადევის რაიონების გამგეობების მიერ დაფუძნებული საწარმოების სამეწარმეო რეგისტრაციის მონაცემებში შესატანი ცვლილებების შესახებ | ქ. თბილისის მერიის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა | 9 (ოქმი №1) | 2001 წლის 16 თებერვალი |
| 4 | განკარგულება | დიდუბის რაიონის გამგეობა | 98 | 1999 წლის 23 აგვისტო |
| 5 | დადგენილება შპს "საქსაშენმასალებით ვაჭრობის" დაფუძნების შესახებ | ქ. თბილისის მთავრობა | 19.13.410 | 2001 წლის 15 ნოემბერი |
| 6 | დადგენილება შპს "სარემონტო სამშენებლო საწარმო მწვანემშენის" დაფუძნების შესახებ | ქ. თბილისის მთავრობა | 05.08.84 | 2002 წლის 21 მარტი |

დანართი 2

| № | დასახელება | მისამართი |
|---|---|---|
| 1 | შპს "გამწვანება ისანი" | ხევენის ნიხი №2 |
| 2 | შპს "გლდანი ნაძალადევის გამწვანების უბანი №1" | გლდანის 3 მ/რ №36 |
| 3 | შპს "გლდანი ნაძალადევის გამწვანების უბანი №2" | სამღერეთის ქ. №3 |
| 4 | შპს "გამწვანება დიდუბე-ჩუღურეთი" | თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია |
| 5 | შპს "მწვანემშენი" | გოძიაშვილის ქ. №87 |
| 6 | შპს "საქსაშენმასალებით ვაჭრობა" | ბალანჩივაძის ქ. №5 |

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის გამყოფ მწვანე ზოლში სარწყავი სისტემის მოწყობის (I ეტაპი) სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.შესყიდვის ობიექტი** - ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის გამყოფ მწვანე ზოლში სარწყავი სისტემის მოწყობა (I ეტაპი);

***შესრულების სავალდებულო ვადა - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვე;***

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 27 მაისის 11:00 საათიდან 2009 წლის 27 მაისის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი**, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის გამყოფ მწვანე ზოლში სარწყავი სისტემის მოწყობის (I ეტაპი) სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 7 მაისიდან 2009 წლის 27 მაისის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ცირა მაღრაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

# მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველო

**რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი**

კრედიტის ნომერი: N4516 GE

**საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფ. სარეკის გზის რეაბილიტაციის ქვეპროექტი**

RMIDP/SACHKHERE/CW/NCB/42-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: **საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფ. სარეკის გზის რეაბილიტაციისათვის** (კონტრაქტის N RMIDP/SACHKHERE/CW/NCB/42-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს **საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფ. სარეკის გზის სარეაბილიტაციო** სამუშაოების ჩასატარებლად. ობიექტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ზემო იმერეთის ტერიტორიაზე.

პროექტი ითვალისწინებს გზის საფარის აღდგენას. სამუშაოების ძირითადი მოცულობებია:

- ფრაქციული ღორღი 1 652 კვ.მ;

- ბიტუმით გაჟღენთილი ღორღი 3 500 კვ.მ;

- თხევადი ბიტუმი 13.35 ტ;

- მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარი 16 552 კვ.მ;
- წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარი 29 055 კვ.მ;

სამუშაოების ხანგრძლივობაა 4 თვე.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**

**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**

**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**

**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**

**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 5,8 მილიონი ლარის ექვივალენტი;

2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 1,3 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 8 ივნისის 12:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 38 000 (ოცდათვრამეტი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 8 ივნისს 12:00 საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**

მისამართი: საქართველო, თბილისი 0112,

დ. აღმაშენებლის გამზირი 150,

მეოთხე სართული, ოთახი 405,

ტელ: +995-32-48-45-09/10/11/15

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით**
**აუქციონის ჩატარების შესახებ**

| ობიექტის № | ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" საწყისი ფასის 20% (ლარი) | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საგარეჯო, სოფ. კაზლარი | „კაზლარის" ქვიშის (სამშენებლო) გამოვლინება | P | 5 წელი | 190 500 $მ^3$ | 25 543 | 5 109 | 1 204,4 |
| 2 | ნინოწმინდა, სოფ. უჯმანა | „უჯმანას" დაციტის (სარორლე) გამოვლინება | P | 3 წელი | 250 000 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 1 601,4 |
| 3 | ხაშური, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია | მდ. მტკვარზე „გომი II" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 27 000 $მ^3$ | 3 620 | 724 | 1 204,4 |
| 4 | ჭიათურა, სოფ. ეწერი | „ეწერის" კვარციანი ქვიშის გამოვლინება | P | 20 წელი | 72 000 $მ^3$ | 4 507 | 901 | 920,4 |
| 5 | ხობი, სოფ. ბია | მდ. ხობისწყალზე „ბიას" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 300 000 $მ^3$ | 40 226 | 8 045 | 1 601,4 |
| 6 | ქ. თბილისის მიმდებარე ტერიტორია | მდ. მტკვრის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 120 600 $მ^3$ | 16 171 | 3 234 | 1 174.9 |
| 7 | წალკა, სოფ. ჩივთქილისა | ჩივთქილისას კირქვის (საკირე) საბადო | $C_2$ | 20 წელი | 535 680 ტ. | 15 088 | 3 018 | 1 318.40 |
| 8 | საგარეჯო, სოფ. ოთარაანი | მდ. გომბორზე „გომბორის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 92 400 $მ^3$ | 12 390 | 2 478 | 1 204.20 |
| 9 | საგარეჯო, სოფ. ოთარაანი | მდ. იორზე ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 11 400 $მ^3$ | 1 529 | 306 | 814.20 |
| 10 | მარნეული, სოფ. ყიზილაჯლო | ბაზალტის (ღორღი) გამოვლინება | P | 20 წელი | 300 000 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 1 432,20 |
| 11 | ხაშური, სოფ. ოსიაური | მდ. მტკვარზე „ოსიაურის" ქვიშა, ხრეშის | $C_1$ | 5 წელი | 86 400 $მ^3$ | 11 585 | 2 317 | 1 432.40 |
| 12 | ხაშური, სოფ. ხცისი | მდ. მტკვარზე „ჭალისუბნის" ქვიშა, ხრეშის | $C_1$ | 5 წელი | 151 800 $მ^3$ | 20 354 | 4 071 | 1774.40 |
| 13 | მცხეთა, სოფ. ძეგვი | მდ. მტკვარზე „ძეგვის" ქვიშა, ხრეშის საბადო | $C_1$ | 5 წელი | 30 300 $მ^3$ | 4 063 | 813 | 1 212.20 |
| 14 | მარნეული, სოფ. ხანჯი-გაზლო | მდ. ხრამი „ლეჟბადინის" ქვიშა, ხრეშის საბადო | $C_1+C_2$ | 5 წელი | 145 800 $მ^3$ | 19 550 | 3 910 | 1 554.20 |
| 15 | მარტვილი, სოფ. ზემო ნაგვაზაო | მდ. აბაშაზე ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 22 200 $მ^3$ | 2 977 | 595 | 1 145.4 |
| 16 | თეთრიწყარო, სოფ. გოხნარი | გოხნარის დოლერიტის საბადო | $A+B+C_1$ | 20 წელი | 1 401 249 $მ^3$ | 319 234 | 63 847 | 2 238.20 |
| 17 | თეთრიწყარო, სოფ. გოხნარი | გოხნარის ბაზალტის (ღორღი) გამოვლინება | P | 20 წელი | 100 000 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 2 002.20 |
| 18 | შუახევი, სოფ. ოლიდაურის მიმდებარე ტერიტორია | წყაროს მტკნარი წყალი (ჩამოსასხმელი) | P | 25 წელი | 17,5 $მ^3$/ დღ.ღ. | 10 000 | 2 000 | 1 145,40 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ.№12 ტელ. 99 11 29, 99 10 91 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 7 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 8 ივნისს 12 საათიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობაში. |
| ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი **200 ლარის** ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. | **სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **„ბე"-ს** შემოტანის ქვითარი | **„ბე"-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000 |
| აუქციონზე გამარჯვებული პირები ვალდებულნი არიან ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადონ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ გაწეული მომსახურების საფასური | **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო":** ს/ს „პროკრედიტ ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საიდ. კოდი: 204559691 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები | დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები. |
| **აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური"**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", მდებარე ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ.N15ა, აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **ფოთლის მღრღნელი მავნებლების საწინააღმდეგოდ საქართველოში რეგისტრირებული პესტიციდების შესყიდვაზე** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტები:**

*Bacillus thuringienses* - ის საფუძველზე დამზადებული ბიოლოგიური ინსექტიციდი - 2 000 ლიტრი;

1. პრეპარატის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.N82.
2. საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს **2009 წლის 10 ივლისისა.**
**3.** დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებით, ორ ეგზემპლარად (ორიგინალი და ასლი) უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 27 მაისის 12 საათიდან 15 საათამდე** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა. IVსართ. ოთახი N21.
4. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 27 მაისის 15 საათზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არსებობს საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა.
გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ
დ) ცნობას საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (იურიდიული პირის შემთხვევაში).
ე) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.
ვ) მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
6. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-5 პუნქტში მითითებული ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და ასევე "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).
7. მე-5 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დათარიღებული უნდა იყოს განცხადების გამოქვეყნების დღის შემდეგი რიცხვით.
8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-5 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.
9 სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი არ განიხილება
10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **მ/წლის 7 მაისის 10 საათიდან 2009 წლის 25 მაისის 18 საათამდე** მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა. IVსართ. ოთახი N21.
11. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს შეუძლია მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა უნდა შეადგენდეს სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ს.
13. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
14. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.
15. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ანგარიში N200122900, დანიშნულების კოდი: 300773174, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", ს/კ: 205142200.

16. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბატონ გერონტი ფრუიძეს სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა, IV სართული, ოთახი N21; ტელ: (995 032) 39 22 56;

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სატენდერო კომისია*

---

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური"**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური" აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად შემასხურებელი ტექნიკის შეძენაზე*** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტია:**

**პიკაპზე დასამონტაჟებელი უნივერსალური შემასხურებელი აგრეგატი მცენარეების "თერმული ნისლით"დამუშავებისთვის - 6 (ექვსი) ცალი;**

1. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.N82.

**2.** საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს **2009 წლის 20 ივლისისა**

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებით, ორ ეგზემპლარად (ორიგინალი და ასლი) უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 27 მაისის 10 საათიდან 13 საათამდე** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა. IVსართ. ოთახი N21.

4. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 28 მაისის 13 საათზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არსებობს საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა.
გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ
დ) ცნობას საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (იურიდიული პირის შემთხვევაში).
ე) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.
ვ) მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

6. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-5 პუნქტში მითითებული ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და ასევე "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)

7. მე-5 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დათარიღებული უნდა იყოს განცხადების გამოქვეყნების დღის შემდეგი რიცხვით;

8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-5 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

9 სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი არ განიხილება.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **მ/წლის 7 მაისის 10 საათიდან 2009 წლის 25 მაისის 18 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა. . IVსართ. ოთახი N21.

11. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს შეუძლია მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა უნდა შეადგენდეს სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ს.

13. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

14. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

15. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ანგარიში N200122900, დანიშნულების კოდი: 300773174, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", ს/კ: 205142200.

16. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბატონ გერონტი ფრუიძეს სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა, IV სართული, ოთახი N21; ტელ: (995 032) 39 22 56;

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სატენდერო კომისია*

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი" (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ონი დას. საბერიო) აცხადებს განმეორებით აუქციონს ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეალიზების მიზნით

| № | ავტომანქანის დასახელება, მოდელი | გამოშვების წელი | საწყისი ფასი ლარებში | „ბე"-ს ოდენობა ლარებში | სავაჭრო ბიჯი ლარებში | მონაწილის ბილეთის ფასი ლარებში | ადგილსამყოფელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გაზ 3110 | 1998 | 4800 | 600 | 250 | 20 | გალი. დას. საბერიო |
| 2 | კამაზი 5511 | 1982 | 4500 | 400 | 250 | 20 | გალი. დას. საბერიო |
| 3 | ავტობუსი 3507 | 1990 | 2590 | 350 | 200 | 20 | გალი. დას. საბერიო |
| 4 | ვაზ 2131 ნივა | 1999 | 3500 | 400 | 200 | 20 | ქ. ჯვარი |
| 5 | გალოპერ | 2000 | 7700 | 900 | 400 | 20 | ქ. ჯვარი |
| 6 | ჰონდა | 1998 | 7800 | 900 | 400 | 20 | ქ. ჯვარი |
| 7 | მისაბმელი ცისტერნა | 1982 | 3100 | 500 | 300 | 20 | გალი. დას. საბერიო |
| 8 | მოტოროლერი სატვირთო | 1989 | 170 | 50 | 30 | 20 | ქ. ჯვარი |
| 9 | ავტობუსი ზილი | 1988 | 3000 | 500 | 300 | 20 | ქ. ჯვარი |

გადახდილი „ბე"-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის" საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: მიმღები შპს „ენგურჰესი", სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება, ბანკის კოდი 220101929, ანგარიშგების ანგარიში 301467126, ს/კოდი 251716371.

განცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული, შპს „ენგურჰესის" ოფისი. განცხადებების მიღების ვადაა, 2009 წლის 7 მაისის 10 სთ-დან 2009 წლის 22 მაისის 13 სთ-მდე ყოველ დღე სამუშაო საათებში 10-სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათ- კვირის გარდა. აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 22 მაისს 14 სთ-ზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან" შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მისაღებად **რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს** შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის" ოფისი);
- „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის (დედანი და ასლი);
- იურიდიული პირისათვის- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

საააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.
სარეალიზაციო ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის" ოფისი, ტელ. 895 22 70 50

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქუჩა №11) აცხადებს ტენდერს **ქ. ახალქალაქში რუსთაველის და მიკოიანის ქუჩების რეაბილიტაციის ჩატარებაზე** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. სამუშაოების შესრულების ვადა, მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შექმნილ სატენდერო კომისიაში.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტით **2009 წლის 28 მაისს 17 საათამდე** ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული, ოთახი № 21, სატენდერო კომისიის აპარატი.
4. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება **2009 წლის 28 მაისს 17 საათზე.** პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
5.1. ცნობები:

**5.1.1. იურიდიული პირისათვის:**

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.
- ცნობა საჯარო რეესტრის ტერიტორიული ერთეულის სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება.

**5.1.2. ფიზიკურის პირისათვის:**

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და ლიკვიდაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება.
- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

**5.1.3. როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- იურიდიული/ფიზიკური პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დღგ-ს გადამხდელად/ან არგადამხდელად რეგისტრაციის შესახებ
- ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პირი არაა შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში
- ინფორმაცია ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება, შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

| № | ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით | შემსყიდველის დასახელება, რეკვიზიტები | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების წელი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

- ინფორმაცია მანქანა-მექნიზმების შესახებ, მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ფორმით (ქირა, თხოვება და ა.შ.)

| № | მანქანა მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარ-ეობა (ახალი, ნახმარი,მომვეღებული) | საკუთრება: მფლობელობის და სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგზაო მანქანები და სატრანსპორტო საშუალებები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუტრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა მექანიზმები.

- ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

| № | თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

* საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იქნება რეგისტრირებული გადამხდელად და არ წარმოადგენს ნოტარიული წესით დამოწმებულ გადამხდელის მოწმობის ასლს;
სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;
სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრედენდენტის მიერ, ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.
ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|---|
| | | | |

6. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.
7. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.
8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.
9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
10. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) მსურველებს შეეძლებათ 2009 წლის **27 მაისს 17 საათამდე** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, **მოცემულ** მისამართზე: ქ. ახალქალაქი ჩარენცის ქ. №11, სატენდერო კომისის აპარატი.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა № 220101222**
**ხაზინის ერთიანი ანგარიში № 200122900**
**ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებლის**
**სახაზინო კოდი: 300603174**

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოქმედ სატენდერო კომისიაში, მისამართზე: ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ. №11, ახალქალაქის მუნიციპალური გამგეობა. საკონტაქტო ტელეფონი: 895 566195, აშოტ ისპირიან.

სატენდერო საკომისიის თავმჯდომარე ვ. ბატოიან

# განცხადება
# ერთეტაპიანი საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საერთაშორისო ერთეტაპიან ტენდერს აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული სპეცკონტიგენტის (სულ 15 000 ბენეფიციარი) სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების მიზნით სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო დახმარების (სრული მოცულობით) და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. **შესყიდვის ობიექტი:**

**აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული სპეცკონტიგენტის (სულ 15 000 ბენეფიციარი) სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო დახმარება (სრული მოცულობით) და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება:**

**ლოტი N1 - აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული სპეცკონტიგენტის (სულ 15 000 ბენეფიციარი) სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო დახმარება (სრული მოცულობით);**

**ლოტი N2 - აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული სპეცკონტიგენტის (სულ 15 000 ბენეფიციარი) გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება და ტრანსპორტირება;**

**ლოტი N3 - დასავლეთ საქართველოში განლაგებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული სპეცკონტიგენტის (სულ 5 000 ბენეფიციარი) გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება და ტრანსპორტირება.**

*(ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში).*

3. **მომსახურების გაწევის პირობები** - მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. **მომსახურების გაწევის ადგილი:**

4.1. *სასჯელაღსრულების დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებული საპყრობილე-დაწესებულებები:*

1. N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება; ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. N60;
2. N2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება; ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. N64;
3. N6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება; ქ. რუსთავი, სოფ. ციხისძირი;
4. ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება; ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. N11;
5. N1 საპყრობილე; ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N85;
6. N3 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება; ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N77;
7. N7 საპყრობილე; ქ. თბილისი, გულუას ქ. N31;
8. N8 საპყრობილე; ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ + 2 კმ;
9. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება; ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ + 2 კმ;
10. N10 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება; ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი N17;
11. არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება; ქ. თბილისი, გრ. ხანძთელის ქ. N33;
12. N7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება; მცხეთის რაიონი, დაბა ქსანი;
13. ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება; მცხეთის რაიონი, დაბა ქსანი.

4.1. *სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოში განლაგებული საპყრობილე-დაწესებულებები:*

1. N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება; ქ ქუთაისი, ხარებავას ქ. N85
2. N8 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება; ქ. წყალტუბო, სოფელი გეგუთი (ვარციხის დასახლება);
3. N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება; ხონის რაიონი, ჩაის მეურნეობა;
4. N4 საპყრობილე; ქ. ზუგდიდი, ც. დადიანის ქ. N9;
5. N3 საპყრობილე; დაბა ხელვაჩაური, ურეხის დასახლება.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება დალუქულ პაკეტში, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 27 მაისის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N32. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 27 მაისს 14 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

b) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციის მიმართ "საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ";

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

b) ცნობა ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორების მდგომარეობის შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) დაწესებულების სალიცენზიო მოწმობა, კონკრეტული საქმიანობის (საქმიანობების) შესახებ (არსებობის შემთხვევაში);

დ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

**შენიშვნა:** განცხადების მე-6 პუნქტში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით და ერთი ეგზემპლარი ქსეროასლის სახით).

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 27 მაისის 12 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 302003174. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამედიცინო მომსახურების შესყიდვა. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N32.

12. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების საერთო ფასის 1%-ს ოდენობით.

13. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

14. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატის წევრის - ანა გიორგობიანისაგან, მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N32. ტელ: 75-23-83.

*სატენდერო კომისია*

---

# ს.ს. "კახეთის ენერგოდისტრიბუცია"

**აჩინებულის ქ. N 1**
**2200, თელავი, საქართველო**
**ტელ: 8 250 7 42 92; 7 56 50**
**საკონტაქტო პირი: პაატა დოკვაძე - 895 22 80 90**
**ფაქსი: 8 250 7 12 32**
**E-mail: info@ked.ge**
**office@ked.ge**

**აცხადებს კონკურსს შემდეგი სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე:**

**1. ავტომობილი ბრიგადისთვის (მიკროავტობუსის ტიპის) - 4 ერთეული.**
**მახასიათებლები: 7 კაცზე კაბინით და 0,5 ტონა ტვირთზე გათვალისწინებული.**
**2. ავტომობილი ბრიგადისთვის (გაზელის ტიპის) - კაბინის ტევადობით 5 კაცზე, ტვირთამწეობა 2-3 ტონა**
**3. ავტომობილი ოპერაციული ბრიგადისათვის, პიკაპის ტიპის 8 ერთეული.**
**მახასიათებლები: 1. ორხიდიანი**
**2. 5 კაციანი კაბინით**
**3. სასურველია ბორტი იხურებოდეს.**
**4. ბორტიანი მინი სატვირთო 1 ერთეული - ტვირთამწეობა 3.5 ტონა.**
**5. მსუბუქი ავტომობილლი 2 ერთეული - მცირე ლიტრაჟიანი ჯიპის ტიპის.**
**6. მიკროავტობუსი 8 ერთეული.**
**7. მსუბუქი ავტომობილი - 8 ერთეული - სასურველია მცირელიტრაჟიანი ჯიპის ტიპის.**
**8. ამწე კოშკურა 4 ერთეული:**
**მახასიათებლები: 1. დიდი კაბინით 5-6 კაციანი**
**2.განყოფილება მატერიალებისთვის**
**3. ტვირთამწეობა 300კგ.**
**4. ამწე უნდა იყოს ტელესკოპური არა ნაკლებ 15მ-იანი.**
**9. საბურღი მანქანა 1 ერთელი, მახასიათებლები: 1. ორხიდიანი**
**2. საბურღი სიღრმე 3მ.**
**3. ბურღის დიამეტრი 300მ.მ.**
**10. ტრაქტორი ბელარუსი - MTZ-82-ის ტიპი 1 ერთეული.**
**მახასიათებლები: 1. მოტორის სიმძლავრე (80-120) დიზელი**
**2. ორხიდიანი**
**3. სასურველია მისაბმელი (3.5) ტონა**
**11. ამწე 1 ერთეული, მახასიათებლები: 1. ტვირთამწეობა 9-14 ტონა**
**2. ისრის სიგრძე 14-16მ.**
**3. ადგილით მატერიალებისთვის 3.5 ტ.**

**პ.ს. მიიღება წინადადებები ექსპლუატირებულ, მაგრამ კარგ მდგომარეობაში მყოფ სატრანსპორტო საშუალებებზეც.**

## საქართველოს კონტროლის პალატის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს კონტროლის პალატა აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში მდებარე კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობებისათვის ოთხი ახალი ლიფტის შეძენა - თანმდევი მომსახურეობით (დემონტაჟი-მონტაჟი, გაშვება, გაწყობა) და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ოთხი ახალი ლიფტის შეძენა თანმდევი მომსახურეობით (დემონტაჟი-მონტაჟი, გაშვება, გაწყობა) სამუშაოების წარმოება განხორციელდება 2009 წლის 1 ივნისიდან 2009 წლის 1 დეკემბრამდე, საქართველოს კონტროლის პალატასა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურული კონვერტით) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 28 მაისს 16 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N96, საქართველოს კონტროლის პალატა, ტელ: 78 81 46

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიულ პირთათვის:

a) ცნობები შესაბამისი უწყებიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმე;

b) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის.

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ე) ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში **(2006-2008 წ.წ.)** ანალოგიური საქმიანობის (მათ შორის დემონტაჟი-მონტაჟი, გაშვება-გაწყობა) განხორციელების გამოცდილებაზე.

ვ) შესასყიდი საქონლის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

ზ) ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის და შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადის შესახებ (მინიმუმ 3 წელი).

4.2. ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში **(2006-2008 წ.წ.)** ანალოგიური საქმიანობის (მათ შორის დემონტაჟი-მონტაჟი, გაშვება-გაწყობა) განხორციელების გამოცდილებაზე.

დ) შესასყიდი საქონლის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

ე) ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის და შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადის შესახებ (მინიმუმ 3 წელი).

4.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა.

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია მთლიანი წარმოდგენილი თანხის 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამოქვეყნებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით).

8. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: (სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი - 302004700, ანგარიშის N200122900) გადახდის დანიშნულებაში მიუთითეთ საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინეთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N96, ოთახი N231. რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია 2009 წლის 27 მაისს 18 საათამდე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს კონტროლის პალატაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N96, ტელ: 78 81 46. მაკა სოხაძე.

**ოთხი ახალი ლიფტის შეძენა**
**თანმდევი მომსახურეობით (დემონტაჟი-მონტაჟი, გაშვება, გაწყობა)**

1. **N1 და N2 ლიფტები** - შახტის ზომები 3285X2070 მმ. (თითოეულის 1610X2070 მმ.), ლიფტების სიჩქარე 1 მ/წმ, ტვირთამწეობა - 450 კგ, 5 გაჩერება-გაღება, 1 გამოტოვებული სართული, სამანქანო განყოფილებით, მოპირკეთებული უჟანგავი ფოლადით. (განთავსება - კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობა ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.)

2. **N3 ლიფტი** - შახტის ზომები 1550X1700 მმ. ლიფტის სიჩქარე 1 მ/წმ, ტვირთამწეობა - 450 კგ, 6 გაჩერება-გაღება, სამანქანო განყოფილებით, მოპირკეთებული უჟანგავი ფოლადით. (განთავსება - კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობა ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.)

3. **N4 ლიფტი** - შახტის ზომები 1550X1700 მმ. ლიფტის სიჩქარე 1 მ/წმ, ტვირთამწეობა - 450 კგ, 4 გაჩერება-გაღება, სამანქანო განყოფილებით, მოპირკეთებული უჟანგავი ფოლადით. (განთავსება - კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობა ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N22.)

**საქართველოს კონტროლის პალატის**
**სატენდერო კომისია**

## შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს

**სადგურ ბათუმის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე 29.3 კვ,მ ფართში, სასადილოს მოწყობის მიზნით დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ**

**1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები**

**- საიჯარო ქონების მისამართი- ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის N2 (**სადგურ ბათუმის ადმინისტრაციული შენობა)

**- იჯარით გასაცემი ფართი - 29.3 კვ.მ**

**- საწყისი საიჯარო ქირა თვეში - 30 ლარი (დღგს-გარეშე)**

**- "ბე" - 30 ლარი**

**- იჯარის ვადა - 3 წელი**

**- განაცხადების მიღების ადგილი - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს " საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული**

ტელ: 56 33 48; 56 65 10

**- განაცხადების მიღების ვადა** - 2009 წლის 7 მაისიდან 2009 წლის 19 მაისის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

**- კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო** - მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი - 2009 წლის 20 მაისი. ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში 14:00 საათზე.

**- შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები** - "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/აN3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენტიფიკაციო კოდი N202886010.

**- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** - საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**2. კონკურსის პირობები**

2.1 მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.

2.2 მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს, იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვა.

2.3 იჯარით აღებულ ფართზე, კომუნალურ გადასახადებსა და დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე;

2.4 ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის N1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა. შპს "საქართველოს რკინიგზის" დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს, საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროება საიჯარო ფართი, მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.

***3.* საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები**

1.1 საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

**4. იჯარის ხელშეკრულების დადება**

4.1 კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს საქართველოს რკინიგზასთან~ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება.

4.2 მიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზას" წარუდგინოს ანგარიში, იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

4.3 სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

4.4 თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

**5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

5.1 დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა, გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

5.2 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის (მითითებით სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე ასეთი წინადადებები არ განიხილება)

5.3 **"ბე"-ს გადახდის ქვითარი -** "ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით.

5.4 კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

5.5 იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ, სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

5.6 კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

5.7 კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გაერშე.

5.8 გადაწყვეტილება, კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.9 კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

**6. შენიშვნები და დათქმები**

6.1 მოიჯარეს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას.

6.2 დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

6.3 განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

6.4 თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის, იმავე საათზე.

6.5 მეიჯარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს მოიჯარის მიერ ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

**საიჯარო ქონებაზე დამატებითი ინფორმაციის**
**მიღება შესაძლებელია**

**შპს "საქართველოს რკინიგზაში"**
ტელ.: 56 33 48;
56 65 10;

საქართველოს რკინიგზა
GEORGIAN RAILWAY

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0102, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სააგენტოს განყოფილებების ოფისების დარჩენილი სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტი 1. – 248.4 მ$^2$ ფართის ხაშურის რაიონულ განყოფილებაში დარჩენილი სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 2. – 443.6 კვ.მ. ფართის ზესტაფონის რაიონულ განყოფილებაში დარჩენილი სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 3. – 239.7 კვ.მ. ფართის ქობულეთის რაიონულ განყოფილებაში დარჩენილი სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 4. – 141 კვ.მ. ფართის შუახევის რაიონულ განყოფილებაში დარჩენილი სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 5. – 285 კვ.მ. ფართის საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში დარჩენილი სარემონტო სამუშაოები.

ლოტი 6. – 237 კვ.მ. ფართის დედოფლისწყაროს რაიონულ განყოფილებაში დარჩენილი სარემონტო სამუშაოები.

2. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები - 2009 წლის ივნისიდან 2009 წლის 1 სექტემბრამდე.

3. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

4. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე, 2009 წლის 28 მაისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

5. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები – ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, კოდი №220101222, ანგარიშის №200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი №302006300. გადახდის დანიშნულებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს: სატენდერო მოსაკრებელი, სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, სოციალური მომსახურების სააგენტო.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 29 მაისის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**7.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი), რომელიც აღებული უნდა იყოს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე არაუდრეს 2 კვირისა;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**7.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) პრეტენდენტის ბალანსზე რიცხული ტექნიკური საშუალებების ჩამონათვალი (დამტკიცებული აუდიტის მიერ);

დ) უკანასკნელ პერიოდში შესრულებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაო:

| № | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>3.<br>. | | | | | |

ე) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის ძირითადი კადრების კვალიფიკაცია და გამოცდილება

ვ) სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში)

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტის ფასი | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|---|
| | | | |

ზ) მომსახურე ბანკის მიერ გაცემული უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციის ანგარიშზე ბრუნვა.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 1 ეგზემპლარი – ქსეროასლის სახით. (ნოტარიულად დამოწმებული ასლის შემთხვევაში, დამოწმება განხორციელებული უნდა იყოს არაუადრეს 2009 წლის 1 მაისისა).

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შერჩევის დროის დაზუსტებას არ ექვემდებარება.

11. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

12. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

13. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

14. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

15. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მითა ჯორჯიკია მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51 (მე-2 სართული, ოთახი 232, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 96 27 21. **www.ssa.gov.ge**

**Regional Capacity Building Initiative**

Supporting partner country participation in ENPI CBC Programmes 2007 - 2013

website: www.rcbi.info
email: info@rcbi.info

შეცდომის შესწორება

## განცხადება

ა/წ 18 მაისს ქ. თბილისში და 19 მაისს ქ. ბათუმში ჩატარდება შავი ზღვის აუზის საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროგრამისადმი (CBC) მიძღვნილი სამუშაო სემინარები. შეხვედრა მიზნად ისახავს დაინტერესებულ ორგანიზაციათა ინფორმირებას საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროექტებისადმი არსებული მოთხოვნებისა და სააპლიკაციო ფორმის შევსების წესის შესახებ.
შეხვედრაზე დასწრება შეუძლიათ საჯარო და არამომგებიან კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროექტების 2009 წლის კონკურსში.
სამუშაო შეხვედრაზე დასწრების მსურველმა ორგანიზაციებმა რეგისტარციისათვის უნდა შეავსოთ „საპროექტო იდეის ფორმა" (ინგლისურ ენაზე), რომელიც შეგიძლიათ იხილოთ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის საიტზე www.csrdg.ge. და გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე lia.todua@rcbi.info CC: tamar@csrdg.ge ან ფაქსით: 250711, 391990 ა/წ **14 მაისამდე.**
აქვე გაცნობებთ, რომ ინფორმაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროგრამის 2009 წლის კონკურსის შესახებ გამოცხადდება უახლოეს დღეებში ვებ-გვერდზე www.blacksea-cbc.net. იქვე შეგიძლიათ იხილოთ შესაბამისი სააპლიკაციო ფორმები და პროექტის წარმდგენის სახელმძღვანელოს საბოლოო ვარიანტი.
სემინარზე დასასწრებად მგზავრობის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე, სამგზავრო ბილეთის წარმოდგენის შემთხვევაში.
საკონტაქტო პირი: თამარ გობეჯიშვილი ტელ: 250711, 391990 მობ: 855 58 68 87 ელ-ფოსტა: tamar@csrdg.ge

MWH
BUILDING A BETTER WORLD

This project is funded by the EU

and implemented by a consortium led by MWH

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20, (ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

## განცხადება ტენდერის შესახებ

**ქ. გარდაბანი 7 მაისი 2009 წ.**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ვაზიანის პოლიციის შენობის სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე.

სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა 30 ივნისი.

2. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც ბანკში უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით, (ხაზინის ერთიან ანგარიშზე N200122900, გარდაბნის სახაზინო შიფრი N300113174) თუ სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

3. ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის: ქალაქი გარდაბანი დ. აღმაშენებლის N127 საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

4. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 26 მაისი 17.00 სთ-მდე.

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

6. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) 2009 წლის 27 მაისს 1000 - 17.00 სთ-მდე.

7. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს 5-ე პუნქტში აღნიშნულ ვადაში 7-ე ან 8-ე პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს:

8. **საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან).
- მისი ხელმძღვანელები არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია;

9. **საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

- ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი არის ქმედუნარიანი;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან)
- არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია;

10. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება ტენდერში მონაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ს ოდენობით.

11. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2009 წლის 27 მაისს 17.00 სთ-ზე.

12. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: ქალაქი გარდაბანი დ. აღმაშენებლის N127 საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

ტელ: 8272 2-23-34.
სატენდერო კომისია

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი - ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 (სამ) ლოტად:

**ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა :**

ლოტი N1 - **მსუბუქი მაღალი გამავლობის ექსპლუატაციაში მყოფი 5 ერთეული ავტომობილი:**

1. ძრავის მოცულობა: 2000 - 2500 სმ3
2. საწვავის ტიპი: ბენზინი;
3. სიმძლავრე: არანაკლებ 60 ც/ძ.
4. სიჩქარის გადამცემი კოლოფი: ავტომატიკა.
5. საჭის ჰიდროგამაძლიერებელი;
6. უსაფრთხოების ბალიშები არანაკლებ 2-სა;
7. ფერი: ნებისმიერი;
8. ქარხნული წარმოების მარცხენა საჭე;
9. კონდენციონერი;
10. ექპლუატაციაში მყოფი;
11. საგარანტიო ვადა: არანაკლებ წელი;

ლოტი N2 - **მსუბუქი კლასის მაღალი გამავლობის ავტომობილი 2 ერთეული (ექსპლუატაციაში არ მყოფი):**

1. ძრავის მოცულობა: 2000 - 2500 სმ3
2. საწვავის ტიპი: ბენზინი;
3. სიმძლავრე: არანაკლებ 130 ც/ძ
4. სიჩქარის გადამცემი კოლოფი: 5 სიჩქარიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფი;
5. საჭის ჰიდროგამაძლიერებელი;
6. საჭის სიმაღლის რეგულირება;
7. ABS;
8. ცენტრალური საკეტი;
9. ელექტრო რეგულირებადი შუშები;
10. ელექტრო სარკეები;
11. წინა ნისლის საწინააღმდეგო ფარები;
12. ბორტ კომპიუტერი;
14. კონდიციონერი;
15 სალონის განათება;
16. მძღოლის სავარძლის სიმაღლის რეგულირება;
17. უსაფრთხოების ღვედები;
18. ექსპლუატაციაში არმყოფი;

ლოტი N3 - **მსუბუქი კლასის მაღალი გამავლობის ავტომობილი 1 ერთეული (ექსპლუატაციაში არ მყოფი):**

1. ძრავის მოცულობა: 2000 - 2500 სმ3
12. საწვავის ტიპი: დიზელი;
13. სიმძლავრე: არანაკლებ 140 ც/ძ
14. სიჩქარის გადამცემი კოლოფი: ავტომატური;
15. საჭის ჰიდროგამაძლიერებელი;
16. საჭის სიმაღლის რეგულირება;
17. ცენტრალური საკეტი;
18. ელექტრო რეგულირებადი შუშები;
19. ელექტრო სარკეები გამათბობლით;
20. წინა ორი უსაფრთხოების ბალიში;
21. სათადარიგო საბურავი;
22. ABS;
23. ელექტრო დასაკეცი სარკეები;
24. წინა ნისლის საწინააღმდეგო ფარები;
25. უკანა დამატებითი სტოპ სიგნალი;
26. ტყავის სალონი;
27. წინა ელექტრო რეგულირებადი სავარძელი;
28. ბორტ კომპიუტერი;
29. ორმაგი კლიმატ კონტროლი;
30. ჰაერის ხარისხის ავტომატური კონტროლი;
31. სარკეების ავტომატური დაკეცვა;

ავტოსატრანსპორტო საშუალების მოწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღე;

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 28 მაისს 11:00 საათიდან 14:00 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების N32 (შემოსასვლელი არსენას ქუჩიდან), მეორე სართული, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

3.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

ზ) შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდეტების და მიმწოდებლების სიაში;

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

ე) შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდეტების და მიმწოდებლების სიაში;

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;

ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N 302005300

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების (3 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 7 მაისიდან 2009 წლის 27 მაისის 18:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ტატა კაპანაძე, ნათია თელია, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი). ტ. 921189;

**სატენდერო კომისია**

## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე
საქართველო

## რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი

კრედიტის ნომერი: N4516 GE

**ქ. ნინოწმინდის ქუჩების რეაბილიტაცია**

RMIDP/SACHKHERE/CW/NCB/24-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: ქ. ნინოწმინდის ქუჩების **რეაბილიტაციისათვის** (კონტრაქტის N RMIDP/Ninotsminda/CW/NCB/24-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს ქ. ნინოწმინდის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ობიექტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთით, ჯავახეთის ქედის დასავლეთით. ქ. ნინოწმინდა თბილისიდან 330 კმ-ით არის დაშორებული. სამუშაოები მოიცავს გზის საფარის აღდგენასა და ხელოვნური ნაგებობების შეკეთებას.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოების მოცულობები:

1. ქვიშა ხრეშოვანი ნარევი 14 631 კვ.მ;
2. მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარი 14 631 კვ.მ;
3. წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარი 20 135 კვ.მ;
4. ბორდიურის მოწყობა 2421 გრძ.მ;
5. საკანალიზაციო სისტემის მოწყობა.

სამუშაოების ხანგრძლივობაა 5 თვე.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 3,4 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 0,8 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 8 ივნისის 14:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 29 000 (ოცდაცხრა ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

